მეხუთე წელიწადი

პროლეტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და აღ. საქ. მ., გ., წ. არ. და მეზ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24,
ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე

ტელეფონი { 14—76. რედაქტორის
10—58. მდივანის.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 30 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 40 კ. კოლექტ. ხელის მომწ. 80 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრ. ათვის 90 კაპ. განცხადება 20 კ. ჩვეულებრივით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩვეუ. განცხადებები მეორე ნომერში მიიღება შემდეგ 2 საათ.

გაზეთის დღევანდელი №-რი შეიცავს 6 გვერდს.

დღიური

— გერმანიის მუშები თავდაცვიდან შეტევაზე გადადიან კაპიტალის წინააღმდეგ.

— სპარსეთის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს ოპოზიციასთან საერთო მუშაობის შესახებ.

— 26 აპრილს ფილადელფიაში (ამერიკა) იხსნება რკინისგზელთა საერთაშორისო კონგრესი, რომელზედაც დაესწრება [illegible] კავშირის წარმომადგენლობა.

— რუმინეთის მთავრობა განაგრძობს შეიარაღებას.

№ 92 (947) ოთხშაბათი, 23 აპრილი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. (625 მილ.) № 92 (947)

ვ. ი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი საღამოების

ჩატარების წესი

23 აპრილს, ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს.

საღამოები გამართული იქნება შემდეგ კლუბებში:

არსენალის რაიონში:

ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში საღამოს 7 საათ.—მომხსენებელი ამხ. მამია ორახელაშვილი.
მუშათა ცენტრალურ კლუბში, საღამოს 8 საათ.—ამხ. ლომინაძე.
წყალსადენის კლუბში, კირკის და ჩერქეზიშვილის ქუჩ. კუთხე, საღამოს 7 საათზე—ამხ. შემშარიაშვილი.
ეროვნულ უმცირესობათა კლუბში, საღამოს 7 ნახ. საათ.—ამხ. შვარცი.
ქალაქის ელექტრონის სადგურის კლუბში, დღის 2 საათზე—ამხ. დეიძე.

ავლაბარ-ხარფუხის რაიონში:

ტყავის ტრესტი, საღ. 8 საათ.—მომხსენებელი—ამხ. ელიავა.
საღ. ნავთლუღი დღის 3 საათ.—ამხ. გ. რუხაძე.
ნარიმანოვის სახელობის კლუბი, საღამოს 8 საათ.—ამხ. გახან გასანოვი.
ავლაბრის კლუბი, საღ. 8 საათ.—ამხ. კახიანი და კოსტანიანი.
ქალაქის საავადმყოფოს კლუბი, საღამოს 7 საათ.—ამხ. ნ. ზაქარიანი.
გამასწორებელი სახლის კლუბი, საღამოს 7 საათ.—ამხ. ქაცარავა.
ფაბრიკა „ტოლლე“, დღის 2 საათზე—ამხ. ჟვანია.

ქალაქის რაიონში:

ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, საღამოს 7 საათზე—მიხა ცხაკაია.
სტუდენტთა კლუბი, საღ. 7 საათ.—ამხ. მიასნიკოვი.
მექუდავეთა კლუბი, საღ. 7 საათ.—ამხ. რუბენი.
„თემქა“, საღ. 7 საათ.—ამხ. ნ. ოკუჯავა.
ამხ. ლენინის სახელობის ფაბრიკის კლუბი, საღ. 7 ს ამხ. პენიაკოვი.
საფაბრიკო საქარხნო სასწავლებელი, საღ. 7 საათ.—ამხ. ელისაბედაშვილი.

ლენინის რაიონში:

ნაძალადევის თეატრში, საღ 6 საათ.—მომხსენებელი ამხ. ორჯონიკიძე.
ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში (მუშტაიდი), საღ. 5 საათ.—ამხ. ერქომაიშვილი.

თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპ. განყოფ. გამგე მ. ეხხენი.

პარტიის მთლიანობის დემონსტრაცია

ჩვენი პარტიის თბილისის ორგანიზაცია ეს ხერხემალია საქართველოს კომუნისტური პარტიის, თავის პროლეტარული შემადგენლობით, მუშათა პოლიტიკურ-კულტურული დონეების შედარებით მაღალი დონით, მომზადებული და გამოცდილი ხელმძღვანელობით, მძლავრი ორგანიზაციული წყობით.

თბილისის ორგანიზაცია მოწინავე რაზმია და ტონის მიმცემი მთელი ჩვენი პარტიისათვის საქართველოში.

და რომ ეს ასეა, ამას ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ ხდის თბილისის ორგანიზაციის მეოთხე კონფერენცია, რომელიც გაიხსნა გუშინწინ 21 აპრილს.

ერთი წლის განმავლობაში თბილისის ორგანიზაციამ და მისმა ხელმძღვანელ ორგანოებმა უდიდესი მუშაობა ჩაატარეს.

ბრწყინვალედ დამთავრდა მენშევიკური და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების დაშლა დარღვევის გრანდიოზული პროცესი. ჩვენი მტრები [illegible] როგორც პოლიტიკურად და მორალურად, ისე განადგურდნენ ორგანიზაციულად.

ყოფილ მენშევიკური პარტიის მუშათა ნაწილი ურყევლად დადგა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე, მან, დაგმო რა მენშევიკების პოლიტიკა, სცნო კომუნისტური პარტიის უდავო ხელმძღვანელობა და შემოკრბა მის გარშემო.

ეს ცოტაა, თბილისის ორგანიზაციამ მჭიდრო, უშუალო კავშირი გააბა ქალაქის მთელ უპარტიო მუშათა მასსასთან, თავის გავლენის წრეში მოაქცია თბილისის მთელი პროლეტარიატი.

უპარტიო მასსაზე პარტიის ამ გავლენის ზრდის მჭევრმეტყველი მაჩვენებელი იყო ამ ბოლო დროს [illegible] მძლავრი მუშების მასსიური ლტოლვა ჩვენი პარტიისაკენ. ახალი წევრების მიღება ჩინებულად ჩატარდა. თბილისის ორგანიზაციას შემატა 1700-მდე ნამდვილი მუშა. ამით ფრიად გაძლიერდა მისი შემადგენლობის პროლეტარული ელემენტი.

ამავე მიზნისათვის დღის წესრიგში იყო დასმული ორგანიზაციის გაწმენდა არაპროლეტარული, უცხო ელემენტებისაგან, რომელნიც ზედმეტ ბარგს წარმოადგენენ და მხოლოდ რყევას შეჰქონდათ ჩვენს ფოლადისებურ რიგებში.

ხაზგასასმელი და განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დღევანდელი შინა პარტიული მდგომარეობა თბილისის ორგანიზაციაში.

ჩვენ განვლეთ ცხარე პარტ. დისკუსიის ხანა. ისიც არ არის საიდუმლო, რომ წინედაც ჰქონდა ჩვენს რიგებში ადგილი ერთგვარ უთანხმოებას ამა თუ იმ საკითხის გამო.

ჩვენი მტრები ამაზე ყოველთვის დიდ იმედებს ამყარებდნენ. ისინი ოცნებობდნენ ჩვენი პარტიის შინაგან დაშლაზე და ამ გზით თავიანთი კონტრ რევოლიუციონურ ზრახვების გატარებაზე. ერთ დროს მენშევიკებს კიდეც მოსვლიათ აზრი ჩვენი შინაპარტიული უთანხმოების გამოყენების და ჩვენი პარტიის ზოგიერთ ჯგუფებსა თუ პირებთან „საერთო ენის“ გამონახვის. საბრალონი! ისინი ჩვენს პარტიას ზომავდნენ თავიანთი პუწყიანი და ვაჭრული ადლით.

ჩვენი პარტია ისე არასოდეს დაეცემა, რომ მტრების ანკესზე წამოეგოს. ის ყოველთვის ჰპოულობდა ძალას შეთანხმებულად გადაეჭრა ყველა მის წინაშე წამოჭრილი საკითხები და შედუღებული რიგებით გამოსულიყო პარტიის და მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ. მით უმეტეს დღეს, როცა უკვე აღარ გვყავს ცოცხალი შემაერთებელი ცენტრი და ხელმძღვანელი — ლენინი, ჩვენი პარტია არის აბსოლიუტურად მთლიანი, ერთი ნაკვეთიდან გამოჭრილი, რათა ბელადის დაკარგვა აანაზღაუროს ყველა თავისი წევრების ერთიანი ნებისყოფით, ერთიანი კოლექტიური აზრით.

თბილისის პარტკონფერენციამ მოგვცა სწორედ პარტიის ამ ერთსულოვნების, ერთიანი ნებისყოფის იშვიათი დემონსტრაცია

ამ მხრივ საგულისხმოა ამხ. მახარაძის სიტყვა, რომელსაც მთელი კონფერენცია მხურვალე ტაშით და ოვაციებით შეხვდა

რაც იყო-იყო, ამიერიდან კი ურყევი მთლიანობა პარტიის,—ასეთია აზრი ამხ. მახარაძის გამოსვლის, ასეთია ურყევი გადაწყვეტილება კონფერენციის.

ეს აბსოლიუტური მთლიანობა პარტიის და 90 პროც. მუშებისა თბილისის ორგანიზაციაში,—ლოზუნგი, რომელიც მისცა თბილისის პარტკონფერენციამ მთელ თბილისის ორგანიზაციას,—უტყუარი საწინდარია ჩვენი გამარჯვებისა ბრძოლის და მუშაობის ყველა ფრონტებზე, ეს საწინდარია ჩვენი პოლიტიკის სისწორის.

ამ გზით ივლის თბილისის ორგანიზაცია, და, ცხადია, ამ გზას გაყვებიან საქართველოს კომპარტიის ყველა ორგანიზაციები.

კოოპერაცია და სახელმწიფოებრივი ვაჭრობა

1. ბაზრის მდგომარეობა

არავისათვის დაფარული არ არის, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა გულისხმობს საქონლის ტრიალის თავისუფლებას და კერძო კაპიტალის ვაჭრობის არსებობას სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ ვაჭრობასთან ერთად. მაგრამ არც ერთს პარტიულ, ან საბჭოთა პასუხისმგებელ ამხანაგს არ უფიქრია ბრძოლის შეწყვეტა კერძო კაპიტალის წინააღმდეგ, რომლის განვითარებაც, უკვე ყველასათვის ცნობილი უარყოფით მხარეების გარდა, დღევანდელ მომენტში საბჭოთა ხელისუფლებისათვის წარმოადგენს პოლიტიკურად მეტად საშიში მოვლენას.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ შინაგან ვაჭრობის სფეროში კერძო ინიციატივის განვითარება თავისთავად იწვევს კერძო კაპიტალის მიერ უფლებათა თანდათანობით დაპყრობას—არა მარტო წვრილ, არამედ წვრილ საბითუმო ვაჭრობის სფეროშიც. ვინ არის იმის თავდები, რომ ერთს მშვენიერ დღეს მთელი ბაზარი არ აღმოჩნდება ახლად გამომცხვარ კაპიტალისტის ხელში, რომელიც ამ მდგომარეობას უეჭველად გამოიყენებს მთელი სიგრძე სიგანით.

ცხადია, რომ ის, ვინც მდგომარეობის ბატონი იქნება ვაჭრობის სფეროში, შეეცდება, რომ ბატონ პატრონად გახდეს პოლიტიკის სფეროშიც. ამაში მდგომარეობს საკითხის მთელი მნიშვნელობა.

მართალია, კერძო კაპიტალის მონაწილეობა საბითუმო ვაჭრობაში იმდენად დიდი არ არის, რომ სერიოზული ლაპარაკი შეიძლებოდეს რაიმე არსებით საფრთხის შესახებ, მაგრამ საკითხი მაინც უნდა იყოს დასმული, რათა ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებულ იქნეს მომავალ ბრძოლის გეგმა. ციფრები იმას ამბობს, რომ კერძო კაპიტალი წვრილი ვაჭრობიდან საბითუმო ვაჭრობამდე მიჩოჩდა და იქ ლამობს მკვიდრად დაბინავებას. ცენტრალურ სასტატისტიკო სამმართველოს ცნობით კერძო კაპიტალის მონაწილეობა საერთო ტრიალში შეადგენს 64 პროცენტს, სახელმწიფოებრივის—26 და კოოპერატიულის—10 პროცენტს.

წვრილ ვაჭრობაში კერძო კაპიტალს აქვს 83,4 პროცენტი მთელი ტრიალისა, კოოპერატიულს აქვს 10 პროცენტი, ხოლო სახელმწიფოებრივს—6,6 პროცენტი, წვრილი საბითუმო ვაჭრობის ტრიალში კერძო კაპიტალის მონაწილეობა შეადგენს 50,4 პროცენტს, კოოპერატიულის—10,7 და სახელმწიფოებრივის—39,80.

რაც შეეხება მსხვილ საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეობას, ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგის ციფრებიდან. 1923 წლის ოქტომბერში კერძო კაპიტალზე მოდის 20 პროცენტი, ნოემბერში 25, დეკემბერში 18,7, 1924 წლის იანვარში 23,7, ხოლო თებერვალში 22,2.

ეს ცნობები იმას ამბობს, რომ კერძო კაპიტალი მწვერვალზე აცოცდა და მსხვილ საბითუმო ვაჭრობამდე მიაღწია როგორც ეტყობა, მას არ აკმაყოფილებს ის საზღვარი, რომელიც მას დაუდეს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღების დროს.

ზოგიერთი ამხანაგი კერძო კაპიტალის განვითარებას ჰხსნის განსაკუთრებით კოოპერაციის სისუსტით. ყველა ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ეს მთლად მართალი არ არის. კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი იმაზე, რომ კერძო კაპიტალმა თითქმის დაიპყრო წვრილი ვაჭრობა კოოპერაციის სისუსტის წყალობით. მაგრამ ძნელად თუ შეიძლება კოოპერაციის სისუსტით აიხსნათ კერძო ინიციატივის ასეთი თვალსაჩინო მონაწილეობა საბითუმო ვაჭრობის ტრიალში. კოოპერაციას ხომ არ მოეპოვება ისეთი სამრეწველო წამოწყებანი, რომლის საშუალებითაც მას შეეძლოს საბითუმო ვაჭრობის მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა! ყველა მსხვილი წამოწყება სახელმწიფოს ხელშია, რომელიც ქალაქის მრეწველობის პროდუქტთა მონოპოლიური მფლობელია. ამ პროდუქტების წესიერ და გეგმიური განაწილებაზეა უმთავრესად დამოკიდებული ამა თუ იმ კაპიტალის მონაწილეობა სავაჭრო ბრუნვაში სახელმწიფოს შიგნით.

საჭიროა მკაფიოდ და გარკვევით ითქვას, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი ამა თუ იმ მიზეზით ხელს უწყობდნენ და ხელს უწყობენ კერძო ინიციატივის განვითარებას, რასაც ბოლო უნდა მოეღოს.

საკმარისია აღვნიშნოთ კერძო კაპიტალის მონაწილეობა ფართლეულის ყიდვაში, რომ ამაში დავრწმუნდეთ. 1923 წლის აგვისტოში ეს მონაწილეობა გამოიხატა 27,3 პროცენტში, ოქტომბერში—29, ნოემბერში—46,2, დეკემბერში—48,3, ხოლო 1924 წ. იანვარში—51 პროცენტში, ესე იგი ფართლეულის რაოდენობის ნახევარზე მეტი გადადის კერძო ვაჭრების ხელში.

ვის უნდა დავდოთ ამაში ბრალი? სასაცილო იქნებოდა, რომ ყველა ამაში ბრალი დაგვედო კოოპერაციისათვის, ვინაიდან ამ შემთხვევაში კერძო კაპიტალი პოზიციას იპყრობს ფართლეულის ვაჭრობის სფეროში და ხელში იგდებს სახელმწიფოსათვის იმ უმნიშვნელოვანეს მრეწველობის პროდუქტს, რომელიც ნაციონალიზაციაქმნილია.

რა შუაშია აქ კოოპერაცია, როდესაც საფეიქრო სინდიკატის განყოფილებამ საჭიროდ სცნო, რომ კერძო პირთათვის მიეცა თებერვალში ბათომში—71 პროც. მთელი ბრუნვისა, ხოლო ქუთაისში 35 პროც., კოოპერაციისთვის კი მხოლოდ 9 პროც.

ასეთ მდგომარეობაში რასაკვირველია ძნელია ლაპარაკი სოფლისა და ქალაქის კავშირის შესახებ, კერძო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაზე კოოპერატიულ ორგანიზაციების მოწყობის გზით და საერთოდ სოფელსა და ქალაქს შორის ნორმალურ ეკონომიურ ურთიერთობის დამყარებაზე.

ა. ერქომაიშვილი.

მიწის მუშათა კავშირებისათვის

მუშათა შეკავშირებულ, ორგანიზაციულად დარაზმულ ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური წყობილების განხორციელების საქმეში. ეს ყველასათვის ანბანური და უდავო ჭეშმარიტებაა. ქალაქის მუშებმა კარგად იციან პროფესიონალ ინტერესების ნიადაგზე შეჯგუფების ღირებულება. სინამდვილეც გვარწმუნებს: შეგნებული მუშათა მასსები თავს იყრიან პროფკავშირების დროშის ქვეშ, პროფკავშირების წევრთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება, მატულობს.

მაგრამ დღემდე ყურადღება არ მიგვიქცევია ერთ საყურადღებო გარემოებისათვის შრომელი მასის ყველა წრეები, ყველა ფენები არაა ჩაბმული პროფმოძრაობაში. მე ვამბობ ღარიბ, ნახევრად პროლეტარ მიწის მუშების შესახებ. გაღატაკებული გლეხობა საკმაოდ მოზრდილი ძალაა ქართველი მუშების ოჯახში. სოფლისა და ქალაქის გაყვლეფილთა შეერთებულ, შეთანხმებულ, ხელიხელ ჩაკიდებულ მუშაობისათვის აუცილებელიცაა და საჭიროც აქტიური მონაწილეობის მიღება პროფმოძრაობაში ღარიბი მიწის მუშების მხრით.

მიწის მუშათა კავშირებს ჩვენში არ აქვს ისტორია. იყო ცდა ამ მიმართულებით ნეტარხსენებულ მენშევიკების დროს. მშრომელმა მიწის მუშებმა საკუთარი კავშირების დაარსება მოითხოვეს და ზოგან კიდევაც განახორციელეს ეს მიზანი. თუმცა ჩანასახის, გაურკვეველ ფორმაში, მაგრამ მაინც ღარიბმა გლეხებმა (საფუძველი ჩაუყარეს მიწის მუშათა პროფორგანიზაციას. მენშევიკურ ანდარმულ ხელისუფლებისათვის მოუწონებელი შეიქნა სოფლის ღატაკთა მოძრაობა. აშკარაა, მთავრობა, რომელიც უმთავრესად ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესს იცავდა, არ შეურიგდებოდა სოფლის მასსას მოთხოვნილებას, არ მიიღებდა მხედველობაში გაღატაკებულ გლეხკაცობის საარსებო ინტერესებს. ასეც მოხდა. „მინისტრ“ ხომერიკის „ბრძანებით“ მშრომელ გლეხთა მოძრაობის ჩამომყალიბებელი ორგანოები ნაცარტუტად აქციეს, გაანიავეს. კიდევ მეტი: მოძრაობის ხელმძღვანელი შეგნებული გლეხები დაიჭირეს და სასტიკ პასუხისმგებლობაში მისცეს. ასეთია ერთი „სასახელო“ ფურცელთაგანი ქართველი მენშევიკების მოღვაწეობის შავი ისტორიიდან.

საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია ერთნაირად იცავს გაყვლეფილის ინტერესს, იქნება იგი გაყვლეფილი ქარხნის მუშა, თუ სასოფლო მეურნეობაში ჩაბმული გლეხი. მათ წინაშე გადაშლილია მოქმედების, მუშაობის, შეკავშირების, განვითარების ფართო ასპარეზი. კერძოთ ღარიბი მიწის მუშების კავშირების შექმნა-განმტკიცებაც არ იწვევს გაუგებრობას არც ერთ ორგანოს მხრივ საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის არსებობის პირობებში.

საერთოდ ჩვენ ვიცით, რომ პროფესიონალი ორგანიზაციები არაა მარადიული მოვლენა. იგი საჭიროა კაპიტალისა და შრომის დაპირდაპირების პირობებში. ხოლო როდესაც მუშათა კლასი საბოლოოდ დაამხვრევს კაპიტალიზმს, ბურჟუაზიას, და კომუნიზმს დაამყარებს, პროფკავშირიც ჰკარგავს არსებობის აზრს. მანამდე კი რას ემსახური, ბა პროფკავშირები? ყველასათვის ყოველი მუშისათვის ცნობილი მიზნებს. მუშების პროფესიული ინტერესების დაცვას და მუშათა რიგებში მუშების ორგანიზაციულად დარაზმვას შრომის სამეფოს დამყარებისათვის.

მიწის მუშათა პროფკავშირები დაიცავს სოფლის მშრომელთა პროფესიულ ინტერესს, ამავე დროს შეიტანს სოფლის მასსაში კომუნისტურ მიზნებს, კომუნისტურ აღზრდას.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ და ვაკეთებთ ქარხნისა და მიწის მუშების დაკავშირების სფეროში. **მიწის მუშების პროფკავშირები ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე საგულისხმო იარაღი იქნება, რომლის საშუალებით ადვილად შევძლებთ სხვადასხვა პირობებში მომუშავე ორ მოძმის—პროლეტარის და მიწის მუშის ორგანიულად, სისხლით და ხორცით დაკავშირებას.** წინდაწინ ძნელია ყველა მომენტების აღნუსხვა. პრაქტიკა მრავალფეროვან სურათს გადაშლის ახალი ორგანიზაციის მოქმედებისა და მუშაობის მსვლელობაში.

საბჭოთა კანონები სოფლის ღარიბების ინტერესების გამომხატველია. ასეთივეა იგივე კანონები ქალაქის მუშების მიმართაც. მაგრამ შეიძლება იმის თქმა, რომ რაკი კანონები მუშებისაა, არაა საჭირო პროფორგანიზაციები, როგორც ამას გულუბრყვილონი ამბობენ? რა თქმა უნდა არა. სწორეთ ასევე დგას საკითხი მიწის მუშების შესახებაც. მართალია, საბჭოთა მთავრობის კანონები ღარიბ ფენების ინტერესების დაცვაზეა აგებული, მაგრამ პრაქტიკული ღონისძიებანი, პროფესიული ორგანოები მაინც აუცილებლად საჭიროა კანონების გამოყენება მოხმარებისათვის. ვინც დაახლოებულია მიწის მუშებთან, უეჭველად დამეთანხმება ჩემ მოსაზრებაში: საკმაოდ მომწიფებულია შეგნებულ გლეხობაში პროფკავშირის წევრობის აზრი, პროფკავშირის მნიშვნელობა. ხშირად შეხვდებით გლეხ დურგალს, გლეხ-მექოთნეს, გლეხ მშენებელს, რომელიც წევრია პროფკავშირის ამა თუ იმ სპეციალ ორგანიზაციის. პროფკავშირის წევრი გლეხი მრავალგვარ უფლებებით სარგებლობს: იგი დაზღვეულია, მისი შრომის პირობები განსაზღვრულია, შვილი სწავლის გადასახადისაგან განთავისუფლებულია და სხ. „ხელობას“ მოკლებული გაღატაკებული მიწის მუშა ყოველივე სიკეთეს დაშორებულია. ეს ჰქმნის ცუდ განწყობილებას პროფკავშირის წევრს და არა წევრ გლეხებს შორის. ამის მოსპობა შეიძლება ღარიბ მიწის მუშების პროფკავშირებში გაერთიანებით. ღატაკ გლეხებს აქვთ პროფესიონალი ინტერესები. ამის უარყოფა შეუძლებელია. მაშასადამე შეუძლებელია დაყოვნებაც შრომის არმიის—გაღატაკებულ მიწის მუშების ორგანიზაციულად დარაზმვა-დაკავშირების საქმეში.

გ. მუშიშვილი

ამხ. ლენინის ახალი წერილი

ქვემოდ ჩვენ ვათავსებთ ამხ. ლენინის არქივში ამ დღეებში ნაპოვნ წერილს, რომელიც დღემდის გამოუქვეყნებელი იყო. ეს სტატია დაწერილია ჟურნალ „კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალი“-სათვის (დაახლოვებით 1922 წ. თებერვალში ან მარტში) და განზრახული იყო, როგორც გაგრძელება „პუბლიცისტის შენიშვნებისა“ („Заметки публициста“), რომელსაც ვლადიმირ ილიჩი ათავსებდა მაშინ „კ. ი.“ ყოველ ნომერში.

მე მახსოვს, ვლადიმირ ილიჩი შემპირდა დაემთავრებია ეს წერილი „კ. ი.“ მორიგ ნომრისათვის, მაგრამ შემდეგ მან ეს ვერ მოახერხა დაქანცულობისა და მუშაობით დატვირთვის გამო.

საკითხში პავლე ლევის როლის შესახებ მესამე კონგრესის დროს მნიშვნელოვანი უთანხმოებას ჰქონდა ადგილი რუსეთის დელეგაციის შორისაც. თავისი შეცდომა ამ საკითხში ამხ. ლენინმა არა ერთხელ აღიარა სიტყვიერათ საუბარში. მან ჩაიდინა ეს, თურმე, წერილობითაც. კ. ი. განცხადებით დაბეჭდილ წერილში ბოლო ედება იმ კამათს, რომელიც დღესაც არ არის ინტერესს მოკლებული იმ ეპიზოდის გამო, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომინტერნის ტაქტიკის შემუშავების საქმეში.

რაც შეეხება სერრატის, ამხ. ლენინის მიერ მისი ესოდენ მკაცრად შეფასება ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ამხ. სერრატიმ ყველაზე დიდი შეცდომები დაუშვა და როდესაც მან სრულიად უსაფუძვლოთ გაილაშქრა კომინტერნის წინააღმდეგ. ამ ადგილას ჩვენ ვშლით ვ. ილიჩის ხელნაწერიდან რამდენიმე მკაცრ გამოთქმას, რომელიც გამოწვეული იყო ბრძოლის სიცხოველის გამო, და ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ვუქცევით ამ მხრივ ვლადიმირ ილიჩისებურად. ის პირველი ამოშლიდა დღეს ყველა ამ მკაცრ გამოთქმებს და სიამოვნებით შეხვდებოდა ამხ. სერრატის დაბრუნებას კომინტერნის რიგებში,—მით უმეტეს, რომ ამხ. ლენინი დიდათ აფასებდა ამხ. სერრატის ნიჭს.

წერილი თუმცა დაუმთავრებელია, მაგრამ ქვეყნდება სწორედ შესაფერ მომენტში. ახლო მომავალში მოწვეული იქნება კომინტერნის მეხუთე კონგრესი, რომლის წინაშე დაისმება ამ წერილში წამოყენებული მრავალი პრობლემები. გერმანიის კომპარტია ხელახლა განიცდის გამწვავებულ შინაურ ბრძოლას. არიან ისეთი ულტრა „მემარცხენე“ ამხანაგები, რომლებიც იმეორებენ განსვენებულ როზა ლიუქსემბურგის შეცდომას 1903 წ. კომინტერნის თვალსაზრისის წინააღმდეგ, მაგალითად საორგანიზაციო საკითხში. ამ ამხანაგებისათვის განსაკუთრებით სასარგებლო იქნება იმის წაკითხვა, თუ რას ამბობს ამის შესახებ ვლ. ილიჩი. არიან ისეთებიც, რომლებიც ბევრს ლაპარაკობენ კომინტერნის „კრიზისის“ შესახებ. ამ ამხანაგებისათვის სასარგებლო იქნება წაკითხვა იმისა, რასაც ამხ. ლენინი ამბობს „ევროპასა და ამერიკაში ნამდვილ კომუნისტურ პარტიების შესაქმნელად არა განგაშით, არა ფრაზებით, არა ჩქარი, მაგრამ დაბეჯითებითი მუშაობის შესახებ“. ხოლო იმის წაკითხვა, რასაც ვლ. ილიჩი ლაპარაკობს „მთის მწვერვალებზე ასვლის“ და, განსაკუთრებით, „სასოწარკვეთილების ზიანის“ შესახებ, ძალიან სასარგებლო იქნება რუსეთის კომპარტიის პოლიტიკის ბევრ „კრიტიკოსებისათვის“.

გ. ზინოვიევი.

ვ. ი. ლენინი

მაღალ მთის მწვერვალებზე ასვლის, სასოწარკვეთილების ზიანის, ვაჭრობის სარგებლობის, მენშევიკებისადმი დამოკიდებულების და სხვ. შესახებ

პუბლიცისტის შენიშვნები

I.

მაგალითის დაგვარათ.

წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც ადის, მაღალ ციცაბო, გამოუკვლეველ მთაზე. დავუშვათ, რომ მან მოახერხა, არაჩვეულებრივ სიძნელეთა და საფრთხის გადალახვის შემდეგ, იმაზე უფრო ზევით ასვლა, ვიდრე მისმა წინაპრებმა; მაგრამ მწვერვალს მაინც ვერ მიაღწია. ის ჩავარდა ისეთ მდგომარეობაში, როდესაც წინსვლა მის მიერ არჩეულ მიმართულებით არა თუ ძნელი და საშიშია, არამედ შეუძლებელიცაა. მას მოუხდა უკან დაბრუნება, დაბლისაკენ დაშვება, სხვა ისეთ გზების ძებნა, რომლებიც უფრო გრძელი იქნება, მაგრამ მას მისცემს საშუალებას მიაღწიოს მწვერვალს. ქვევითკენ დაშვება მსოფლიოში ჯერ არნახულ ისეთი მაღლობიდან, რომელზედაც აღმოჩნდა ეს მგზავრი, წარმოადგენს სიძნელეს და საფრთხეს, თითქმის, უფრო მეტს ვიდრე ასვლა: უფრო ადვილია შეფორხილება არც ისე ადვილია იმ ადგილის დათვალიერება, რომელზედაც ფეხს ადგამს; აღარ არის ისეთი აწეული სულიერი განწყობილება, რომელიც მას ჰქონდა უშუალოთ ზევითკენ პირდაპირ მიზნისაკენ მოძრაობის დროს და სხვა. იძულებულია შემოიხვიოს ბაწარი, დაჰკარგოს მთელი საათები, რათა წერაქვით ამოთხაროს საფეხურები ან ადგილები, სადაც შეიძლება ბაწრის დამაგრება, იძულებულია იმოძრაოს კუს ნაბიჯით, და ამავე დროს იარაღის უკან, ქვევით, მიზნისაგან დაშორებით და მაინც კიდევ ვერ გაითვალისწინოს თავდება თუ არა ეს თავდადებული, საშიშარი, ძნელი დაშვება, მოიპოვება თუ არა რაიმე საიმედო შემოსავლელი გზა, რომლითაც შეიძლებოდეს ისევ გაბედულად, უფრო ჩქარა, უფრო პირდაპირ წინისაკენ, ზევით, მწვერვალისაკენ სვლა.

არა ბუნებრივი არ იქნება თუ წარმოვიდგენთ, რომ ასეთ ადამიანს, რომელიც აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში, მიუხედავად იმისა, რომ არაჩვეულებრივად მაღლა აცოცდა,—დაეუფლება სასოწარკვეთილების წუთები. და ალბად, ეს წუთები, უფრო მრავალრიცხოვანი, უფრო გახშირებული, უფრო მძიმე იქნებოდა, თუ მას შეეძლო გაეგონა ზოგიერთების ხმები, რომლებიც სამშვიდობოდან ჭოგრიტით უცქერიან ამ მეტად სახიფათო უკანდაშვებას, რომელსაც არც კი შეიძლება უწოდოთ („სმენა ვეხოველების“ მსგავსად) „დაშვება მუხრუჭებზე“, ვინაიდან მუხრუჭი გულისხმობს კარგად გამოზომილ, ნასინჯ მანქანას, წინასწარ დამზადებულ გზას, წინასწარ გასინჯულ მექანიზმს. ხოლო აქ კი არც მანქანაა, არც გზა, საერთოდ არაფერი წინად ნასინჯი.

ქვევიდან კი მოისმის გესლიანი ხმები. ზოგიერთები გესლს ანთხევენ, ჰყვირიან: ეხლავე ჩამოვარდება, ახია მაგის თავზე, არ უნდა გაგიჟდეს. სხვები სცდილობენ დაფარონ თავისი გესლი და მოქმედებენ უმთავრესად იუდუშკა გოლოვლიოვის მსგავსად: ისინი სწუხან, მიაპყრიათ თვალები მთისაკენ. სამწუხაროთ ჩვენი საშიშროება მართლდება. განა ჩვენ არ მოვანდომეთ მთელი სიცოცხლე ამ მთაზე ასვლის გონივრულ გეგმის შემუშავებას, მოვითხოვდით ასვლის გადადებას, სანამ ჩვენი გეგმის შემუშავება არ დამთავრებულა? და თუ ჩვენ ასე თავგამოდებით ვიბრძოდით თვით უგონო ადამიანის მიერ ეხლა დატოვებულ გზის წინააღმდეგ (შეხედეთ, შეხედეთ; მან უკან დაიხია, ის ქვევით ეშვება, ის მთელი საათობით ეძებს საშვალებას, რათა ერთი არშინით დაიხიოს უკან. ჩვენ კი გვლანძღავდა უკანასკნელი სიტყვებით, როდესაც ჩვენ სისტემატიურად მოვითხოვდით ზომიერებას).

თუ ჩვენ ასე მხურვალეთ ვკიცხავდით უგონობას და ვაფრთხილებდით ყველას წაბაძვისა და მისთვის დახმარების გაწევის შესახებ, ჩვენ ამას ჩავდიოდით ამ მთაზე ასვლის უდიდეს გეგმისადმი სიყვარულით, რათა სახელი არ გაგვიტეხა საერთოთ ამ დიად გეგმისათვის.

საბედნიეროთ, ჩვენ მგზავრს, ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითის პირობებში, არ შეუძლია გაიგონოს ამ „ჭეშმარიტ მეგობრების“ ხმები და ასვლის იდეები, თორემ მას, გული აერეოდა. გულის რევა კი, ამბობენ ხელს უშლის აზრის სიცხოველეს და ფეხების სიმაგრეს, განსაკუთრებით ძალიან დიდ მაღლობებზე.

II

მეტაფორების გარეშე.

მაგალითი არ არის დამტკიცება. ყოველგვარი შედარება მოიკოჭლებს, ეს ჭეშმარიტება უდავოა და ყველასათვის ცნობილი, მაგრამ ამის გახსენება არ იქნება ზედმეტი, რათა უფრო თვალსაჩინოთ წარმოვიდგინოთ ყოველგვარ შედარების მნიშვნელობის საზღვარი. რუსეთის პროლეტარიატი ავიდა თავის რევოლიუციაში გიგანტურ მაღლობზე არა თუ 1789 და 1793 წლებთან შედარებით, არამედ 1871 წ. შედარებითაც. საჭიროა რაც შეიძლება ნათელი და თვალსაჩინო წარმოდგენა გვქონდეს იმაზე თუ რა გავაკეთეთ ჩვენ და რა ვერ დავამთავრეთ. მაშინ გონებაც გამოფხიზლდება, და არ იქნება არც გულის რევა, არც ილიუზიები და არც უიმედობა.

ჩვენ „დავამთავრეთ“ ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლიუცია ისე „წმინდათ“, როგორც არასოდეს ჯერ მსოფლიოში. ეს არის უდიდესი მონაპოვარი, რომელსაც ვერავითარი ძალა მსოფლიოში უკან ვერ წაიღებს.

ჩვენ შევსძელით გამოსვლა ურეაქციონერეს იმპერიალისტურ ომიდან რევოლიუციონური გზით. ესეც, ისეთი მიღწევაა, რომელსაც ვერავითარი ძალა მსოფლიოში უკან ვერ დააბრუნებს, მით უფრო ძვირფასი, რომ რეაქციონური და იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტა აუცილებელია ახლო მომავალშიც, თუ კაპიტალიზმი იარსებებს; ხოლო 20-ე საუკუნის ადამიანებს დიდათ არ დააკმაყოფილებს მეორეჯერ „ბაზელის მანიფესტები“, რომლებითაც 1913—1914 და 18 წლებში მოატყუეს თავისი თავი და მუშები რენეგატებმა, 2-ე და 2 ნახ. ინტერნაციონალების გმირებმა.

ჩვენ შევქმენით საბჭოთა ტიპის სახელმწიფო და დავიწყეთ ახალი მსოფლიო ისტორიული ეპოქა, პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობის ეპოქა, რომელმაც უნდა შესცვალოს ბურჟუაზიის ბატონობის ხანა. არც ამის უკან წაღება შეიძლება, თუმცაღა საბჭოთა ტიპის სახელმწიფოს „დამთავრება“ მოხერხდება მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის მუშათა კლასის პრაქტიკული გამოცდილებით.

მაგრამ ჩვენ ვერ „დავამთავრეთ“ სოციალისტური ეკონომიკის საფუძველიც კი. ამის წართმევა კიდევ შეუძლიათ მომაკვდავი კაპიტალიზმის ჩვენდამი მტრულად განწყობილ ძალებს. ნათლად უნდა შევიგნოთ და აშკარად უნდა ვაღიაროთ ეს, ვინაიდან არაფერი არ არის ილიუზიებზე (და თავბრუსხვევაზე, განსაკუთრებით დიდ მაღლობებზე) უფრო საშიშარი და სრულიად არაფერი არ არის „საშიშარი“, არაფერი არ არის ისეთი, რაც გვაძლევდეს კანონიერ საბაბს მცირეოდენი სასოწარკვეთილებისათვის, იმაში, რომ ეს მწარე ჭეშმარიტება ვაღიაროთ, ვინაიდან ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ვიმეორებდით მარქსიზმის ანბანურ ჭეშმარიტებას იმის შესახებ, რომ სოციალიზმის გასამარჯვებლად საჭიროა რამდენიმე მოწინავე ქვეყნების მუშათა გაერთიანებული ძალღონე. მაგრამ ჩვენ, ჯერ კიდევ მარტოდ დარჩენილებმა, ყველაზე უფრო ჩამორჩენილ და სხვებზე უფრო გაღატაკებულ ქვეყანაში, გავაკეთეთ უამრავი რამ. ეს კიდევ ცოტაა: ჩვენ შევინარჩუნეთ რევოლიუციონურ პროლეტარიატის ძალების „არმია“, შევინარჩუნეთ მისი „მანევრების უნარი“ შევინარჩუნეთ გონების სიცხადე, რომელიც საშუალებას გვაძლევს ფხიზლათ გავითვალისწინოთ, სად, როდის და რამდენად უნდა დავიხიოთ (რათა უფრო ძლიერად გადავხტეთ); სად, როდის და როგორ უნდა დავამთავროთ დაუმთავრებელი. დაღუპულებათ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ის კომუნისტები, რომლებიც წარმოიდგენდნენ, რომ შეიძლება შეუცდომლად, უკან დაუხევლად, მრავალჯერ შეცდომით გაკეთებულის გაუსწორებლათ ისეთი მსოფლიო-ისტორიული საქმის დამთავრება, როგორიც არის სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის დამთავრება (განსაკუთრებით წვრილ გლეხურ ქვეყანაში). არ დაიღუპენ (და ალბად არ დაიღუპებიან) კომუნისტები, რომლებიც არ დაჰკარგავენ სიმტკიცეს, არ მიეცემიან სასოწარკვეთილებას, შეინარჩუნებენ ორგანიზმის ძალას და მოქნილობას ხელახლა „დაიწყონ თავიდან“ ძნელი ამოცანის გადაწყვეტა.

და ჩვენ მით უფრო არ გვმართებს მივეცეთ სასოწარკვეთილებას, რომ ჩვენ ყველაზე ნაკლები საფუძველი გვაქვს ამისათვის, რომ ჩვენი განადგურების, გაღატაკების, ჩამორჩენილობის და სიმშილობის ხანაში ვიწყეთ წინსვლა ეკონომიკის სოციალიზმისაკენ მოსამზადებელ დარგში, მაშინ, როდესაც ჩვენს გვერდით მთელ მსოფლიოში, ათასჯერ ჩვენზე უფრო მდიდრები და სამხედრო ძლიერების მხრივ უფრო დაწინაურებული ქვეყნები განაგრძობენ უკან დახევას მათ მიერ ნაქებ, მათვის ცნობილ ასეულ წლობით გამოცდილ კაპიტალისტურ ეკონომიკის დარგში.

(შემდეგი იქნება)

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

მეფის ვალებს ჩვენ არ გადავიხდით

მუშები აღშფოთებულნი არიან ინგლისის ბანკირების მოთხოვნილებით

ამერიკა სესხს იძლევა ევროპის დასანგრევად, ჩვენ სესხი გვესაჭიროება მეურნეობის აღსადგენად

ინგლისის ბანკირების წინააღმდეგ

რკინის-გზელთა ხმა

მოსკოვი. 22 აპრილი. **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის რკინისგზელთა ყრილობამ ტრანსპორტის 800 ათასი მუშის სახელით მიმართა საბჭოთა კავშირის მთავრობას კატეგორიული პროტესტით ინგლისის ბანკირების მოთხოვნილების წინააღმდეგ.** ყრილობა მოითხოვს საბჭოთა კავშირის მთავრობისაგან მტკიცედ იდგეს მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად და არ დაუშვას იმ პოზიციების დათმობა, რომელიც მოპოვებულ იქნა ოქტომბრის რევოლიუციის საუკეთესო შვილთა სისხლით დე, იცოდეს საერთაშორისო ბურჟუაზიამ, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი გადაჭრით შეებრძოლება ყოველგვარ ცდას მისი უფლებების შეზღუდვისაკენ მიმართულს.

ყრილობამ მიმართა მოწოდებით აგრეთვე ინგლისის პროლეტარიატს, რომლისგანაც მოითხოვს ხმა მაღლა პროტესტი განაცხადოს ლონდონის მოლაპარაკების ჩაშლის წინააღმდეგ.

სამთო-მადნის მუშების ყრილობის მოთხოვნილება.

მოსკოვი. 22 აპრილი. საბჭოთა კავშირის სამთო მადნის მუშათა ყრილობამ, რომელიც გაიხსნა მოსკოვში, მიმართა საბჭოთა დელეგაციას რუსეთ-ინგლისის კონფერენციაზე მოთხოვნილებით, რათა მან **ენერგიულად პროტესტი განაცხადოს ინგლისის ბანკირების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის დაწყებული მოლაპარაკების ჩაშლას.** მოთხოვნილებაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს ძლიერ ძვირი დაუჯდა სახალხო მეურნეობის პატრონობის უფლების მოპოვება, და რომ ის თავის მთავრობასთან ერთად მზად არის წავიდეს ზოგიერთ დათმობაზე, მაგრამ მხოლოდ ურთიერთ ანგარიშის პირობებში.

ყრილობა მოითხოვს სრულ სიმტკიცეს ამ საკითხში და აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის ერები შეძლებენ სათანადო მსხვერპლის გაღებას, რათა საკუთარი ძალებით აღადგინონ სახალხო მეურნეობა.

მთელი კავშირის მუშების ხმა.

მოსკოვი. 22 აპრილი. „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ანდრეევმა განაცხადა, რომ მთელ საბჭოთა კავშირში მუშები აღშფოთდნენ და პროტესტი განაცხადეს ინგლისის ბანკირების საძაგელი მოთხოვნილების წინააღმდეგ.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს პლენუმმა მიმართა საბჭოთა კავშირის მთავრობას მოთხოვნილებით, რომ ბანკირების უხეშ მადას არ დაუთმოს არაფერი და ძველებურად მტკიცედ დაიცვას საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების ინტერესები.

ამავე დროს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭომ მოწოდებით მიმართა ინგლისის პროლეტარიატს, რათა ამ უკანასკნელმა გააკეთოს ყველაფერი, რაც კი შეუძლია და ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირს და ინგლისის შეთანხმების ჩაშლას. შესაძლებელია მაკდონალდის მთავრობამ, რომელიც ეყრდნობა ბურჟუაზიას, ვერ შესძლოს ბანკირებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის კი არ შეიძლება არავითარი ყოყმანი,

თანახმად ს. კ. პ. ც. კ. პლენუმის დადგენილებისა,

საქართველოს კომპარტიის

მესამე ყრილობა

მოწვეულ იქნება

ამა წლის 5 მაისს

ყრილობის დღის წესრიგისთვის განზრახულია შემდეგი საკითხები:

1. ც. კ. ანგარიში
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. ც. ს. კ. ანგარიში.
4. ნაციონალური პოლიტიკის შედეგები ერთი წლის განმავლობაში.
5. პარტიის სამეურნეო ამოცანები (წარმოებისა და სასოფლო მეურნეობის სფეროში).
6. შინა ვაჭრობა და მომხმარებელი კოოპერაცია.
7. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.
8. შინა პარტიული მდგომარეობა და პარტ-აღმშენებლობის საკითხები.
9. ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ.
10. მიმდინარე საკითხები.

წარმომადგენლობის ნორმა ყრილობაზე: 1 დელეგატი გადამწყვეტი ხმით პარტიის 100 წევრსა და კანდიდატებზე.

ს. კ. პ. ც. კ-ის მდივანი: მ. კახიანი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა პარასკევს, 25 აპრილს

ერთიან პარტიულ დღეს

ყველა უჯრედებმა დღის წესრიგში დასვან თბილისის პარტკონფერენციის დელეგატების ანგარიშები.

თბილისის კომიტეტის მდივანი რუზენი

ვალების გადახდის საკითხი

ამხ. ტროცკის სიტყვა

რკინისგზელთა საკავშირო ყრილობაზე

მოსკოვი. 22 აპრილი. ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის ყველაზე უფრო მწვავე საკითხად უნდა ჩაითვალოს ჩვენი მოლაპარაკება ინგლისთან. აქ ყველა ჩვენ ვიმყოფებით გამოურკვეველ მდგომარეობაში, რომელიც გამოხატავს ევროპის პოლიტიკის გამოურკვევლობას საერთოდ, და ინგლისის მენშევიკურ მთავრობისას—კერძოდ.

სესხი, რომელსაც მოვითხოვთ ჩვენ მოლაპარაკების დროს, ძლიერ ხელსაყრელია არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი ევროპისათვის—და მათ შორის—ინგლისისათვის. ინგლისს სჭირდება ბაზარი; ინგლისის საგარეო ვაჭრობა ძლივს აღწევს სამი-მეოთხედს ომამდის არსებულ რაოდენობისა. **ევროპა დაღარიბდა, ხოლო ჩვენ კი წარმოვადგენთ ვეებერთელა ბაზარს, რომელიც აღემატება ინგლისის ყველა ახალშენებს. ჩვენთვის ფართო კრედიტის მიცემის საფუძველზე დამყარებულია სამეურნეო თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების ერთი მხრით, ინგლისის მუშათა კლასთან—მეორე მხრით.** ეს აწევდა ევროპის სამეურნეო დონეს და შესცვლიდა მის სახეს: ჩვენ შევსძლებდით ჩაგვეხრჩო პუანკარეს მილიტარიზმი, რომელიც სცდილობს დღეს ჩაახრჩოს ევროპა.

მსოფლიო ბურჟუაზიის დაბრმავება.

ომის შემდეგ მთელი მსოფლიო საერთოდ გახდა უფრო მდიდარი, ვიდრე ღარიბი. ამერიკაში დაგროვდა იმოდენა სიმდიდრე, რომელიც არ ახსოვს არც ერთ საუკუნეს და არც ერთ თაობას. ამერიკა ყოველწლიურად ათავსებს ახალ წარმოებებში 17 მილიარდ ოქროს მანეთს ამერიკის ბანკების სარდაფებში მკვდრად დაწყობილია 6 მილიარდი ოქროს მანეთი. ამერიკამ არ იცის რაში მოახმაროს ეს ფული. ინგლისში იმ ზედმეტი ფულის რაოდენობა, რომელიც სესხის სახით შეიძლება გაიცეს, უდრის 1 მილიარდ ოქროს მანეთს. მიუხედავად ამისა, ამერიკა არც გერმანიას, არც ჩვენ ფულს არ გვაძლევს, ვინაიდან მას არ სჯერავს ევროპის, **რადგან ინგლისს გარდა მას არავინ ვალს არ უხდის.**

ამერიკას არ შეუძლია გაიგოს, რა აზრი აქვს მის მიერ ახალი ვალების გაცემას, როდესაც ძველს არავინ უხდის. ამერიკას არ შეუძლია გაიგოს, **რომ მან ევროპას ფული აძლია სესხად ევროპის დასანგრევად, სიკვდილიდან დასაცველად; ამერიკა გახდა მდიდარი ევროპის დანგრევის, დაშლის ხარჯზე,** მისი გაყვლეფით და დაჩაგვრით. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ევროპას არ შეუძლია ვალი გადაუხადოს ამერიკას. მას რომ სესხი გაეცა ევროპის აღორძინებისათვის, რასაკვირველია, ის გადახდილი იქნებოდა. ჩვენც გადავიხდიდით, რადგან სესხი აღმშენებლობისათვის მოგვცემდა ჩვენ საშუალებას აღგვედგინა რკინისგზის ქსელი, გაგვემტკიცებინა ოქროს ვალიუტა, გაგვეძლიერებინა სამთამადნო ხელოსნობა, სავსებით აღგვედგინა მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა.

თუ მივიღებთ დიდ სესხს, ჩვენ შევძლებთ 3-5 წლის განმავლობაში გავხდეთ ძლიერი და შევძლოთ ყველა ვალდებულებათა შესრულებისათვის. **ამერიკა სესხს არ გვაძლევს არა მარტო ჩვენ, არამედ მთელ ბურჟუაზიულ ევროპას, რადგან ბურჟუაზიულ ევროპაც არ იხდის ვალებს.** ასე მსჯელობს ინგლისიც. ეს ბურჟუაზიის განსაცვიფრებელია.

რისთვის იძლევა ბურჟუაზია ფულს

ევროპა ამერიკას სთხოვს ფულს, თუმცა ძველ ვალებს არ უხდის. რატომ? მიტომ რომ ძველი ვალები ევროპისათვის იყო გადატაკება, დაცემა და, მაშასადამე, ამ საფუძველზე მას გადახდა არ შეუძლია. თუკი ამერიკა მისცემს ევროპას სესხს აღმშენებლობისათვის—ევროპაც შესძლებს გადახდას, რადგან მას ექნება საშუალება მაშინ იქონიოს რესურსები და გადაიხადოს. ამასვე ვლაპარაკობთ ჩვენ. გადაუხდით. ჩვენ ბურჟუაზიის დაუსრულებლივ? გადაუხდით მანამდის, სანამდის ის იცოცხლებს. სანამ სცხოვრობს ბურჟუაზია ჩვენ იძულებული ვართ მასთან ვიქონიოთ საქმე, ხოლო სანამ ჩვენ იძულებული ვართ ვიქონიოთ საქმე—დაინტერესებული ვართ მისგან ნდობაში. ეს ნდობა კი მოითხოვს ვიხადოთ ვალები, რომელსაც ჩვენ ვიღებთ ქვეყნის აღდგენისათვის. ამისათვის ეკონომიური გარანტიაა ჩვენი ინტერესი, პოლიტიკური—ის რომ ჩვენ ყველაზე უფრო მტკიცე მთავრობა ვართ მსოფლიოზე (ამას კი თვით ისინიც აღიარებენ).

გზა ჯვარედინზე.

ამ ჟამად მსოფლიოს ვითარება ისეთია, რომ არ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, **რომ მაკდონალდი მოახერხებს რაიმე მსხვილ საქმიან შეთანხმებას.**

ლონდონის მოლაპარაკებასთან ერთად პარალელურად სწარმოებს სარეპარაციო მოლაპარაკება, რომელიც ეხება საკითხს გერმანიისთვის სესხის მიცემის შესახებ. გერმანიისთვის სესხის მიცემა ნიშნავს ინგლისისათვის ძლევამოსილი კონკურენტის შექმნას, სესხის დახმარებით გერმანია აღადგენს მრეწველობას და ბაზარზე 50—75 პროც. მეტს საქონელს გამოიტანს, ვიდრე გამოაქვს დღეს; ეს კი აუცილებლად გამოიწვევს ინგლისში სამრეწველო კრიზისს. თუ გერმანიას უარი ეთქვა სესხზე, ამას მოჰყვება ის, რომ მარკა ძირს დაქანდება, უმუშევრობა გერმანიაში გაიზრდება, ხელფასი დაეცემა, მოსახმარ პროდუქტის ფასები მაღლა მწვერვალებისკენ გასწევენ, და 2—3 თვის, ნახევარი წლის—მაქსიმუმ ერთი წლის შემდეგ, გერმანიაში შეიქნება ისეთივე მდგომარეობა, როგორიც იყო შარშან როცა გერმანია რევოლიუციის წინაშე იდგა. ევროპის წინ რთული ამოცანა სდგას: **გერმანიის მრეწველობის ფეხზე ხელის შეწყობა გამოიწვევს ინგლისსა და საფრანგეთში ეკონომიურ კრიზისს.** ხოლო, თუ კი პუანკარე მომავალშიაც გერმანიის მეურნეობას ყელში ხელის წაჭერას არ მოიშლის, **ეს გამოიწვევს ახალი რევოლიუციონური ტალღების აღზევებას გერმანიაში.**

ჩვენ არ გვაშინებს ლონდონის კონფერენციის ჩაშლა.

აქედან გამომდინარეობს დაუდგომლობა, ხვალინდელი დღისზე იმედის და რწმენის დაკარგვა, სწორი საკრედიტო ურთიერთობათა დაუმყარებლობა, ამიტომ ჩვენ ვერ ვიქნებით დიდი იმედებით აღსავსე იმ შესაძლებლობათა შესახებ, რომელთაც გვიქადის ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება.

შესაძლებელია მათგან მივიღოთ რაიმე, მაგრამ ისიც შესაძლებელია რომ ამ კონფერენციიდან არაფერი არ გამოვიდეს. ამ გარემოებამ განსაკუთრებით არ უნდა დაგვაღონოს. კარგი იქნებოდა, რომ მილიარდი სესხი მოეცათ, ჩვენ დიდ ნახტომს ვიზამდით წინ და უცბათ აღვადგენდით ჩვენს მეურნეობას. **არ მოგვცემენ—გავძლებთ უამისოდაც. წავალთ წინ ნელი ნაბიჯით, და აღვადგენთ ჩვენს მეურნეობას 3—4 წლის ნაცვლად 10 წლის განმავლობაში.**

საჭიროა სიფხიზლე.

ევროპაში შექმნილი მერყევი მდგომარეობა გვაიძულებს ჩვენი მეურნეობის აღორძინების საქმესთან ერთად, დიდი ყურადღებით მოვეპყრათ ჩვენს შეიარაღებულ ძალას ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობის საკითხია. **ევროპაში ამ ჟამად იმდენი ჯარისკაცია, რამდენიც იყო 1914 წლის აგვისტოში—მსოფლიო ომის წინა დღეებში.** ომის საშიშროება იმ დროსთან შედარებით არ შემცირებულა, **ხოლო განადგურების საშუალებანი თანდათან უფრო ძლიერი და მეტი ხდებიან.**

აქედან გამომდინარეობს ჩვენი სრულიად ბუნებრივი მოუსვენრობა. ჩვენ ტეხნიკის მხრივ მოვისუსტებთ, ხოლო ტეხნიკა უდიდეს როლს ასრულებს. მიუხედავად ამისა, ტეხნიკის დასაყრდენი ადამიანის ცოცხალი ძალაა. ჩვენი უდიდესი უპირატესობა, ის არის რომ ჩვენ ეჭვი არ გვეპარება მასში, თუ როგორ მოიქცევა ჩვენი მუშათა კლასი და ჩვენი გლეხობა იმპერიალისტურ არმიასთან შეტაკების დროს.

ჩვენი იმედი—ჩვენი ჯარია.

დე პუანკარემ გვიპასუხოს სრული დარწმუნებით, როგორ მოიქცევა პარიზელი და ლიონელი მუშა ფეიქარი, მეღვინე და რკინისგზელი ჩვენთან ომის დროს. პუანკარე ვერ გვიპასუხებს, შეეჭვიანდება თუ კი ჩვენ შეგვეკითხებიან როგორ მოიქცევიან ჩვენი რკინისგზელნი, ჩვენი ფეიქრები ჩვენი გლეხები იმპერიალისტურ ჯართან შეტაკების დროს, ჩვენ ვუპასუხებთ დაუყოვნებლივ, ისე რომ წუთითაც ფიქრი არ დაგვჭირდება. ამ რწმენამ გახადა შესაძლებელი ყაზარმული არმიის სისტემიდან მილიციის ანუ ტერიტორიალურ სისტემაზე გადავსვლოდით თანდათანობით.

ჩვენ აუცილებლად უნდა გავაუმჯობესოთ ჩვენი ტეხნიკა და რკინის გზის ტრანსპორტი, რომელთაც ომში საზოგადოთ და განსაკუთრებით ტერიტორიალურ არმიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

უმაღლესი ყურადღება—სამხედრო ქიმიას

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქიმიას. ჩვენ შევქმენით საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება, რომლის დახმარება მეტად დიდია. ასეთივე ნებაყოფლობითი დახმარება გვესაჭიროება ქიმიის დარგშიც. სამხედრო ქიმია მჭიდროთ არის დაკავშირებული ქიმიასთან საზოგადოთ. შეუძლებელია გაზების, გაზების საწინააღმდეგო საშუალებების დამზადება, თუ არ გვექნება ქიმიური ლაბორატორიები უნივერსიტეტებთან და სამრეწველო დაწესებულებებთან, თუ არ გვექნება ქიმიური ქარხნები. ქიმიური მრეწველობა უდიდეს როლს თამაშობს არა მარტო სამხედრო დარგში, არამედ ჩვენი მეურნეობის აღდგენის საქმეშიაც.

ჩვენი თავდაცვის უდიდეს ამოცანას შეადგენს ის, რომ გავაძლიეროთ ინტერესი ქიმიურ მრეწველობისადმი მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის და მეცნიერული თვალსაზრისით.

რკინისგზელები და სამხედრო ქიმია.

რკინისგზელებმა ამ დარგში მაგალითი უნდა უჩვენონ სხვებს, ვინაიდან მტერი შეტევას დაიწყებს უმთავრესად რკინის გზის ხაზებით, სადაც ჯარისკაცებთან ერთად იდგომებიან რკინისგზელები. ამიტომ რკინისგზელთა პროფკავშირებმა პირველ რიგში უნდა დასვან სათანადო სიმაღლეზე საკითხი ქიმიის, გაზების და გაზების საწინააღმდეგო საშუალებების სამხედრო—სამეცნიერო პროპაგანდის შესახებ. რკინისგზელების კავშირმა უნდა შექმნას გაზის საწინააღმდეგო უჯრედები რკინის გზებზე. თვითეულ კვანძზე, თვითეულ სადგურზე, რომელიც ახლოა შესაძლებელ ფრონტთან, უნდა შეიქნეს ისეთი უჯრედები ისეთ პირებისაგან, რომლებმაც იციან რა არის თვითმფრინავი, გაზი, ყუმბარა,—ისეთ პირებისაგან, რომლებიც არ დაიბნევიან.

არმიის ბედი არის ქვეყნის ბედი; გაზი საშიშია თავისთავად, მაგრამ 100 ჯერ უფრო საშიშია, თუ ის გამოიწვევს პანიკას.

ამიტომ აქვს წითელი რკინისგზელების დახმარების ურყევი იმედი წითელ არმიას, რომელიც გესალმებათ თქვენ ამ სიტყვებით: „გაუმარჯოს წითელ რკინისგზელებს".

რა ხდება გერმანიაში

არჩევნებისათვის.

ბერლინი. 22 აპრ. (გერმანიის პრესის რადიო) რეიხსტაგის ახალი არჩევნების გამო მარტო ბერლინში შეტანილია 20 სია, რომლიდგანაც დაამტკიცეს მხოლოდ 16.

უქმეებზე.

ბერლინი. 22 აპრ. სააღდგომო უქმეებმა ბერლინში მშვიდობიანად ჩაიარა. კანცლერის და ზოგიერთი მინისტრების გამგზავრების გამო აგარაკზე მცხოვრებ პრეზიდენტ ებერტთან, პოლიტიკური ცხოვრება ბერლინში მოკვდა. პრესა უმთავრეს ყურადღებას აქცევს ექსპერტთა დასკვნას. თითქმის ყველა გაზეთები ამას აქცევენ მთავარ ყურადღებას.

ცხოვრება ძვირდება.

ბერლინი. 22 აპრილი. ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში გერმანიაში ცხოვრება კიდევ გაძვირდა 1 პროცენტით.

მაკდონალდი კონტრიბუციის შესახებ.

ბერლინი. 22 აპრ. ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ყრილობაზე მაკდონალდმა განაცხადა, **რომ ექსპერტთა კომისიის განცხადებამ შესაძლო გახადა ინგლისისათვის ხელახლა დაეწყო საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრა.**

გერმანიის გემების ამოღება.

ბერლინი. 22 აპრ. ინგლისის სამხედრო ექსპერტები დაიწყებენ მუშაობას გერმანიის სამხედრო გემების ამოსაღებად. მუშაობა დაიწყება უქმეების შემდეგ დაუყოვნებლივ. **პირველ ყოვლისა ამოღებულ იქნება 24 ნაღმოსანი და 2 კრეისერი „ჰინდენბურგი" და „ზეიდლიცი". დანარჩენი 74 გემი ამოღებულ იქნება შემდეგ.**

მუშათა მოძრაობა გერმანიაში

სამთო მადნეულ წარმოების მუშათა მოძრაობა გერმანიაში.

ბერლინი. 20 აპრ. მანსფელდის (შუა გერმანია) სამთო-მადნო წარმოებებში გაიფიცნენ მუშები, რომლებიც შრომის ხელფასის გადიდებას მოითხოვენ. სამთო-მადნო წარმოებათა დირექციამ გაფიცულები დათხოვნილად გამოაცხადა და დანარჩენ მუშებსაც დათხოვით ემუქრება. **შუა გერმანიის მუშები ოპოზიციური საქარხნო საფაბრიკო კომიტეტების ხელმძღვანელობით ემზადებიან ბრძოლისათვის ყველა მაღაროებში.** შუა გერმანიაში დაწყებული მოძრაობა აძლიერებს რურის მაღაროს მუშების ბრძოლას 7 საათის სამუშაო დღისათვის და ხელფასის ათი პროცენტის გადიდების სასარგებლოდ.

მასების ზეგავლენით.

მთელ გერმანიაში მრეწველობის სხვადასხვა დარგებში ძლიერდება ბრძოლა შრომის ხელფასისა და სამუშაო დღისათვის, რაც აიძულებს პროფკავშირებში მოკალათებულ ბიუროკრატებს მეტი აქტივობა გამოიჩინონ. პროფკავშირების წარმომადგენლებს თათბირი ჰქონდათ შინაგან საქმეთა, ფინანსთა, შრომისა და სახალხო მეურნეობის მინისტრებთან. კავშირების წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს პროტესტი მთავრობის იმ თვალსაზრისის წინაღმდეგ, თითქო შრომის ხელფასის გადიდება საფრთხეს წარმოადგენდეს მარკის სტაბილიზაციისათვის, პროფკავშირების წარმომადგენლები მოითხოვენ საქონელზე ფასების დაკლებას და უმუშევრობისათვის დახმარების გადიდებას. მთავრობის წარმომადგენლები დასთანხმდნენ უმუშევართა უზრუნველყოფაზე, **მაგრამ უარი თქვეს შრომის ხელფასის გადიდებაზე.**

სხვადასხვა ამბები

(„ზაკროსტა"-ს მასალებიდან)

● **საარჩევნო კომპანია საფრანგეთში.** მაისში საფრანგეთში მოხდება პარლამენტის არჩევნები. საარჩევნო კამპანია უკვე დაწყებულია. ზოგ ოლქებში ერთად გამოდის მემარცხენეთა ბლოკი, რომელშიც შედიან სოციალ-რადიკალები და კომუნისტები. ბურჟუაზიული პრესის აზრით, გამარჯვება არჩევნებში ხვდება მემარცხენეთა ბლოკს, ხოლო კომუნისტების დეპუტატთა რაოდენობა გაიზრდება.

● **ნათესავებს არ ინდობენ.** იტალიის მთავრობამ უარი განაცხადა პასპორტი მიეცა რეფორმისტების პარტიის მდივნისათვის, რომ იგზავნებოდა ბელგიის სოცია ტური პარტიის ყრილობაზე წარმომადგენლად.

● [illegible]. [illegible] პრეზიდენტ [illegible] ანგორაში ნების ბარათი; დიდმა ეროვ ყრილობამ დაამტკიცა რესპუბ კონსტიტუცია და 1924 წლის აღრიცხვა.

● **მოსავლის დაღუპვა.** ოთხი თვის განმავლობაში ისპ განუწყვეტლივ წვიმდა, რის მთლად დაიღუპა სამხრეთ ისპ მოსავალი.

უცხოეთის ცხოვრება

ფორდის ქარხნებში

ამ რამოდენიმე კვირის წინეთ ლეიპციგში (გერმანია) გამოვიდა ამერიკელ ცნობილ მილიარდერის, ავტომობილების ქარხნების მეპატრონეს ფორდის წიგნი „ჩემი ცხოვრება და მუშაობა", რომელშიაც ავტორი დაწვრილებით აგვიწერს, თუ როგორ მუშაობენ მის ქარხნებში, როგორ კეთდება ავტომობილები და, საზოგადოდ, რა მდგომარეობაა იმ ფაბრიკებში, რომლებიც ყოველ დღე თითო საათის განმავლობაში უშვებენ 2 ათას ავტომობილს.

ფორდის ფაბრიკა იმყოფება ჰაილენდის პარკში (ამერიკა) და შედგება 500 განყოფილებიდან ფაბრიკებში მთავარი ადგილი უჭირავს მუშაობის განაწილებას: ასე, მაგალითად, ერთი განყოფილება ამზადებს მხოლოდ „პოკრიშკებს", მეორე—საჯდომს, მესამე—ზედა ვინტებს, მეოთხე—გოგრებს, მეხუთე—კარბორატორს და ასე. ყოველივე განყოფილება მუშაობს სრულიად დამოუკიდებლად. დამზადებული მასალა იგზავნება უკანასკნელ განყოფილებაში, სადაც სხვადასხვა ნაწილებიდან აწყობენ ერთ ავტომობილს.

მთავარი ადგილი მუშაობაში უჭირავს მანქანებს, რომლებიც დღითი-დღე უმჯობესდებიან; ხშირია, როდესაც დღეს დადგმული მანქანა აღარ ვარგა ხვალ, რადგან გამონახეს უფრო გაუმჯობესებუ მექანიზმი. იქ მუშები მუშაობენ ქანიკურად, რადგან ყველაფერს თებენ მანქანები მიუხედავად ფორდის ქარხნის მუშათა რაოდ ბა უდრის რამოდენიმე ათეულ ქარხნებში უმთავრესად მუ დასახიჩრებულნი და დავრდომ ასე, მაგალითად, 7882 სხვად გვარ სამუშაოდან მძიმე სამუშაო თვის მხოლოდ 949, დანარ კი განაწილებულია შემდეგნ 670 სახის სამუშაოს ასრუ ისინი, ვისაც ფეხი არ აქვთ, სახის სამუშაოს ასრულებენ ვისაც არ აქვთ მხოლოდ ერთი ხი; 2 სახის სამუშაოს ისინი— არ აქვთ ხელები, 715—ცალხ ნები, ხოლო 10 სახის სამუშაოს რულებენ ბრმები.

სიჩქარეს აქვს გადამწყვეტი ნელობა ფორდის ფაბრიკაში.

შემდეგ ფორდი მკითხველებს წერს იმას, თუ როგორ შეი კაპიტალის ამოძრავება და ცო არსებად გადაქცევა. ის აგრეთ ნიშნავს იმ გარემოებას, რომ ვალში—სრულიად მალე—კაცობ ბა იხილავს ისეთ მექანიზმს, ლიც საშუალებას მისცემს ფაბ ერთ წუთში გამოუშვას არა 33 მობილი, არამედ 100 და მეტი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

პოლიტსკოლა.

სოხუმი. 21 აპრილი. დაბა გალში (სამურზაყანოს მაზრა) გაიხსნა სკოლა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ 85 კაცისათვის.

ანტისაბჭოთა პარტიების დაშლა.

სოხუმი. 21 აპრ. „მშრომელთა აფხაზეთის ხმა"-ში იბეჭდება მენშევიკებისა და ფედერალისტების განცხადებანი თავისი პარტიებიდან გ სვლის და საბჭოთა პლატფორმაზე დადგომის შესახებ.

საგადასახადო კომპანია.

სოხუმი. 21 აპრ. მარტში შემ და საშემოსავლო გადასახადი 9 მანეთი, ერთიანი სასოფლო-სამ ნეო გადასახადი—80 ათასი ფ სიმინდი, ადგილობრივი გადასახ —12,000, არაპირდაპირი გადასახ —16,000.

ლენინი და ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა

(მასალები).

ამხ. ლენინი ახლო მონაწილეობას იღებდა ამიერ კავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებაში. ეს მონაწილეობა გადამწყვეტი და ყოველთვის კეთილმყოფელი იყო, რადგან განსვენებულ ბელადს ჰქონდა განსაცვიფრებელი უნარი, რომლის წყალობით თვით შორეული მანძილიდან, დეტალებთან და დაწვრილებით საქმესთან გაუცნობლათ, სწრაფად ერკვეოდა მდგომარეობაში, მრავალ მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სამეურნეო და სხვა ამოცანებიდან არჩევდა და თავის ყურადღებას აჩერებდა მხოლოდ ამა თუ იმ მომენტში უმნიშვნელოვანეს ამოცანაზე და პოულობდა მის გადასაწყვეტად ყველაზე ელემენტარულ, ნათელ და მკაფიო ფორმულიროვკას.

უშუალოდ ლენინისაგან პოლიტიკური დარიგებანი—დირექტივები მივიღეთ ჩვენ, ამიერ-კავკასიელმა კომუნისტებმა, საქართველოს გასაბჭოების გამო.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი შემოვიდა მენშევიკების მიერ გაქურდულ თბილისში. მენშევიკური მთავრობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით, გარშემორტყმული თავისი „აპარატჩიკებით", ყველა ჯურისა და ეროვნების სპეკულიანტებით, თეთრი და შავი სამღვდელოების ზედა წრეებით და სხვა „ცოცხალი ძალებით" უკან იხევდა დასავლეთისაკენ, ქუთაის ბათომისაკენ.

ჩვენ, გასაბჭოებული საქართველოს პირველი მუშაკები ვითვალისწინებდით ქვეყნის საკმაოდ რთულ პოლიტიკურ მდგომარეობას მისი თავისებური სოციალური სტრუქტურით, უსახო წვრილი ბურჟუაზიით და ტრაბახა ინტელიგენციით, რომლის დიდი ნაწილი მოწამლული იყო ნაციონალისტური ცოფიანობის შხამით. არ გაგვიშვია მხედველობიდან ეკონომიური ჩამორჩენილობა ამ აზიაში მდებარე „შვეიცარიისა", რომელიც ამას გარდა. ერთი იმპერიალისტური მტაცებლის ხელიდან მეორეს ხელში გადადიოდა იმ დროს, როდესაც ქართველი მენშევიკები გაჰყვიროდნენ „დემოკრატიული ოაზისის" დამოუკიდებლობის, სუვერენობისა და ნეიტრალობის შესახებ. მაგრამ ჩვენ,—ცოდვა გამოუმჟღავნებული სჯობს,—მტკიცედ არ ვიცოდით რა გამოხატულება უნდა მიეღო ამ გათვალისწინებას საქართველოს ახლად შობილი საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ და ეკონომიურ ღონისძიებათა სისტემაში: პარტიის მეათე ყრილობა ჯერ კიდევ წინ იყო, ახალ ეკონომიური პოლიტიკის შესახებ ჯერ კიდევ არაფერი ისმოდა, მობილიზაციის წესით აზერბაიჯანიდან და ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში გადმოგზავნილ ქართველ კომუნისტების დიდი უმრავლესობის საბჭოთა—პარტიული მუშაობის გამოცდილება კი დამძიმებული იყო სამხედრო კომუნიზმის „შაბლონით".

ჩვენ ვგრძნობდით, რომ ეს შაბლონი დროისა და სივრცის პირობების მიხედვით არ უნდა გადმოგვეღო, რომ აქ რაღაც სხვანაირათ უნდა მოვებრუნებოდით საბჭოთა საქმეს. და ჩვენც ავიღეთ სხვა გზა, მაგრამ გაუბედავათ, უფრო ინსტიქტიურად, ხშირად ვისმენდით ბევრი გამოცდილების მქონე და მრავალ გასაჭირს გამოვლილ ამხანაგების საყვედურებს.

მაგრამ ერთი კვირის შემდეგ, სამ მარტს მე (რომელიც მაშინ რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი, რადგან ამხ. მახარაძე ჯერ კიდევ ჩამოსული არ იყო, ის გზაში იმყოფებოდა) და ამხ. ელიავამ (რევოლიუციონური კომიტეტის მეორე წევრი და არმიის სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე) გამოგვეწვიეს მოსკოვიდან პირდაპირი მავთულით. ამხ სტალინის საშუალებით ამხ ლენინმა მოგვმართა ჩვენ შემდეგი მრავალმნიშვნელოვანი სიტყვებით:

„გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის წევრებს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი. განსაკუთრებით ვთხოვ მე მათ მაცნობონ გვაქვს თუ არა ჩვენ მათთან თანხმობა სამ მთავარ საკითხის შესახებ:

პირველი. დაუყოვნებლივ უნდა იქნან შეიარაღებული საქართველოს წითელი არმიის შექმნის მიზნით მუშები და უღარიბესი გლეხები.

მეორე. ქართველი ინტელიგენციის და წვრილი ვაჭრების მიმართ საჭიროა დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა. უნდა შევიგნოთ, რომ წვრილი ვაჭრობის ნაციონალიზაცია არა თუ მიზანშეწონილია, არამედ ერთგვარი მსხვერპლიც უნდა გავიღოთ, ოღონდ კი გავაუმჯობესოთ მათი მდგომარეობა და დაუტოვოთ მათ შესაძლებლობა აწარმოონ წვრილი ვაჭრობა.

მესამე. მეტად მნიშვნელოვანია მისაღებ კომპრომისზე წასვლა ჟორდანიასთან ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდი აბსოლიუტურად მტრულად არ იყვნენ განწყობილი საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისადმი ერთგვარის პირობებით.

გთხოვთ გახსოვდეთ, რომ საქართველოს შინაური და საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველ კომუნისტებისაგან არ გაიმეორონ რუსეთის შაბლონი, არამედ აწარმოონ მოქნილი და თავისებური ტაქტიკა, დამყარებული ყოველგვარ წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტებისადმი დიდ დათმობებზე.

გთხოვთ პასუხს. ლენინი.

თითქო ძლიერი პროჟექტორის სხივებმა გაგვანათა წრე იმ განსაკუთრებული პოლიტიკური ამოცანების, რომლებიც იდგენ საქართველოს კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე... ამხ. ორჯონიკიძემ (ბაქოდან) და ჩვენ თბილისიდან აღუთქვით ამხ. ლენინს, რომ ჩვენ ცოდნისა და ძალების მიხედვით და მისი ჩვენდამი რეგულიარული ყურადღების იმედით, შევასრულებთ მის რჩევა-დარიგებას, რომელთაც მთლიანად ეთანხმებოდა მთელი ორგანიზაცია, გარდა რამდენიმე არხი-მემარცხენეებისა, რომლებიც ჩქარა სასტიკად გადიხარენ მარჯვნივ.

⁂

ამხ. ლენინმა აქტიური ყურადღების გამოჩენა დაიწყო ჩვენი საკითხებისადმი. მთავარი ძალა, რომელმაც განდევნა ბურჟუაზიული მთავრობა, მან დაუმორჩილა საბჭოთა საქართველოს მთავრობას. აი მისი განკარგულება დეპეშით მეთერთმეტე არმიის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოსადმი 1921 წლის 15 მარტის თარიღით:

„მეთერთმეტე არმიის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს. ასლი საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტს და ამხ ორჯონიკიძეს.

ვინაიდან № არმიის ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, თქვენ წინადადება გეძლევათ სრული კონტაქტი დაამყაროთ საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტთან და სასტიკათ შეუფარდოთ თქვენი მოქმედება რევკომის დირექტივებს, არ გაატაროთ არავითარი ღონისძიება, რომელთაც შეუძლიათ შეეხონ მოსახლეობის ინტერესებს საქართველოს რევკომთან შეუთანხმებლად, განსაკუთრებული პატივისცემით მოეპყრათ საქართველოს სუვერენულ ორგანოებს, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინეთ საქართველოს მოსახლეობის მიმართ. დაუყოვნებლივ სათანადო დირექტივები მიეცით არმიის ყველა დაწესებულებებს, მათ რიცხვში განსაკუთრებულ განყოფილებასაც. პასუხისგებაში მიეცით ყველანი, ვინც ამ დირექტივებს დაარღვევს. შეგვატყობინეთ დარღვევის თითეული შემთხვევა ანდა თუ გინდ მცირე უთანხმოებისა და გაუგებრობის შესახებ ადგილობრივ მოსახლეობასთან.

შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

ლენინი.

სამხედრო რევ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

სკლიანსკი.

ისე, როგორც ყველაფერი, რაც ლენინისაგან გამომდინარეობდა, ეს განკარგულებაც არ ყოფილა უბრალო, სხვისთვის დასანახველათ, გარეშე ქვეყნისთვის გამოქვეყნებული ბრძანება. როცა ლენინმა გაიგო, რომ ერთ-ერთი ბანკის საწყობში თბილისში არმიის გაზეთისათვის წაიღეს ას ფუთამდი ქაღალდი, რომელიც უცხოეთის ფირმას ეკუთვნოდა, მან გასცა განკარგულება ქაღალდის ჩამორთმევაში უშუალო დამნაშავეთ (სამხედრო პირებს) პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ამხ. მახარაძეს კი, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარეს გაუგზავნა დეპეშა მკაცრი ცენტრალურ კომიტეტისაგან პარტიულ სასამართლოში მიცემის შესახებ, თუ ის დაუშვებს სამხედრო პირების არა თავის საქმეებში ჩარევის გამეორებას.

⁂

ჩვენ მივიღეთ თბილისი, ისე როგორც მთელი საქართველო, გადატაკებული და გაძარცვული. თბილისის საწყობებში არ აღმოჩნდა არც ერთი ფუთი ფქვილი ან ხორბალი—მენშევიკებმა ცარიელი ტომრებიც კი წაიღეს.

გასაბჭოების პირველსავე დღეებში ჩვენ ჩრდილოეთ კავკასიიდან 150000 მეტი ფუთი პური მივიღეთ (გარდა არმიისათვის საჭირო პურისა) და დავიწყეთ მისი უფასოდ მიწოდება არა მარტო მუშებისათვის, არამედ ქალაქის ღარიბი მოსახლეობისათვის, „ღარიბების" რიგში საკმაო მრავლათ იყვნენ გუშინდელი ვაჭრები და სპეკულიანტები. რასაკვირველია, ასეთ პირობებში ვერავითარი დახმარება საბჭოთა რუსეთის მხრივ ვერ დააკმაყოფილებდა საქართველოს, ისე როგორც აზერბაიჯანსა და სომხეთს. მაგრამ თვით რუსეთში, განსაკუთრებით სატახტო ქალაქებში, თავი იჩინა პურის ნაკლებობამ. არმიას არა ერთხელ უხსნია ჩვენი სასურსათო კომისარიატი გამოუვალი მდგომარეობიდან, „უსესხებია" რამდენიმე ვაგონი პური და სხვა სურსათი, მაგრამ ცხოვრების ასე გაგრძელება ქვეყნისათვის, ხალხისათვის, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო. უნდა გვეფიქრა სიკვდილის ფერგადაკრულ, განშორებული, გადატაკებული, დაღარიბებულ ამიერ კავკასიის რესპუბლიკების მოთხოვნილებათა უფრო რეგულიარულ უზრუნველყოფის და ეკონომიური ცხოვრების გაჯანსაღების შესახებ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო სომხეთი: მშიერი, ტიფით დასნეული, ლტოლვილებით სავსე, შინაურ და გარეშე დაშნაკების წყალობით ობოლთა სასაფლაოდ ლების სახლად ქცეული. ამხ. ორჯონიკიძემ, როგორც კავკასიაში უმაღლესი პარტიული ორგანოს (რ. კ. პ. ც კ კავკასიის ბიუროს) ხელმძღვანელმა, აცნობა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ამიერ-კავკასიაში არსებული მდგომარეობა ლენინმა იმ წამსვე დასვა „ამიერ კავკასიის ავადმყოფობის სწორი დიაგნოზი ამხ ორჯონიკიძის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში:

„მივიღეთ თქვენი დაშიფრული ცნობა ამიერ-კავკასიის უკიდურესი მდგომარეობის შესახებ. ჩვენ მივიღეთ ზოგიერთი ზომები, ცოტა ოქრო მივეცით სომხეთს, დავადასტურეთ მრავალგვარი დავალებანი სასურსათო კომისარიატისადმი. მაგრამ მე უნდა გაგაფრთხილოთ, რომ აქ ჩვენ დიდ გაჭირვებას განვიცდით და დახმარებას ვერ მოვახერხებთ. დაბეჯითებით მოვითხოვ ამიერ-კავკასიისათვის საოლქო სამეურნეო ორგანოს შექმნას; წინ წასწიეთ მთელი ძალებით კონცესიების საქმე საქართველოში; შეეცადეთ თუგინდ საზღვარგარეთ შეიძინოთ თესლეული და წინ წასწიოთ მორწყვის საქმე აზერბეიჯანში ბაქოს რესურსების საშუალებით, რომ განავითაროთ მიწადმოქმედება და მესაქონლეობა. და აგრეთვე შეეცადოთ განავითაროთ საქონლის გაცვლა-გამოცვლა ჩრდილოეთ-კავკასიასთან. შეითვისეთ თუ არა თქვენ, ქართველო ამხანაგებო, ჩვენი ახალი პოლიტიკის მნიშვნელობა სასურსათო გადასახადთან დაკავშირებით. წაუკითხეთ ეს მათ და ხშირ-ხშირად მომაწოდეთ ცნობები. წაუკითხეთ ჩემი წერილი სერებროვსკის ბაქოში.

ლენინი.

9 აპრილი

აქ მოცემულია ამიერ კავკასიის სამეურნეო გაერთიანებისაკენ გზის აღების არა მარტო საერთო ხაზი, არამედ ამ გაერთიანების დაუყოვნებლივ, დაუბრკოლებლად პრაქტიკულად განხორციელების პირდაპირი დირექტივა. ჩვენდასამარცხვინოდ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ეკონომიური გაერთიანების ლენინის პროგრამის თავის დროზე და მთლიანად გატარება.

ამხანაგების ერთი ჯგუფის წინააღმდეგობის გამო „მთელი ამიერ-კავკასიისათვის საოლქო სამეურნეო ორგანოს" შექმნის საქმე ჰაერში გამოეკიდა. ჩვენ 1921 წლის განმავლობაში მოვახერხეთ მხოლოდ რკინისგზების გაერთიანება და გ. ვ. საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული კომისარიატის შექმნა. ამ კომისარიატს არაფერი მიუღია ჩვენი რესპუბლიკებისაგან არც ძირითადი და არც საბრუნავი ფონდები, მაგრამ მან რ. ს ფ. ს. რ. სხვადასხვა დროს მიიღო 7 მილიონ მანეთზე მეტი ოქროთი, რამაც არა მარტო იხსნა ამიერ კავკასიის რესპუბლიკები სიმშილისაგან, არამედ მკვდარი წერტილიდან დასძრა მათი სამეურნეო აღდგენის საქმეც

ლენინი არ დაკმაყოფილდა შემ მოყვანილი დეპეშით. რამდენიმე შემდეგ ისარგებლა რა ამხ ა. სნიკოვის სომხეთში (სომხეთის კომის თავმჯდომარედ) გაგზ შემთხვევით, მან კავკასიის კომ ტებს გაუგზავნა წერილი, წერი ნიმუში იმისა, თუ როგორი ფარ უბრალოდ და ნათლად შეეძლ ნინს ურთულესი პოლიტიკური ტაქტიკური პრობლემების გად ამხ. მიასნიკოვთან საუბრის დ ლენინმა აღნიშნა, რომ წერილში არის კვლავ ხაზგასმული ამიერ-კასიის რესპუბლიკების გაერთიან საჭიროება, რადგან მან დეპ უკვე გაუგზავნა კავკასიელ ამხანაგ სათანადო რჩევა-დარიგებანი.

აი ლენინის წერილიც.

აზერბეიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტ მთიელთა რესპუბლიკის ამხ. კომუნისტებს.

მხურვალედ ვესალმები რა კავკასიის რესპუბლიკებს, ნებას ვაძლევ ჩემ თავს გამოვსთქვა იმედი, რომ მათი მჭიდ კავშირი შექმნის ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუშს, მელიც არ უხილავს ბურჟუაზიულ სამყაროს და შეუძლებე ბურჟუაზიული წყობილების დროს.

მაგრამ რა მნიშვნელოვანი არ არის ნაციონალური კავკასიის ხალხების მუშებსა და გლეხებს შორის, მაგრამ უფ მეტად მნიშვნელოვანია შენარჩუნება და განვითარება საბჭო ხელისუფლებისა, როგორც სოციალიზმში გადასვლის საშუა ბის.

ამოცანა ძნელია, მაგრამ სავსებით შესაძლებელი. წარმატებით გადასაჭრელად ყველაზე უფრო მნიშვნელოვან რომ ამიერ-კავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ მათი მდგო რეობის, მათი რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურო ეს მდგომარეობა განსხვავდება რ. ს. ფ. ს. რ. მდგომარეო სა და პირობებისაგან. მათ უნდა შეიგნონ საჭიროება არ ბაძონ ჩვენ ტაქტიკას, არამედ დაფიქრებით შესცვალონ კონკრეტულ პირობების სხვადასხვაობის მიხედვით.

საბჭოთა რესპუბლიკას რუსეთში არსად არ ჰქონებია ლიტიკური და სამხედრო დახმარება, პირიქით, ის მთელ წლების განმავლობაში იბრძოდა ანტანტის სამხედრო თავდა მებისა და ბლოკადის წინააღმდეგ.

კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს ჰქონდათ პოლიტიკუ და მცირე რაოდენობით სამხედრო დახმარება რ. ს. ფ. ს. რ პუბლიკისგან. ეს არის ძირითადი განსხვავება.

მეორე: ანტანტის მხრით ახლა არ უნდა გვეშინოდ თავდასხმის და ქართველ, აზერბეიჯანელ, სომეხ, დაღესტნე მთიელ თეთრგვარდიელთა სამხედრო დახმარების. ანტანტ კბილები მოიმტვრია რუსეთზე, და ეს მას აიძულებს რამოდენ მე ხნის განმავლობაში, ალბათ, უფრო ფრთხილი იყოს.

მესამე: კავკასიის რესპუბლიკები—უფრო გლეხური ქვე ნებია, ვიდრე რუსეთი.

მეოთხე: ეკონომიურად რუსეთი იყო და საგრძნობ მოწყვეტილი რჩება მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებისგ კავკასიას შეუძლია უფრო ჩქარა და ადვილად მოაწყოს

ჩვენ და ბალტიის რესპუბლიკები

(საუბარი საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელთან ბალტიის რესპუბლიკებში ამხ. იუზბაშევთან)

სავაჭრო წარმომადგენლობის საქ[illegible]ის გამო თბილისში ჩამოვიდა ამხ. იუზბაშევი, რომელიც საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის მოვალეობას ასრულებს ლატვიასა, ლიტვასა და ესტონეთში.

ს | კავშირის და ბალტიის ნაპირად მდებარე რესპუბლიკების ეკონომიური ურთიერთობა.

ამხ. იუზბაშევი ჩვენი გაზეთის თანამშრომელს ესაუბრა იმ ეკონომიურ ურთიერთობათა შესახებ, რომელიც არსებობს ან შეიძლება დამყარდეს ს | კ. ფედერაციასა და ბალტიის რესპუბლიკებს შორის.

შორი მანძილი აგრეთვე მაღალი სარკინიგზო ტარიფი შეუძლებელს ხდის ამ ორი ქვეყნის მტკიცე ეკონომიურ ურთიერთობის დამყარებას.

ამ მხრივ დიდი საქმე იქნება, თუ აღვადგენთ ძველს სავაჭრო კავშირს, რომლის დანიშნულებას შეადგენდა ბალტიის სახელმწიფოებისთვის აქ დამზადებული ხმელი ხილეულობის, ღვინის და კულტარული მასალის ([illegible] ქსოვილთა აბრეშუმეული და სხვა) მიწოდება.

ჩვენი აქ ჩამოსვლის მიზანი არის ს | კ. სახელმწიფო ვაჭრობა დაუკავშირო ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობის კომერციულ მოქმედებას ბალტიის მხარეში.

საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის მოქმედება ბალტიის რესპუბლიკებში.

შემდეგი საუბრის დროს ამხ. იუზბაშევი შეეხო ბალტიის მხარეში საბჭ. კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობას, რომელსაც ბერლინის და ლონდონის წარმომადგენლობის მუშაობის შემდეგ მესამე ადგილი უკავია.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის მუშაობაში ქ. რიგაში მთავარი მნიშვნელობა აქვს ტრანზიტს (დასავლეთ საბჭოთა კავშირი).

შემოაქვთ უმთავრესად საბჭოთა კავშირის საწარმოო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონელი, რომელსაც კერძო ვაჭრები ჩვენში უფრო იაფად ყიდიან, ვიდრე მსოფლიო ბაზარზე ღირს. უკანასკნელ წლის იმპორტმა მიაღწია 3—4 მილიონ ოქროს მანეთ მდე.

ჩვენი ექსპორტი რიგის გზით—5—3—ჯერ სჭარბობს შემოტანას.

საბჭ. კავშირიდან გააქვთ უმთავრესად ხე-ტყე,—სელი, პირუტყვი, უკანასკნელ ხანებში კი პური.

საბჭოთა კავშირის პური უცხოეთის ბაზარზე.

უცხოეთში პურის გატანის ათი წლით შეჩერების, ელევატორების დანგრევის, საჭირო იარაღების და საწყობების უქონლობის მიუხედავად, მიუხედავად ამ საქმესთან განობილი პირების უცოდინრობისა და ორგანიზაციების მოუწყობლობისა, საგარეო ვაჭრ. სახ. კომმა შესძლო მაინც გერმანიაში, საფრანგეთში და იტალიაში პურის გაზიდვა, ხოლო ბალტიის მხარის და სკანდინავიის პურის ბაზრის სავსებით დაპყრობა.

პირველ ხანებში საბჭოთა პურს შეხვდენ მტრულად. ჩვენ მიმართ მტრულად განწყობილ წრეებში ხმას ავრცელებდენ, თითქოს ჩვენი პური ცუდი ღირსებისაა, ჩვენ პასუხისგებაშიც კი მივეცით ორი გაზეთი, რომელიც ამტკიცებდა თითქოს ჩვენ პურის საშუალებით ტიფი ვრცელდებოდეს. ჩვენ კომპეტენტურ პირების საშუალებით მოვახდინეთ ანალიზი, რომელმაც ცხადჰყო ამ ხმების სრული უსაფუძვლობა. ამ ქამად თვით ჩვენ მტრები სცნობენ ჩვენ პურს საუკეთესო ხარისხის პროდუქტად.

ფულის რეფორმა და დასავლეთი.

ჩვენი ფულის რეფორმას, როგორც ყოველ ჩვენს ღონისძიების დასავლეთის ბურჟუაზია სკეპტიკურად შეხვდა. თეთრგვარდიელთა პრესაზე ლაპარაკიც მეტია; მაგრამ, თანდათან იმის მიხედვით, როგორ ურყევ საბუთებს იღებდნენ იმის შესახებ, თუ რა ადგილს იჭერებდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში მტკიცე ვალიუტა, ბურჟუაზიულმა პრესამ სხვა კილოზე იწყო სიმღერა.

მას შემდეგ, რაც რომ ჩვენმა ჩერვონეცმა უცხოეთის ბირჟაზე ფეხი მაგრათ მოიკიდა, ხოლო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გამოვიდა ვერცხლის ხურდა ფული, ჩერვონეცი ბირჟაზე გადაიქცა ვალიუტათ, რომელიც წარმატებით კონკურენციას უწევს დოლარსა და ინგლისურ გირვანქა სტერლინგს.

ამ ორი კვირის წინად უნდა გადაწყვეტილიყო ლატვიის ბირჟას ჩერვონცის „კოტიროვკის საკითხი“ რომელიც შეაჩერა მხოლოდ იმ გარემოებამ, რომ საჭირო იყო მასზე ჩვენი თანხმობა.

წერეთელი რიგაში.

სხვათა შორის ამხ. იუზბაშევი შეეხო საუბრის დროს ირ. წერეთელს, რომელიც ლატვიის სეიმის სოც.-დემ. ფრაქციის მიერ რიგაში იქნა მიწვეული.

საბჭოთა კავშირის შესახებ რიგაში მის მიერ გაკეთებულ მოხსენების კილო სავსებით სხვა იყო, ვიდრე წლინახევრის წინედ მისგანვე რიგაშივე წარმოთქმულ სიტყვის ტონი. მას უკვე ეტყობოდა, რომ მისი პოზიციები შერყეულია. წერეთელი უკვე აღარ უარყოფს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ღრმად გაიდგა ფესვები საქართველოს მუშურ-გლეხურ მოსახლეობაში.

პარტიის ამოცანები შინაურ ვაჭრობის და კოოპერაციის დარგში

მოსკოვი. 12 აპრილი. რ. კ. პ. მოსკოვის ორგანიზაციის აქტიურ მუშაკთა კრებაზე ამხ. კუიბიშევმა თავის მოხსენებაში შინაურ ვაჭრობის და კოოპერაციის დარგში პარტიის ამოცანების შესახებ, აღნიშნა, რომ პარტიის მთავარი დირექტივი კერძო კაპიტალის განდევნის და სახელმწიფოებრივი კაპიტალის პოზიციის განმტკიცების შესახებ, შეთვისებულია ზოგიერთ ჩვენ მეურნეების მიერ. ზოგიერთი ტრესტები და სინდიკატები ჰყიდდენ საქონელს კერძო პირებზე ძალიან ხელსაყრელ პირობებში. ბანკებიც უხვად აძლევდენ კრედიტებს კერძო ვაჭრობას. მომხსენებელი ხაზს უსვამს კოოპერაციის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ „ცენტროსოიუზი“ დღემდის რჩება მხოლოდ და მხოლოდ მოვაჭრე ორგანოთ, რომელიც აწარმოებს საერთო კოოპერატიულ პოლიტიკას. ცეკას უკანასკნელი პლენუმი დიდ ყურადღებას აქცევს კოოპერაციას. პარტიის მორიგი ამოცანაა ჩვენი სამეურნეო ფრონტის ამ დარგის განმტკიცება.

შრომის ბაზრის მდგომარეობა საქართველოში 1923 წელს

შტატების შეუწყვეტილი შემცირება სახელმწიფო დაწესებულებებში, მრეწველობის კონცენტრაცია და აგრეთვე საბჭოთა კავშირის დაშორებულ კუთხეებიდან უმუშევარი პროლეტარიატის ლტოლვა ა | კ-ში ძალიან ცუდათ მოქმედებდა შრომის ბაზარზე, სადაც ისედაც ნაკლები იყო მშრომელი ხელის მოთხოვნილება.

მთელი წლის განმავლობაში შენიშნული იყო უმუშევრობის შეუჩერებელი ზრდა. 1-ლ იანვრისათვის ჩვენს რესპუბლიკაში აღრიცხული იყო 8,830 უმუშევარი, 1-ლ თებერვლისათვის უმუშევართა რიცხვი ავიდა—10,515, მაისში—13,951 აღწევდა, ხოლო აგვისტოში იყო 26,030 უმუშევარი.

ზაფხულის თვეებში რამოდენიმედ შეწყდა უმუშევართა ზრდა, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ უმუშევრები მიდიოდენ სოფლად სასოფლო სატყეო სამუშაოზე.

უმუშევართა მთელ რაოდენობიდან უმრავლესობა მოდის მთავარ ქალაქებზე 1 იანვრისათვის საქართველოში სულ იყო 23,527 უმუშევარი. ამ რიცხვიდან მთავარ ქალაქზე (თბილისზე) მოდის 16,960 კაცი ე. ი. 72 პროც. სა | კავ. ყველა რესპუბლიკებში მიწოდება სჭარბობდა ყოველთვის მოთხოვნილებას. პირველ მაისისთვის იყო მიწოდება—20365, ხოლო მოთხოვნილება—9,814. 1 ლ ივლისს მოწოდება უდრიდა—17,281, მოთხოვნილება კი—10,921.

უმუშევართა უდიდეს პროცენტს იძლევა საბჭოთა მოსამსახურენი (34,4 პროც.), მათ მოსდევს არა კვალიფიკაციური შავი მუშები (9,2 პროც.). კვალიფიკაციური მუშაკები, როგორც მაგ. მელითონეები, ქიმიკოსები, ფეიქრები და სხვა წარმოადგენენ უმუშევართა მცირე პროცენტს.

უმუშევარ მამაკაცთა საერთო რაოდენობა სჭარბობდა უმუშევარ დედაკაცთა რიცხვს, დედაკაცთა შორის უმუშევრობა შეადგენს საერთო უმუშევრობის 30 პროცენტს.

უმუშევრობის საშუალო პროცენტი მუშა მოსამსახურეთა მთელ მასასთან შედარებით, უდრიდა მთელ ა | კ ფედერაციაში 18—20 პროცენტს მაშინ, როცა სამრეწველო ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებში უმუშევართა ნორმალური რიცხვი 2—4 პროც. არ აღემატება.

უმუშევრობის შეუჩერებელმა ზრდამ პირველი რიგის საკითხად წამოაყენა ბრძოლა უმუშევრობასთან და შრომის ბაზრის მოწესრიგება.

უმუშევრობასთან ბრძოლის ძირითადი ფორმები იყო მშრომელთა არტელების მოწყობა, უმუშევართა დახმარება და საზოგადო მუშაობათა ორგანიზაცია.

მთავარი ყურადღება ექცეოდა უმუშევართაგან მშრომელთა არტელების მოწყობას. რესპუბლიკაში მოეწყო არტელების ცენტრალური ბიურო, რომელიც რესპუბლიკის მასშტაბით ხელმძღვანელობდა არტელების მუშაობას.

ამასთან ერთად პარალელურად სწარმოებდა უმუშევართა ფულადი დახმარება დამზღვევი ორგანოების მიერ. უკანასკნელ ხანებში უმუშევრობისაგან დაზღვეულთა რაოდენობა გაიზარდა და დახმარებათა ნორმაც გადიდდა. 1 ივლისისათვის დაზღვეულ უმუშევართა საერთო რაოდენობა შეადგენდა 3 639 კაცს, ესე იგი უმუშევართა საერთო რიცხვის 15,8 პრ. ივნისში დაზღვეულთ მიეცა 12 მილიარდ ნახევარი მანეთით დახმარება დახმარება ეძლეოდათ გასამკეცებული ხელფასით, რაც საშუალოდ შეადგენდა 12 საქ. მანეთს.

საერთოთ ა | კ-ში და კერძოდ საქართველოში უმუშევრობამ მეტამეტი ხასიათი მიიღო. ამიტომ ბაზრის მოსაწესრიგებლად მიღებულ იქნა სათანადო ღონისძიებები, რომელიც გამოიხატა მოუწესრიგებელ დაქირავებისა და ზედმეტი მუშაობის (რომელმაც სისტემატიური ხასიათი მიიღო) წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბაზრის მოწესრიგებისათვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა შრომის ბირჟის ორგანიზაციის და მისთვის შესაფერი მუშაკების შერჩევის საკითხის ტექნიკურ მხარეს.

ამ ტექნიკურ მხარეს სერიოზული ყურადღება ექცეოდა. ამავე დროს განხილული იქნა შრომის ბირჟის შემადგენლობა.

გარდა ამისა, დროგამოშვებით ხდებოდა უმუშევართა სოციალური მდგომარეობის შემოწმება და ის პირები, რომელნიც ჩაწერილი იყვნენ ბირჟაში იმ მოსაზრებით, რომ მიეღოთ უმუშევართათვის დაწესებული შეღავათები, და აგრეთვე არა მშრომელი ელემენტი დაუნდობლად იხსნებოდენ აღრიცხვიდან

ამხ. ლენინის დაბადების დღისათვის

(მისი ბიოგრაფიიდან)

დაბადების დღე.

ამხ. ლენინი დაიბადა 1870 წ. 10 (23) აპრილს ქ. სიმბირსკში.

გიმნაზიის დასრულების შემდეგ ვლადიმერ ილიჩი შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე ყაზანის უნივერსიტეტში. სატახტო ქალაქების უნივერსიტეტების კარები მისთვის, როგორც ტერორისტ-რევოლიუციონერის ძმისათვის დახურული იყო.

უნივერსიტეტში

ერთი თვის შემდეგ იგი სტუდენტების რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის, უნივერსიტეტიდან გამორიცხეს. მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ ჩააბარა ვლადიმერ ილიჩმა გამოცდები ექსტერნად.

მაგრამ იურიდიული კარიერა არ იტაცებდა ლენინს. მას რევოლიუციონური საქმიანობა ჰქონდა დასახული მიზნათ.

სამარაში ყოფნის დროს, ამხ. ლენინი გაეცნო მარქსიზმს.

მუშათა პირველი წრეები

1893 წლის შემოდგომაზე ის პეტერბურგს გაემგზავრა. იქ მან დააარსა მუშათა პირველი წრეები და თავის გარშემო იკრებდა მარქსისტების პირველ ჯგუფს.

ამ პერიოდს ეკუთვნის ვ. ი. პირველი არალეგალური ნაშრომი „ვინ არიან ხალხის მეგობრები და როგორ ებრძვიან ისინი სოციალ დემოკრატებს“.

პეტერბურგში ვ. ლენინი შედის სოც.-დემოკრ. წრეში „ცენტრალური ჯგუფი მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელად“.

პირველი გამგზავრება საზღვარ გარეთ.

1895 წლის აპრილში ლენინი გაემგზავრა საზღვარ-გარეთ, სადაც კავშირი დაიჭირა პლეხანოვთან, აქსელროდთან და ზასულიჩთან.

იმავე წლის სექტემბერში ის დაბრუნდა პეტერბურგში და მოაწყო „მუშათა განთავისუფლების მებრძოლი კავშირი“.

დატუსაღება და გადასახლება.

დეკემბერში კავშირთან ერთად ლენინიც დაატუსაღეს.

1897 მას ასახლებენ.

1900 წელს ის პეტერბურგში ბრუნდება, სადაც მას სამი დღით ატუსაღებენ.

ისევ საზღვარ-გარეთ

იმავე წელს ლენინი საზღვარ-გარეთ გაემგზავრა. შვეიცარიაში მან მოლაპარაკება გამართა შრომის განთავისუფლების ჯგუფთან.

1901 წელს თავის ახლო მეგობრებთან მარტოვთან და პოტრესოვთან ერთად გაზეთ „ისკრა“-ს გამოცემას შეუდგა, „ისკრა“ ისტორიული გაზეთია, რომელიც ვ. ი. სახელთან მტკიცედ არის დაკავშირებული. მტრებიცა და მოყვარენიც მას „ლენინის ისკრას“ ეძახოდენ.

„ისკრაში“ მან მოათავსა წერილი „საიდან დავიწყოთ“, რომელშიც გაშლილია რუსეთის რევოლიუციისა და მუშათა მოძრაობის მთელი უახლოესი პროგრამა.



სახლი ქ. სიმბირსკში, სადაც დაიბადა ლენინი.

ლენინის ამ წრეში იყო უკვე მოცემული ბოლშევიზმის დედა-აზრი. მაგრამ ვლადიმერ ილიჩისათვის ის მხოლოდ უბრალო კონსპექტი იყო, რომელზედაც მან შემდეგში ააგო თავისი წიგნი „რა ვაკეთოთ“.

„ისკრა“-ს პერიოდი.

„ისკრაში“ ვ. ი. ილიჩმა სასტიკი ომი გამოუცხადა ე. წ. „ეკონომისტებს“ (პ. სტრუვე და სხვები) ე. ი. მომავალ მენშევიზმს, სოციალისტ-რევოლიუციონერების ავანტიურიზმსა და იდეალიზმს.

„ისკრა“ პოლიტიკურ ბრძოლის გარდა დიდ საორგანიზაციო მუშაობას ეწეოდა. ის თავის გარშემო იკრებდა მუშათა დაქსაქსულ ძალებს.

მაგრამ თანდათანობით პოტრესოვი და პლეხანოვი გადაიხარენ სწორი მარქსისტული რევოლიუციონური ხაზისგან და როცა პლეხანოვი, რომელიც ყრილობაზე ლენინის მხარეზე იყო, ყრილობის შემდეგ მენშევიკებს მიეკედლა, ლენინი გამოვიდა „ისკრა“-ს რედაქციიდან და მის საწინააღმდეგოდ დააარსა პირველი ბოლშევიკური გაზეთი „ვპერიოდ“ და მისი საშუალებით სასტიკი ომი გაუმართა მენშევიკურ ოპორტუნიზმს.

მენშევიზმის წინააღმდეგ

1905 წელს შესდგა ბოლშევიკების პირველი ყრილობა. ფორმალურად მას რ. ს. დ. მ. პ. მესამე ყრილობას უწოდებდენ. ამ ყრილობაზე ჩაეყარა საფუძველი ახალ, ბოლშევიკურ პარტიას.

1905 წელი.

1905 წლის რევოლიუციაში ლენინმა ყველაზე დიდი როლი ითამაშა. პეტროგრადის მუშათა დეპუტატების პირველი საბჭო თუმცა მენშევიკებმა შექმნეს, მაგრამ ეს საბჭო თავის პრაქტიკულ საქმიანობაში მთლიანად ბოლშევიკების მხარეზე იყო.

მეორე ემიგრაცია.

რუსეთში კონტრ-რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ 1907 წელს ლენინი ისევ საზღვარ გარეთ გაემგზავრა (მეორე ემიგრაცია).

ჟენევაში მან გამოსცა წერილების კრებული „За 12 лет“.

საზღვარ-გარეთ ლენინი გაცხოველებულ ბრძოლას აწარმოებს ყველა ჯურის ოპორტუნისტებთან, იკრებს გარშემო ჭეშმარიტად რევოლიუციონურ ელემენტებს და ენერგიულ მუშაობას ეწევა პარტიის ცენტრალურ ორგანიზაციებში, კონფერენციებზე და თათბირებზე.

1911 წელს აშკარა გახდა, რომ მუშათა მოძრაობა რუსეთში ისევ აღორძინების გზას დაადგა. ამ დროს ჩვენ, ბოლშევიკებს პეტერბურგში უკვე გვქონდა ლეგალური გაზეთი „ზვეზდა“, მოსკოვში—„მისლ“, სახელმწიფო სათათბიროში კი ბოლშევიკური ფრაქცია ხუთი კაცით იყო წარმოდგენილი.

ამხ. ლენინი ხელმძღვანელობს სათათბიროს „ხუთეულის“ მუშაობას. აი როგორ ჰქონდა ლენინს წარმოდგენილი რევოლიუციონური პარტიის მუშაობა სათათბიროში და როგორ დარიგებას აძლევდა ის ბოლშევიკ დეპუტატებს.

„რათ გინდათ თქვენ ბიუჯეტის შესწორება, კადეტური კანონპროექტი. შენ ხომ მუშა ხარ, სათათბირო კი ზუბრების არის. შენ გამოდი იქ და მთელი რუსეთის გასაგონათ სთქვი სიმართლე მუშების შესახებ. შენ დახატე კაპიტალისტური კატორღის საშინელება, მოუწოდე მუშებს რევოლიუციისაკენ და შიგ დეპუტატებს უთხარი პირდაპირ: „თქვენ, საძაგლებო და მყვლეფელებო!“ შენ ისეთი კანონ-პროექტი შეიტანე იქ, რომ ნათქვამი იყოს: „სამი წლის შემდეგ, თქვენ შეგრაზმელო მემამულეებო, ბოძებზე ჩამოგახრჩობთ“ თქო. აი ეს იქნება ნამდვილი კანონ პროექტი“.

განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ლენინმა მსოფლიო ომის დასაწყისში და ომის დროს.

მსოფლიო ომის დროს.

ამ დროს ეკუთვნის მისი ცნობილი თეზისები „იმპერიალისტური ომი უნდა გადაიქცეს სამოქალაქო ომათ“.

მეორე ინტერნაციონალის გაკოტრებამ ოპორტუნისტული ელემენტების საბოლოოთ გადაბარგებამ ბურჟუაზიის ბანაკში დიდი გავლენა მოახდინა ლენინზე. ის ამ დროს შვეიცარიაში იყო და ენერგიულ მუშაობას აწარმოებდა შვეიცარიელ მუშებს შორის „ობორონცების“ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

ციმმერვალდის კონფერენციაზე 1915 წლის სექტემბერში ლენინი მემარცხენე ჯგუფს ხელმძღვანელობდა.

კინტალის კონფერენციაზე 1916 წ. მან წამოაყენა ლოზუნგები: სასწრაფო ზომების მიღება ომის ლიკვიდაციისათვის, საყოველთაო გაფიცვა, საბოტაჟი, შეიარაღებული აჯანყება, იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომათ.

რუსეთში დაბრუნება.

1917 წელს ლენინი თითქმის ათი წლის ემიგრაციის შემდეგ დაბრუნდა რუსეთში.

ჩამოსვლისთანავე ლენინმა დღის წესრიგში დააყენა საკითხი ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესახებ. ის თავიდანვე ხედავდა, რომ სახელმწიფოს სათავეში კადეტების დატოვება, რომლებიც გუშინ რესპუბლიკის სახელის ხსენებასაც კი ერიდებოდენ და შემდეგ კოალიციონური მთავრობის პოლიტიკა, რევოლიუციას უდიდეს საფრთხეს უმზადებდა. დემოკრატიული ლოზუნგებით მასების მოტყუების საშუალებით ნელ-ნელა მზადდებოდა ნიადაგი რესტავრაციისათვის.

ლენინი ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის მხოლოდ შესაფერ მომენტს უცდიდა.

ივლისის დღეების შემდეგ, როცა ესერ-მენშევიკების რესპუბლიკის კონტრ-რევოლიუციონური ბუნება სავსებით გამოაშკარავდა, მასებში რევოლიუციონური სულისკვეთების ზრდა სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ.

ივლისის აჯანყების დამარცხების შემდეგ ლენინი იძულებული გახდა გასცლოდა მოსკოვსა და პეტროგრადს, სადაც მის დასაჭერად კერენსკის წითელი „ოხრანკა“ ფეხზე იდგა და პრემიაც კი იყო დანიშნული მისთვის, ვინც მას დაატუსაღებდა. ვლადიმერ ილიჩმა ფინეთს შეაფარა თავი.

ფინეთიდან ის გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ივლისის დღეების შემდეგ შექმნილ მდგომარეობას, მან მჭიდრო კავშირი დაიჭირა პარტიის ცეკასთან და უგზავნიდა მას დირექტივებს სახელმძღვანელოდ.

მზადება ოქტომბრის აჯანყებისათვის.

ფინეთიდან მან მისწერა ც. კ. ისტორიული წერილი, რომელიც ასე თავდებოდა:

(„Довольно тянуть эту канитель, пужно окружить войсками Александринку, разогнать всю шваль и взять власть в своеи руки“)

ცენტრალური კომიტეტი არ დაეთანხმა მაშინ ამხ. ლენინს. ყველას ეგონა, რომ კიდევ ნაადრევია ხელისუფლების დაპყრობა, რადგან მენშევიკებსა და ესერებს კიდევ ბევრი მომხრეები ყავსო.

მაშინ ლენინი სტოვებს ფინლიანდიას და მიემგზავრება პეტროგრადში აჯანყების მოსამზადებლად.

24 ოქტომბერს ღამით მან თავის განზრახვა სისრულეში მოიყვანა და მძლავრი ლენინური დაკვრით დაამხო კერენსკის უძლური მთავრობა.

ნაცხოვრება“ და საქონლის გაცვლა-გამოცვლა კაპიტალისტურ დასავლეთთან.

ეს ყველა განსხვავება არ არის, მაგრამ აღნიშნული განსხვავებანიც საკმაოა, რომ გაგებულ იქნას სხვა ტაქტიკის საჭიროება.

მეტი სირბილე, სიფრთხილე, დათმობა წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ. გამოყენებული უნდა იქნას ეკონომიურად ყოველმხრივ, გაძლიერებულად, სასწრაფოდ, კაპიტალისტური დასავლეთი, კონცესიების პოლიტიკით და მათთან საქონლის გაცვლა-გამოცვლით, ნავთი, შავი ქვა, ნახშირი (ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი. ასეთია არა სავსებით სრული სია აუარებელ ბუნებრივ სიმდიდრეთა. არის უცხოეთთან კონცესიების და საქონლის გაცვლა-გამოცვლის პოლიტიკის ფართედ განვითარების სრული შესაძლებლობა.

უნდა ვქნათ ეს ფართედ, მტკიცედ, გონივრულად, წინდახედულად, ყოველმხრივ გამოვიყენოთ ეს მუშებისა და გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სამეურნეო მშენებლობაში ინტელიგენციის ჩასაბამათ. ყოველი ძალით განვავითაროთ მდიდარი ქვეყნის საწარმოო ძალები. ამისათვის იტალიასთან, ამერიკასთან და სხვა ქვეყნებთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის გამოყენებით, თეთრი ნახშირი, მორწყვა, მორწყვა განსაკუთრებითმნიშვნელოვანია, რომ ავაღორძინოთ მეურნეობა და მესაქონლეობა რამდენათაც არ უნდა დაგვიჯდეს. უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატიური გადასვლა სოციალიზმში—აი რა არის შესაძლებელი და საჭირო კავკასიის რესპუბლიკებისათვის, რ. ს. ფ. ს. რ. განსხვავებით: აი რა უნდა გაიგოთ და რისი განხორციელება მოახერხოთ ჩვენი ტაქტიკისაგან განსხვავებით.

ჩვენ პირველად გვიხდებოდა მსოფლიო კაპიტალიზმის რკალის გარღვევა. ჩვენ ეს რკალი გავარღვიეთ. ჩვენ დავიცავით თავი გააფთრებულ, ზებუნებრივ მძიმე და ძნელ, საშინელით მწვავე ომში თეთრების, ესერების, მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებსაც მხარს უჭერდა მთელი ანტანტა, მისი ბლოკადითა და სამხედრო დახმარებით.

თქვენ, კავკასიელო ამხანაგებო, არ გჭირდებათ რკალის გარღვევა. საჭიროა მეტის სიფრთხილითა და სისტემატიურობით ახალის შექმნის ცოდნა, გამოყენებული უნდა იქნას თქვენთვის ხელსაყრელი 1921 წლის პირობები. ევროპაცა და მთელი მსოფლიო 1921 წ. უკვე არ არის ის, რაც 1917 და 1918 წ. იყო.

არ უნდა წაბაძოთ ჩვენს ტაქტიკას, არამედ დამოუკიდებლათ მოიფიქროთ მისი თავისებურობის მიზეზები, პირობები და მისი შედეგები. გამოიყენოთ თქვენში 1917—21 წ. წ. გამოცდილება არა სიტყვა-სიტყვით, არამედ მისი სული, აზრი, გაკვეთილები. ეკონომიურად ერთბაშად დაეყრდნოთ საქონლის გაცვლა-გამოცვლას კაპიტალისტურ უცხოეთთან, ნუ იძუნწებთ: დე ათეული მილიონი უძვირფასესი მთის პროდუქტები ხვდეს მათ.

ერთბაშად შეეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხობის მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტროფიკაციის და მორწყვის ფართე მუშაობა. მორწყვა ყველაზე უფრო საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, გაამაგრებს სოციალიზმში გადასვლას.

ბოლოს ვიხდი ამ ნაუცბათევ წერილისათვის, რომელიც მე სასწრაფოდ უნდა დამეწერა, რომ ამხ. მიასნიკოვის საშუალებით გამომეგზავნა და ერთხელ კიდევ გიგზავნით—საუკეთესო სალამს და სურვილებს კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მუშებსა და გლეხებს.

ნ ლენინი.

მოსკოვი. 1921 წ. 14 აპრილი

რკინის გზების გაერთიანებამ და საერთო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შექმნამ დადებითი ნაყოფი გამოიღო. მაგრამ ამასთანავე გამოირკვა, რომ საჭიროა უფრო მჭიდრო სამეურნეო გაერთიანება და აგრეთვე პოლიტიკური, სახელმწიფო ხასიათის გაერთიანებაც. თვითეული რესპუბლიკა განაგრძობდა ცალკე ცხოვრებას თავისი კარჩაკეტილი მეურნეობის ფარგლებში, მას ჰქონდა თავისი საკუთარი ფულის სისტემა, საბაჟოები და სხვა. ამან კი ზიანი მიაყენა ყველა რესპუბლიკების ეკონომიკას. გაერთიანებულ რკინისგზებს და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს არ ყავდათ პირდაპირი პოლიტიკური პატრონი. ეს არანორმალური მდგომარეობა იყო და ამას ზიანი მოჰქონდა საქმისათვის.

საზღვრების საკითხები მოითხოვდენ მუდმივ მ მქმედ ორგანოს შექმნას, რომლის გადაწყვეტილებები ავტორიტეტული და ყველასათვის სავალდებულო იქნებოდა—ამის გარეშე ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკების ხალხთა ეროვნული მშვიდობიანობის და ძმური თანამშრომლობის საქმე ვერ იქნებოდა მტკიცე. ყველა ეს გარემოებები მოითხოვდენ სამეურნეო კავშირის გაძლიერებას—ერთიანი ფულის სისტემის შემოღებას, საბაჟო დაბრკოლებების გაუქმებას და სხვას და ამიერ კავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფო გაერთიანებას ურთიერთ შორის და დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებთან. იდეა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ დასმული იყო ამიერ კავკასიის პარტიულ და საბჭოთა ორგანოების დღის წესრიგში 1921 წ. შემოდგომაზე. რუსეთის კომპარტიის კავკასიის ბიუროს პლენუმის მიერ ბაქოში გამოტანილი ცნობილი გადაწყვეტილება ამ საკითხის შესახებ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფო გაერთიანებისათვის დაწყებულ ბრძოლის გამოსავალ მომენტად გახდა. როგორი იყო ლენინის დამოკიდებულება ამ რესპუბლიკების პოლიტიკური გაერთიანების იდეისადმი? ამ კითხვაზე საუკეთესო პასუხს იძლევა ამონაწერი რუსეთის კომპარტიის ცეკას მდივნის ამხ. სტალინის საანგარიშო მოხსენებიდან, რომელიც მან გააკეთა მე 12 ყრილობაზე (იხ. „ოქმები“. გვ. 184):

„... ძირითადი საკითხი ამიერ-კავკასიაში—ეს არის საკითხი ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ. ნება მომეცით წაგიკითხოთ პატარა დოკუმენტი, რომელიც ლაპარაკობს რ. კ. პ. ცეკას მიერ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესახებ გაცემულ დირექტივის ისტორიაზე.

1921 წ. 28 დეკემბერი. ამხ. ლენინი მიგზავნის მე თავის წინადადების პროექტს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ. იქ ნათქვამია: 1) ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის დაარსება პრინციპიალურად ცნობილი იქნეს აბსოლიუტურად მისაღებად და ის უთუოდ უნდა მოეწყოს, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება ჩაითვალოს ნაადრევათ, რადგან ამ საკითხის განსახილველად, სათანადო პროპაგანდის გასაწევად და მისი ქვევიდან გასატარებლად საჭიროა რამოდენიმე კვირა; 2) წინადადება მიეცეს საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს, ეს გადაწყვეტილება გაატარონ ცხოვრებაში“. მე მიწერ-მოწერას ვაწარმოებ ამხ. ლენინთან და წინადადებას ვაძლევ მას არ აჩქარდეს, დაიცადოს და დრო მისცეს ადგილობრივ მუშაკებს, რომ მათ შესძლონ ფედერაციის ცხოვრებაში გატარება. მე მას ვწერ: „ამხ. ლენინ, თქვენი რეზოლიუციის წინააღმდეგი მე არ ვიქნები, თუ თქვენ დაეთანხმებით შემდეგ დამატებას: სიტყვების მაგიერ „რომელნიც მოითხოვენ განხილვას რამოდენიმე კვირის განმავლობაში“ პირველ მუხლში ჩაუმატოთ: „რომელნიც მოითხოვენ განსაზღვრულ დროს განსახილველათ“ და სხვა, თანახმათ თქვენი რეზოლიუციისა. საქმე იმაშია, რომ ფედერაციის „გატარება“ საქართველოში „ქვევიდან“, „საბჭოთა წესით“ რამოდენიმე კვირის განმავლობაში შეუძლებელია, რადგან საქართველოში მხოლოდ ეხლა ეწყობიან საბჭოები. მათი მშენებლობა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ერთი თვის წინათ საბჭოები საქართველოში სულ არ ყოფილა და იქ „საბჭოების ყრილობის“ მოწყობა „რამოდენიმე კვირის“ განმავლობაში ყოვლად შეუძლებელია, და ამიტომ ფედერაცია საქართველოს გარეშე მხოლოდ ქაღალდზე დარჩება. ვფიქრობ, რომ საჭირო იქნება ორი-სამი თვე იმისათვის, რომ ფედერაციის იდეამ გაიმარჯვოს საქართველოს ფართო მასებში „სტალინი“. ამხ. ლენინი მიპასუხებს: „მე ვიღებ ამ დამატებას“. ერთი დღის შემდეგ ეს წინადადება მიღებული იქნა და მას ხმა მისცეს ამხ. ამხ. ლენინმა, ტროცკიმ, კამენევმა, მოლოტოვმა, სტალინმა. ზინოვიევი კრებას არ დასწრებია, მას მაგიერათ დაესწრო მოლოტოვი. ეს გადაწყვეტილება პოლიტბიუროს მიერ ერთხმად მიღებული იქნა 1921 წ. დამლევს. ამ დროიდანვე იწყება ქართველ კომუნისტების ერთი ჯგუფის ბრძოლა ამხ. მდივანის მეთაურობით ცეკას მიერ ფედერაციის შესახებ გაცემულ დირექტივის წინააღმდეგ“...

ამის შემდეგ კომენტარიები ზედმეტია. ლენინი არა თუ საჭიროთ სთვლიდა ამიერ კავკასიის ფედერაციის გატარებას, არამედ ის მოუთმენლობას იჩენდა და მოითხოვდა ამ „აბსოლიუტურათ სწორ და უეჭველათ განსახორციელებელ“ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ რეალიზაციას. მაგრამ ასე არ აფასებდენ ამ გადაწყვეტილებას ზოგიერთი ამხანაგები, რომელთაც არ უნდოდათ დამორჩილებოდენ ადგილობრივ და ცენტრალურ პარტორგანოების გადაწყვეტილებებს და აგრეთვე ამიერ კავკასიის ფართო მასების ნებისყოფას.

ამხანაგების ამ ჯგუფმა დაიწყო და შემდეგაც განაგრძო ბრძოლა ისეთი ენერგიით და გაქნილობით, რომელიც სულ სხვა მხრივ უნდა ყოფილიყო მიმართული საბჭოთა ქვეყანაში. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ლენინის მეთაურობით შემდეგ არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი აზრი ამ „სადაო“ საკითხის შესახებ. აი, მაგალითად, 1922 წ 5 აპრილს, ცენტრალურ კომიტეტს, ლენინის მონაწილეობით, გამოაქვს ვრცელი დადგენილება საქართველოს კომპარტიის მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ბრძოლა ნაციონალური მშვიდობიანობის გამტკიცებისათვის და ამიერ-კავკასიის მშრომელი მასების ძმური სოლიდარობა წინანდებურათ კომპარტიის ძირითადი ამოცანაა. კერძოთ, ცეკა ადასტურებს რა ერთხელ კიდევ თავის გადაწყვეტილებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, ავალებს ამიერ-კავკასიის კომპარტიებს უეჭველათ და უსიტყვოთ გაატარონ ცხოვრებაში ეს გადაწყვეტილება“...

ამრიგად, მშობლის უფლება ამიერ-კავკასიის ხალხთა სახელმწიფოებრივი გაერთიანების წარმოშობაზე უდაოთ ეკუთვნის ამხ. ლენინს. ლენინმავე შეიყვანა ა. კ. ფ. ს. რ. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში ამ ძლიერ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ერთ-ერთ მეოთხე შემადგენელ ნაწილის სახით; ამ სახელმწიფოს დაარსების იდეა ეკუთვნის მასვე.

⁂

ლენინი არ კმაყოფილდებოდა მარტო ამ დირექტივებით. ის დროგამოშვებით არკვევდა რა კეთდება, რა გაკეთდა, რა უნდა შეიცვალოს. აჩქარებდა იმათ, ვისგანაც იყო დამოკიდებული საქმის წარმატება. ამხნევებდა, საჭიროებისდამიხედვით ემუქრებოდა მკაცრი პარტიული სასჯელით. მისი წერილების წაკითხვა სხვადასხვა საკითხებზე, ისეთ საკითხებზე, რომელნიც ერთი შეხედვით მისთვის, საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადისათვის მეტად უმნიშვნელო საკითხებს უნდა წარმოადგენდენ, ეს ნიშნავს წინასწარ განსჭვრეტის და მმართველ-გამგეობის მთელი სკოლის გავლას. ეს წერილები, ჩვეულებრივ არ არის გრძელი, მაგრამ ისინი ისე დაწერილი, რომ მათი წაკითხვის შემდეგ ვერ დაწყნარდები იმ დრომდე, სანამ არ შეასრულებ წერილის ავტორის მიერ მოცემულ რჩევა დარიგებებს. მოკლე წინადადებები თითქოს აზრებს ისვრიან—стреляют мыслями (გამოთქმა, მგონი ამხ. სტალინს ეკუთვნის), ზოგიერთი სიტყვები ხანდახან ხაზგასმულია ორჯერ, სამჯერ და კიდევ მეტჯერ.

აი, მაგალითად, ამხ. ორჯონიკიძისათვის გამოგზავნილი წერილი საქართველოს წითელი არმიის მოწყობის შესახებ.

„ამხ. სერგო. აბსოლიუტურათ აუცილებელია, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობაზე მიღებული იქნეს გადაწყვეტილება საქართველოს წითელი ჯარის გაძლიერების შესახებ (ხაზგასმულია აქ და ქვევით დედანში, მ. ო.), აუცილებელია აგრეთვე, რომ ეს გადაწყვეტილება გატარებული იქნეს **საქმით**.

უკიდურეს შემთხვევაში, თუ გლეხები წინააღმდეგი არიან, მაშინ საჭიროა, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნეს თუ გინდ საერთო სახით: აუცილებლათ ცნობილი იქნეს „უეჭველათ გაძლიერდეს საქართველოს წითელი არმია და ჩაბმული იქნენ ამ საქმეში სამუშაოთ ხელისუფლების ყველა ორგანოები და მშრომელი მასები“ და სხვა.

მაგრამ საქმით ყოველ მიზეზს გარეშე დაუყოვნებლივ განვითარებული და გაძლიერებული უნდა იქნეს საქართველოს წითელი არმია. დეე თავდაპირველათ იყოს ერთი ბრიგადა, დეე წითელი კურსანტების რიცხვი იყოს 2—3 ათასზე ნაკლები, მაგრამ ისე, რომ მათ შორის იყოს ათას ხუთასი კომუნისტი, რომ შემდეგ ამ კურსანტებმა შესძლონ, (იქნებიან რა კადრებათ) როდესაც საჭირო იქნება, გარდაიქმნან არმიათ, ეს აბსოლიუტურათ აუცილებელია.

სტალინმა შეიძლება უფრო დაწვრილებით მოგწეროთ ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის სამხედრო-ტექნიკურ საშუალებების შესახებ.

მე მხოლოდ ვეხები საქმის პოლიტიკურ მხარეს: ამის შეუსრულებლობისათვის გამოგრიცხავთ პარტიიდან ყოველ მიზეზს გარეშე (безо всяких). აქ ხუმრობა არ შეიძლება. ეს პოლიტიკურათ აბსოლიუტურათ აუცილებელია და თქვენ პირადათ და საქართველოს მთელი ცეკა პასუხს აგებთ ამისათვის მთელი პარტიის წინაშე. ველი პასუხს. თქვენი **ლენინი**.

13 იანვარი 1922 წ. ეს ამხ. სერგოსთვისაც და საქართველოს კომპარტიის ცეკას ყველა წევრებისთვისაც“.

„ყოველ მიზეზს გარეშე“ და ამხ. ორჯონიკიძეც და ყველა დანარჩენებიც შეუდგენ საქმეს და წინ წასწიეს ის; და თუ ეხლა საქართველოს არმია არსებობს (ჩქარა ის გახდება კორპუსათ) და თუ მას უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს საერთო მუშურ-გლეხურ არმიაში, ეს უმთავრესათ ამხ. ლენინის წყალობით, რომელმაც ჩვენზე უკეთ იცოდა ჩვენი მტკივნეული ადგილები; ის დამოწმუნებისა და იძულების შეერთებული მეთოდით აიძულებდა იმას, ვისგანაც დამოკიდებული იყო, წინ წაეწია საქართველოს მუშების და გლეხების ნამდვილი შეიარაღებული ძალის შექმნის შეფერხებული საქმე.

ანდა ავიღოთ ლენინის მეორე წერილი ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის შესახებ. ეს წერილი რამოდენიმეთ იმ მახინჯი კინკლაობის გამომხატულობის პროდუქტია, რომელიც აღმოცენდა ამიერ კავკასიის ფედერაციის საკითხის გარშემო. მოსკოვი დათანხმდა მიეცა ჩვენთვის ერთი მილიონი მანეთი ზემო ავჭალის სადგურის ასაგებად, მაგრამ ერთ-ერთმა ამხანაგმა იმ ჯგუფიდან, რომელსაც არ სწამს ამიერ კავკასიის რესპუბლიკების არავითარი მთლიანობა, როდესაც ის მოხვდა სამუშაოთ რ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატში, პროტესტი განაცხადა ფინანსთა სახალხო კომისარიატში და რ. კ. პ. ცეკაშიაც სუბსიდიის მიცემის წინააღმდეგ თბილისის აღმასკომისათვის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის ასაგებად. ეს ამხანაგი ამტკიცებდა, რომ თბილისის აღმასკომს ასეთი საქმეებისათვის საკმაო საშუალებები აქვს ბუნებრივია, რომ საქართველოს პასუხისმგებელ მუშაკის ასეთმა ოფიციალურმა განცხადებამ შეცდომაში შეიყვანა ის მოსკოველი ამხანაგები, რომელნიც თანახმა იყვნენ სუბსიდიის მიცემაზე, და აი ამხ. ლენინი 1922 წ. 16 ოქტომბერს ამხ. ორჯონიკიძეს ნაჩქარევათ სწერს წერილს:

ამხ სერგო! სტალინიც და სოკოლნიკოვიც წინააღმდეგი იყვნენ სუბსიდიის მიცემის ელექტრონის სადგურის ასაგებათ თბილისის ახლოს. კომპრომისი: თუმანოვის წამოსვლა. მოეპყარით განსაკუთრებული (ხაზგასმულია ორჯერ მ. ო.) ყურადღებით. გამოგზავნეთ ყველა მასალები (საქმეთა მმართველისათვის), მე გამომიგზავნეთ მთელი მასალაც და მოკლე (ხაზგასმული სამჯერ. მ. ო.) ცნობა (პირადათ ჩემთვის). თქვენი ლენინი“.

მაგრამ სადგურის ბედი გამოსწორდა. თბილისის აღმასკომმა ცენტრიდან უკვე მიიღო სამ მილიონამდე მანეთი ზემო-ავჭალის სადგურისათვის. ჩვენი განვითარების ამ უძლიერესი კერის აგების სიამაყეს თბილისის პროლეტარიატი, ეჭვს გარეშეა, გაუნაწილებს ლენინს, რომელიც არის საბჭოთა კავშირის მთელს სივრცეზე ელექტროფიკაციის გამტარებელი გენიოსი.

მ. ორახელაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

მთლიანობის დემონსტრაცია

(შთაბეჭდილებები თბილისის პარტკონფერენციიდან)

ყოფილი ჯურის და სახის კონტრრევოლიუცია იმედებით ივსება, როგორც კი სადმე ყურს მოკრავს ჩვენს შინაურ უთანხმოებაზე. პარტიაში აზრთა სულ მცირე სხვადასხვაობაც კი მას დიდ უფსკრულად ეჩვენება; ამას წინედ წარმოებული პარტიული დისკუსიის დროს, როგორც შინაური, ისე საერთაშორისო კონტრ რევოლიუცია სიხარულით ცას სწვდებოდა, თავის დღესასწაულისთვის ემზადებოდა.

მაგრამ როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც ნაადრევი აღმოჩნდა დღესასწაული და კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

მოკვდა პარტიის ბელადი ლენინი და მშრომელ მებრძოლთა საერთაშორისო ბანაკში საერთო მწუხარებასთან ერთად გაისმა მძლავრი მოწოდება: ლენინის მთლიანი პარტიისკენ; მოკვდა ლენინი, მაგრამ უკვდავია ლენინიზმი, რომლის გარშემო სულ რამოდენიმე კვირის განმავლობაში ასიათასობით შემოკრბა პროლეტართა ახალი ძალები.

წარმოებულ დისკუსიიდან ჩვენი პარტია კიდევ უფრო გამაგრებული გამოვიდა. კონტრ-რევოლიუციის იმედები პარტიაში განხეთქილების შესახებ გაცრუვდა და გაცრუვდებიან მომავალშიც. ეს ცხადათ სჩანდა თბილისის გუშინდელ პარტკონფერენციაზე, რომელიც საუკეთესო დემონსტრაცია იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ძლიერების, მთლიანობის და სიმტკიცის. სასახლის უზარმაზარი წითელი დარბაზი ზანზარებდა პროლეტართა ტაშის გრიალით და ოვაციებით, როდესაც პარტიის ერთმა უხუცესმა წევრმა ფილიპე მახარაძემ დაამთავრა თავისი სიტყვა მთლიანობისაკენ და სოლიდარული მოქმედებისაკენ მოწოდებით. სულგანაბული უსმენდა მთელი დარბაზი ძველი რევოლიუციონერის სიტყვას, რომლის დასასრულ გაისმა მქუხარე ტაში და ყველა დამსწრეთ სახეზე სიხარულის სხივები თამაშობდენ ეს სიხარული ამ დარბაზიდან მთელ საქართველოს და ამიერ-კავკასიის მშრომელთა გადაეცემა.

პარტიის მეორე ძველმა მოღვაწემ, ამხ. მიშა ოკუჯავამ მოკლე ანალიზი გაუკეთა შინაპარტიულ უთანხმოებას, განაცხადა რომ პარტიაში აზრთა გამომუშავების დროს შესაძლებელია სხვადასხვაობა, უთანხმოება, მაგრამ უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილების შემდეგ უთანხმოებას ნიადაგი და საფუძველი ეკარგება. მე 12 პარტყრილობამ ამოსწურა, გადასჭრა ყველა საკითხები, რომლებიც უთანხმოებას და შინაპარტიულ ბრძოლას იწვევდენ ამის შემდეგ უთანხმოებამ დაკარგა პრინციპიალურ იდეიური ხასიათი და დღეს უკვე ჯვარი უნდა დავუსვათ წარსულ შინაპარტიულ დამოკიდებულებათ, განვამტკიცოთ პარტიის მთლიანობა, რომელიც საჭიროა განსაკუთრებით საქართველოში. მისი სიტყვის დასასრული პარტიის მთლიანობის შესახებ აგრეთვე დარბაზის საერთო ტაშის გრიალით იქნა დაფარული.

მშვენიერი იყო ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვა, რომელმაც აღნიშნა, რომ როგორი მძიმე და დიდი უთანხმოებაც არ უნდა იყოს პარტიის შიგნით თეთრგვარდიელთა სასიხარულო საქმეს პარტია არ გააკეთებს.

პარტიის ქვედა ფენები სადი იყო თავიდანვე, ზედაფენებიც ჯანსაღია. საერთო ტაშის ქვეშ ის აცხადებს, რომ დღევანდელი დღე არის ჩვენი ორგანიზაციის მთლიანობის დემონსტრაციის დღე..

ამხ კახიანის საკმაო ვრცელი მოხსენებიდან სჩანდა, რომ თბილისის, ორგანიზაცია სულ სამი წლის განმავლობაში დიდათ გაზრდილა განსაკუთრებით მისი მუშური ნაწილი, რომელიც 800 კაციდან უკვე 4000-დე ასულა. მუშური შემადგენლობით პარტია უკვე გათანასწორებია და გაუსწრია კიდეც ისეთი ორგანიზაციებისთვის, რომლებიც პროლეტარულ ცენტრებში მოქმედებენ: ლენინგრადი, ივანოვო-ვოზნესენსკი და სხვა.

პარტიამ დიდი ძალა-გავლენა მოიპოვა უპარტიო მასებშიც, რომლებიც თავის კონფერენციებზე სრულ ნდობას უცხადებენ ლენინის მიერ გაწვრთნილ მებრძოლთა რიგებს.

უდიდესი ანტიკომუნისტური ორგანიზაცია —მენშევიკური პარტია სრულებით დაიშალა ჯერ კიდევ წარსულ ზაფხულში. კიდევ უფრო ადვილათ ჩატარდა სხვა ანტისაბჭოთა პარტიების დაშლა.

თბილისის კომიტეტს დიდი სამუშაო ჰქონდა, რომელიც მან საერთოდ პირნათლად და ბრწყინვალედ შეასრულა, რაც თვით ამხ. ტროცკის მიერაც იყო აღნიშნული მისი თბილისში ყოფნის დროს.

ამ სასახელო და საპასუხისმგებლო მუშაობას თბილისის კომიტეტი მომავალში კიდევ უფრო უკეთ გაუძღვება.

და კიდევ უფრო გაბედული ნაბიჯებით წაიყვანს წინ კომუნიზმის სრული გამარჯვებისკენ

დამსწრე

თბილისის პარტკონფერენცია

21 აპრილს საღამოს 6 საათზე სასახლის წითელ დარბაზში გაიხსნა თბილისის ორგანიზაციის (ქალაქის და მაზრის) პარტიული კონფერენცია. ამხ. რუბენმა მოკლე შესავალ სიტყვაში აღნიშნა ის განსხვავება, რომელიც არსებობს პარტიულ მუშაობაში შარშანდელ მესამე კონფერენციის დროს და ეხლა. განვლილ წელში პარტიამ დიდ შედეგებს მიაღწია და დიდი მუშაობა აწარმოვა. შეიძლება ბევრი შეცდომები გვქონოდა და კონფერენცია იტყვის თავის სიტყვას მათ შესახებ. მაგრამ ჩვენი ორგანიზაციის გაძლიერება ყველასათვის თვალსაჩინოა და მთლიანობის დაცვით მომავალში ის კიდევ უფრო გაბედული ნაბიჯებით წავა წინ.

პრეზიდიუმის არჩევნები და დღის წესრიგი.

პრეზიდიუმში: არჩეულ იქნენ: მიხა ცხაკაია, ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, კახიანი, რუბენი, ქვთარაძე, მასხულია, ჩოდრიშვილი და სუხიშვილი.

სამდივნოში: გ. სტურუა, ვართაპეტიანი და გოლდბაუმი.

საპატიო თავმჯდომარეებათ: ზინოვიევი, ტროცკი, რიკოვი, სტალინი და სერგო ორჯონიკიძე.

ამის შემდეგ კონფერენციამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1. **თბილისის კომიტეტის ანგარიში**—მომხსენებელი ამხ. კახიანი.
2. **პროფმოძრაობის მორიგი ამოცანები**—მომხსენებელი ამხ ყურულაშვილი.
3. **კოოპერაცია და ხაზინმწიფო ვაჭრობა**—მომხსენებელი ამხ ერქომაიშვილი.
4. **საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები**—მომხსენებელი ამხ. მ. ორახელაშვილი.
5. **პარტმშენებლობა**—მომხსენებელი ამხ. რუბენი.
6. **არჩევნები.**

კონფერენციაზე წაკითხულ იქნა მისალმება კონფერენციისადმი ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშებისაგან. რეგლამენტის მიღების შემდეგ ამხ. კახიანი აკეთებს მოხსენებას თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ.

თბილისის კომიტეტის ანგარიში

ამხ. კახიანი აცხადებს რომ ვრცელ ანგარიშს კონფერენციას ის არ წარუდგენს, რადგანაც დაბეჭდილი ანგარიში საკმაო ცნობებს იძლევა თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ, რომლის შესახებ მოხსენებები გაკეთებულ იქნა აგრეთვე სარაიონო კონფერენციებზე. ჩვენს პარტიას განსაკუთრებულ პირობებში მოუხდა მუშაობის დაწყება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებიდან. ლენინი გვირჩევდა საქართველოში მოქნილი პოლიტიკა გვეწარმოებია. ჩვენც ასე ვიქცეოდით. ინტელიგენცია და წვრილი ბურჟუაზია, რომელიც მრავალრიცხოვანია საქართველოში მეტყევ წრეებს ეკუთვნიან. სწორედ მათ მიმართ იყო საჭირო მოქნილ პოლიტიკის წარმოება, რაზედაც მიგვითითებდა ლენინი, პატრიოტიზმის და პარლამენტარიზმის ყოვლად შემძლეობის წინააღმდეგ დიდი ბრძოლა დაგვჭირდა.

1922 წ. მეთერთმეტე პარტყრილობაზე ლენინმა განაცხადა, რომ უნდა შევაჩეროთ უკან დახევა ეკონომიურ ფრონტზე. საჭირო იყო აგრეთვე სასტიკი ბრძოლის გამოცხადება ანტისაბჭოთა პარტიების წინააღმდეგ. ამის მიხედვით ჩვენ საქართველოში შეტევაზე გადავედით ყოველგვარ ბანდიტურ და კონტრრევოლიუციონური ძალების წინააღმდეგ. პროლეტარიატის დიქტატურის ინტერესები ამას მოითხოვდა.

როდესაც მენშევიკები აშკარათ გადავიდენ კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკში და აქტიური ბრძოლა დაიწყეს ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენც იძულებული გავხდით მათ წინააღმდეგ რეპრესიული ზომები გაგვეძლიერებია.

ანტისაბჭოთა პარტიების დაშლა

მალე მენშევიკთა პარტიის დაშლაც დაიწყო. ბიქტორ თევზაძის განცხადებას მთელ რიგ მენშევიკთა განცხადება მოყვა, რომლებმაც დაგმეს თავის პარტია და თანდათან დაგვიახლოვდენ ჩვენ. ჩვენ უნდა გაგვეღრმავებია ეს გათიშვა მენშევიკური პარტიასა და მიგვეთითებია რომ საშუალო გზა არ არსებობს. მოწვეულ იქნა ყოფილ მენშევიკთა სარაიონო და საქალაქო კონფერენციები და შემდეგ კი სრულიად საქართველოს ყრილობა, რომელზედაც 12,000 მენშევიკური პარტიის წევრმა დაგმო პარტიის ძველი ხაზი გამოაცხადეს პარტია დაშლილათ და მოახდინეს მისი ლიკვიდაცია. მენშევიზმი მოკვდა და მისი გამოცოცხლება აღარავის ძალუძს.

ყოფილი მენშევიკები დადგენ საბჭოთა ხელისუფლების და კომინტერნის პლატფორმაზე, მაგრამ საჭიროა მათ სავსებით შეითვისონ კომპარტიის იდეები და ტაქტიკა. მანამდე კი მათი პარტიაში შემოყვანა დიდი სიფრთხილით უნდა სწარმოებდეს.

ამავე დროს მოხდა ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაციის დაშლაც; 1923 წელში მათ გამოსვლებთან უკვე საქმე აღარ გვქონია, თუმცა მათი ორგანიზაცია არც ისე მრავალრიცხოვანი იყო, მაგრამ სტუდენტობაში და საზოგადოთ მოსწავლე ახალგაზრდობაში ისინი დიდი გავლენით სარგებლობდენ და, მაშასადამე, მათი ორგანიზაციის დაშლასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამასთანავე ერთად სწარმოებდა სხვა ანტისაბჭოთა პარტიების დაშლაც: ნაციონალ-დემოკრატების, მემარჯვენე ფედერალისტების და სხვა. ამნაირათ დაიშალა ანტისაბჭოთა პარტიების ფრონტი, რომლებიც დღეს აღარავითარ საშიშროებას აღარ წარმოადგენენ.

ამხ ტროცკი თბილისში ყოფნის დროს დარწმუნდა, რომ ჩვენს პარტიას დიდი სამუშაო შეუსრულებია ამ სამი წლის განმავლობაში და სრულებით შეუცვლია მასების სულიერი განწყობილება.

ეს სჩანს აგრეთვე უპარტიოთა ყრილობებზეც, რომლებიც სრულ ნდობას უცხადებენ ჩვენ პარტიას. პოლიტიკური კამპანიები, როგორც მაგალითად რურის ოკუპაციის საწინააღმდეგო დემონსტრაცია, კერზონის ნოტის შესახებ და გერმანიის პროლეტარიატის დახმარების კამპანიამ დიდი გამოხმაურება ჰპოვეს მასებში და მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობა ისეე აღსდგა თბილისის პროლეტარიატში, რის დამამტკიცებელია სხვათა შორის ის ფაქტიც, რომ გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ 60 000 მანეთამდე იქნა მოკრეფილი. მასები არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ, როგორც ეს მოხდა მაგ. თბილისის საბჭოს არჩევნების დროს იანვარში.

შემდეგ ამხ. კახიანი ეხება პარტიაში ახალი წევრების მიღებას დაზგის მუშებიდან, რომელიც სასურველად მიმდინარეობს. მაზრაში მუშაობაც სათანადო ტემპით სწარმოებდა, მხოლოდ აქ გასაკეთებელი უფრო მეტია. გადაჭრილია მიწის საკითხი, გაუმჯობესებულია საბჭოთა აპარატი, აღმოფხვრილია ბანდიტიზმი და სხვა.

ეროვნული საკითხი სწორად არის გადაჭრილი. პარტიული დისკუსიის დროს ბევრი ბრალდებები იყო წამოსროლილი ტფილისის კომიტეტის წინააღმდეგ, მაგრამ ეხლა შინაპარტიული უთანხმოება მიწყდა და ოპოზიციაც ჩვენთან ხელიხელ ჩაკიდებული იწყებს მუშაობას. შემდეგ ამხ. კახიანს მოყავს ცნობები პარტიაში ახლად მიღებულ წევრთა შესახებ და ამთავრებს თავის სიტყვას მოწოდებით პარტიული მთლიანობისკენ.

ამხ. მახარაძის სიტყვა.

ამხ. მახარაძე აცხადებს, რომ გასაბჭოების პირველ ხანებში მეტად ძნელი პირობები იყო პარტიული მუშაობისათვის და იმ დროს შეუძლებელიც გახდა უთანხმოების აცილება. ეს უთანხმოებანი ცხოვრებამ გადასჭრა და ჩვენი პარტიის უმაღლესმა ორგანოებმა გვიჩვენეს სწორი ხაზი. ამის შემდეგ უთანხმოებას აზვიადებდენ ჩვენი მტრები, რომლებსაც სურდათ თავის სასარგებლოთ გამოეყენებიათ ჩვენი ურთიერთი დამოკიდებულება, რომ ხელი შეეშალათ ჩვენ წინ მდებარე ამოცანების გადაჭრაში.

მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია, მაგრამ ჯგუფების არსებობა დაუშვებელია.

არ ყოფილა არც ერთი მომენტი ჩემს ცხოვრებაში, როდესაც მე არ მეგრძნოს პასუხისმგებლობა მთელი ჩვენი პარტიის მთლიანობის წინაშე.

ამხანაგებო! ჩვენ ყველამ ფიცი უნდა დავსდოთ განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დავკარგეთ ის ვინც ქმნიდა, აქვითკირებდა ჩვენი პარტიის ერთიანობას, ფიცი უნდა დავსდოთ, რომ ამიერიდან არავითარ ჯგუფობრივობას ადგილი არ ექნება საქართველოს კომპარტიაში.

ათავებს თავის სიტყვას ამხ. ფილიპე მთლიანობისკენ ენერგიული მოწოდებით. მთელი დარბაზი მხურვალე ტაშით ხვდება მის განცხადებას და ოვაციებს უმართავს მას.

ამხ. ლომინაძის სიტყვა.

მიუთითებს ზოგიერთ დაბრკოლებებზე, რომელიც წინ ხვდება პარტიაში შემოსვლის მსურველ მუშებს, აღნიშნავს ლენინის წრეებში მუშაობის გაცხოველების საჭიროებას, რისთვისაც საჭიროა პარტიული ძალების მობილიზაცია.

შინაპარტიული უთანხმოება უმთავრესად პარტიის მაღალ წრეებში სწარმოებდა, მასა კი ყოველთვის მთლიანობას იცავდა. ამხ. ფილიპე მახარაძის დღევანდელი გამოსვლა მოწმობს, რომ მომავალში ჩვენ უფრო მედგარი ნაბიჯებით მთლიანობის სრული დაცვით წავალთ წინ. ამის თავდებია აგრეთვე პარტიის ახალი წევრები, რომლებმაც გაადიდეს წმინდა მუშური ელემენტი პარტიაში.

ამხ. აზრუმელაშვილის და ქელიძის შემდეგ ტრიბუნაზე ადის ამხ. ნიკ. კიკნაძე, რომელიც აცხადებს, რომ მომავალში საჭიროა შეთანხმებული მუშაობა და მოუწოდებს კონფერენციას მთლიანობისკენ.

ამხ. სერგო ორჯონიკიძის სიტყვა.

აღნიშნავს თბილისის კომიტეტის მუშაობის დადებით შედეგებს, მის სწორ პოლიტიკას, რის საუკეთესო დამამტკიცებელია აგრეთვე მენშევიკური პარტიის დაშლა. ინტერნაციონალური ხაზი სავსებით დაცული იყო თბილისის კომიტეტის მიერ, რაც მეტად საჭიროა თბილისის პირობებში.

ამხ. სერგო ეხება შინ-პარტიულ უთანხმოებასაც, დისკუსია ხშირად საზღვარს სცილდებოდა და განსაცდელს უმზადებდა პარტიას, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი უთანხმოებანი თეთრგვარდიელთა სასიხარულო საქმეს ჩვენ არ გავაკეთებთ, ამხ. ფ. მახარაძის დღევანდელი გამოსვლა იმედს იძლევა, რომ პარტიის მთლიანობას საფრთხე არ მოელის. დიდ დღევანდელი კონფერენცია გახდის ჩვენი მთლიანობის დემონსტრაციათ. ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. სერგო დარბაზის საერთო ტაშის გრიალის ქვეშ.

ამხ. მ. ოკუჯავას სიტყვა

ამხ. ოკუჯავა ეხება პარტიულ უთანხმოებას და აღნიშნავს რომ აზრთა გამომუშავების დროს შესაძლებელია უთანხმოება, მაგრამ პარტიის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილების შემდეგ უთანხმოება კარგავს ყოველგვარ პრინციპიალურ ხასიათს.

მე-12 პარტყრილობამ გადასჭრა ყველა სადავო საკითხები და განამტკიცა პარტიის მთლიანობა. თუ ამის შემდეგ შინაპარტიული ბრძოლა მაინც გაძლიერდა იდეურ-პრინციპიალური ხასიათი მან უკვე დაკარგა. დღეს კი ძველი უთანხმოება დავიწყებას უნდა მივსცეთ, და განვამტკიცოთ მთლიანობა და სრული სოლიდარული მუშაობა, რომელიც განსაკუთრებით საჭიროა საქართველოს პირობებში. დღევანდელი გამოსვლები ამტკიცებენ, რომ მთლიანობა გაიმარჯვებს. ამას დღემდეც ვგრძნობდით, დღეს კი ეს რწმენა კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა.

ამხ. კახიანის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელიც ქვევით მოგვყავს.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის კონფერენციის რეზოლუცია თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ.

მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ, თბილისის მე-4 პარტიული კონფერენცია თბილისის კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს სთვლის სავსებით სწორათ და საორგანიზაციო მუშაობას დამაკმაყოფილებლათ.

კონფერენცია აღნიშნავს შესრულებულ მუშაობას მენშევიზმის და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების დაშლისა და თბილისის ყველა მუშების მიმხრობის სფეროში. კონფერენცია დამაკმაყოფილებლათ სთვლის პარტიაში ახალი წევრების მისაღებათ დაწყებულ კამპანიას და აუცილებლად მიაჩნია, რომ მომავალში ორგანიზაცია შევსებული იქნეს პროლეტარული ელემენტის ხარჯზე და პრაქტიკულად დასმული იქნეს საკითხი ორგანიზაციის პროლეტარული ნაწილის გასინჯვის შესახებ იმ მიზნით, რომ გაიწმინდოს ორგანიზაცია კომუნიზმისა და მუშათა კლასისათვის უცხო ელემენტებისაგან.

კონფერენცია კმაყოფილებით აღნიშნავს თბილისის ორგანიზაციაში სრული მთლიანობის დამყარებას სრულიად საკავშირო მე-13 პარტიულ კონფერენციაზე მიღებულ საერთო პარტიული გადაწყვეტილებების საფუძველზე. კონფერენცია აუცილებლად სთვლის, რომ თბილისის ორგანიზაციამ, საქართველოს კომპარტიის ძირითადმა ნაწილმა, პირველმა აიღოს გადამწყვეტი კურსი სრულ ერთიანობისაკენ და თან წაიყვანოს საქართველოს მთელი კომპარტია.

პარტიის შეურყეველი მთლიანობა და მუშების 90 პროც. თბილისის ორგანიზაციაში, აი ლოზუნგი, რომელსაც აძლევს თბილისის პარტკონფერენცია თბილისის მთელ ორგანიზაციას.

გორის რაიონის პარტიული კონფერენცია

18 აპრილს ა. წ. შესდგა გორის რაიონის კონფერენცია, რომელზედაც დაესწრენ ყველა კომუჯრედის წარმომადგენლები. კონფერენციას ხელმძღვანელობდა რაიკომის პ.-მ მდივანი ამხ. ეპ. სიამაშვილი; პრეზიდიუმში იქნენ არჩეული შემდეგი ამხანაგები: 1) მ. მესროფოვი, 2) ეპ. სიამაშვილი, 3) ა. ცაბაძე, 4) ბ. ხარიბეგაშვილი, 5) გ. ტატიაშვილი და 6) გ. ერაშვილი.

კონფერენციამ გახსნის დროს ფეხზე ადგომით პატივი სცა მუშათა კლასის უდიდეს ბელადის ამხ ლენინის ხსოვნას. შემდეგ მიღებულ და დამტკიცებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1) საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა, 2) რაიკომის ანგარიში, 3) ლენინის იდეების პროპაგანდის შესახებ, 4) რაიკომის არჩევნები და 5) სამაზრო კონფერენციის დელეგატების არჩევნები.

საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ მ. მესროფოვმა, რომელმაც შინაარსიანათ გააშუქა საბჭოთა საკავშირო რესპუბლიკების შინაური და საგარეო მდგომარეობა.

მეორე საკითხში მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ეპ. სიამაშვილმა, რომელმაც გააშუქა რაიკომის მუშაობა კონფერენციამ სცნო რაიკომის მოღვაწეობა დამაკმაყოფილებლად და უსურვა მას ახალ შემადგენლობას უფრო ენერგიული მუშაობა ყველა დარგებში. პროპაგანდის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მესროპოვმა, რის შემდეგაც კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „გორის რაიკომის კონფერენცია თავის წმინდა მოვალეობათ სთვლის ფართოთ გააშუქოს მუშებსა და გლეხებს შორის მსოფლიო მუშათა კლასის ბელადის ამხ. ლენინის იდეები.

დასასრულ რაიკომში ერთხმად იქნენ არჩეული შემდეგი ამხანაგები: 1) ეპ. სიამაშვილი, 2) ა. ცაბაძე, 3) გ. ტატიაშვილი, 4) ბ. ხარიბეგაშვილი და 5) დ. თედიაშვილი. სამაზრო კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატებათ კონფერენციამ აირჩია შემდეგი ამხანაგები: 1) ეპ. სიამაშვილი, 2) ა. ცაბაძე და 3) გ. ტატიაშვილი.

ს. დ. მოხიაშვილი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(23 აპრილი)

ჩერვონეცი—125 მილიარდი მან.

	ჩერვონეცით
გირვ. სტერლინგ ეფექტ.	8 მ. 45 კ.
„ ჩეკები —	7 მ. 65 კ.
დოლარი ეფექ. —	1 მ. 94 კ.
„ ჩეკები —	1 მ. 78 კ.
თურქ. ქაღ. ლირა ეფ —	90 კ
იტალ. ლირა 100 ცალი	8 მან.
ფრანკი ფრან. 100 ცალი	9 მ. 40 კ.

ბიულეტენი

ა. კ. სახ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი სხდომების კომისიისა.

(23 აპრილი)

ოქროს მანეთი 12.500 მილ.

სურსათის ფასები

(23 აპრილი)

პური 2 ხარ.—5 ნახ. კაპ., ძროხის ხორცი—28 კაპ., შაქარი რაფინადი—34 კაპ., შაქარი ფხვნილი—27 კ, ბრინჯი —17 კ., კარტოფილი—2 კაპ. ნახ., მაკარონი 16 კ ფქვილი თეთრი № 0 10 კ.. საპონი „ტოლლე“ 22 კ.

თბილისის ბაზრის ფასები

(23 აპრილი)

პური 1 ხარ. 8 კაპ., პური 2 ხარ.—6 კ., შაქარი რაფინადი—35—შაქარი ფხვნილი—28 კ., ბრინჯი 20—25 კაპ., ვერმიშელი 18 კ., მაკარონი—20 კ., კარტოფილი—3 კ, ძროხის ხორცი—30 კაპ.

ბირჟის მიწოდება

„ქიმუკოლ“-ის ნაწარმოები, კანიფოლი ბორჯომის, ნამგლები და ცელები (ავსტრიული), ფქვილის ტომრები, „ცარპაიტორგ“-ის პროდუქცია, გოგირდი „სუპლიმე“ და „ბუდა“, მზესუმზირას ზეთი, მანანას ფეტვი, თეთრი თუნუქი (ინგლის.), ტყავის ლეიდები, „სახარეტრესტ“-ის პროდუქცია, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, ხორბალი და პურეული, „ხლებოპროდუქტ“-ის ფქვილი, ფანჯრის მინა უბრალო, შაბიამანი, განჯის შაბი, სელის ოლიფა (ზეთი), ცინკის ფურცელი (ტაშტები, ვედრები და სხვ), სახ. მეურ. საბჭოს საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი „პეტუხ“ და ტუალეტის, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.), კარტონი, კარტოფილის ფქვილი, ცემენტი და ეტერნიტი, ბადაგი შაქრის.

ბირჟის მოთხოვნილება

ატმის კურკის თესლი, ნუში, თხილი, ბორჯომის კანიფოლი, ნარმა და მიტკალი, მატყლი თუშური, ნედლი ტყავეულობა, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, მზესუმზირას ზეთი, სალომასი, ქვა მარილი ნახიჩევანის, ტომრები, პორტლანდის ცემენტი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება გამოურკვეველია.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით
1	კ.—125.000.000	56	კ.—7.000.000.000
2	კ.—250.000.000	57	კ.—7.125.000.000
3	კ.—375.000.000	58	კ.—7.250.000.000
4	კ.—500.000.000	59	კ.—7.375.000.000
5	კ.—625.000.000	60	კ.—7.500.000.000
6	კ.—750.000.000	61	კ.—7.625.000.000
7	კ.—875.000.000	62	კ.—7.750.000.000
8	კ.—1.000.000.000	63	კ.—7.875.000.000
9	კ.—1.125.000.000	64	კ.—8.000.000.000
10	კ.—1.250.000.000	65	კ.—8.125.000.000
11	კ.—1.375.000.000	66	კ.—8.250.000.000
12	კ.—1.500.000.000	67	კ.—8.375.000.000
13	კ.—1.625.000.000	68	კ.—8.500.000.000
14	კ.—1.750.000.000	69	კ.—8.625.000.000
15	კ.—1.875.000.000	70	კ.—8 750.000.000
16	კ.—2.000.000.000	71	კ.—8 875.000.000
17	კ.—2.125.000.000	72	კ.—9.000.000.000
18	კ.—2.250.000.000	73	კ.—9.125.000.000
19	კ.—2.375.000.000	74	კ.—9.250.000.000
20	კ.—2.500.000.000	75	კ.—9.375.000.000
21	კ.—2.625.000.000	76	კ.—9.500.000.000
22	კ.—2.750.000.000	77	კ.—9.625.000.000
23	კ.—2.875.000.000	78	კ.—9.750.000.000
24	კ.—3.000.000.000	79	კ.—9.875.000.000
25	კ.—3.125.000.000	80	კ.—10.000.000.000
26	კ.—3.250.000.000	81	კ.—10.125.000.000
27	კ.—3.375.000.000	82	კ.—10.250.000.000
28	კ.—3.500.000.000	83	კ.—10.375.000.000
29	კ.—3.625.000.000	84	კ.—10.500.000.000
30	კ.—3 750.000.000	85	კ.—10.625.000.000
31	კ.—3,875.000.000	86	კ.—10.750.000.000
32	კ.—4.000.000.000	87	კ.—10.875.000.000
33	კ.—4.125.000.000	88	კ.—11.000.000.000
34	კ.—4.250.000.000	89	კ.—11.125.000.000
35	კ.—4.375.000.000	90	კ.—11.250.000.000
36	კ.—4.500.000.000	91	კ.—11.375 000.000
37	კ.—4.625 000.000	92	კ.—11.500 000.000
38	კ.—4 750.000.000	93	კ.—11 625.000.000
39	კ.—4.875.000.000	94	კ.—11.750.000.000
40	კ.—5.000.000.000	95	კ.—11.875.000.000
41	კ.—5.125 000.000	96	კ.—12.000.000.000
42	კ.—5.250.000.000	97	კ.—12.125.000.000
43	კ.—5.375.000.000	98	კ.—12.250.000.000
44	კ.—5.500.000.000	99	კ.—12.375.000.000
45	კ.—5.625.000.000	1 მ	12 500 000 000
46	კ.—5.750.000.000	2 მ.	—25.000.000.000
47	კ.—5.875.000.000	3 მ.	—37.500.000.000
48	კ.—6.000.000.000	4 მ.	—50.000.000.000
49	კ.—6.125.000.000	5 მ.	—62 500.000.000
50	კ.—6.250.000.000	6 მ.	—75.000.000.000
51	კ.—6.375.000.000	7 მ.	—87.500.000.000
52	კ.—6.500.000.000	8 მ.	—100.000.000.000
53	კ.—6.625.000.000	9 მ.	—112.500.000.000
54	კ.—6.750 000.000	1 ჩერ	125.000.000.000
55	კ.—6.875.000.000		

შავი-ქვის მრეწველობა

უკანასკნელ დროს შავი-ქვის მოთხოვნილება უცხოეთის ბაზრებზე შესამჩნევად მატულობს. საგანგებო სამმართველო ფიქრობს, რომ ამ წელს შავი ქვის რეალიზაცია მიაღწევს ომამდე არსებულ საშუალო ნორმას.

შესამჩნევად გაიზარდა შავი-ქვის მოთხოვნილება ამერიკის ბაზარზე.

ეხლა სამმართველოს წინაშე დგას ამოცანა —შავი ქვის ამოღების და საერთოდ წარმოების გაძლიერება. ამ მხრივ უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში ფირმის წარმოებას დიდი წარმატება ეტყობა.

გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს მუშათა სახლების აგებით; ამ ჟამად დაწყებულია სამი შენობა. მაღაროების რაიონი განათებულია ელექტრონით და უზრუნველყოფილია წმინდა წყაროს წყლით. სამმართველოს მაღაროებში მუშაობს 400 კაცი. ყველა მუშებს აქვს სპეც ტანისამოსი (ტყავის „კურტკები“, ფეხსაცმელები).

შავი ქვის თვიური ექსპორტი 30 ათასი ტონიდან 50,000 ტონამდე გაიზარდა და იმედია, რომ უახლოეს დროს ექსპორტი მიაღწევს 70 ათას ტონას თვეში. ფოთში მუდამ დგას არა ნაკლებ 3 გემისა შავი-ქვის დასატვირთავად.

ფერო-მარგანეცის ქარხანა.

შექმნილია საგანგებო კომისია (ამხ. მოდებაძის თავმჯდომარეობით), რომელსაც მინდობილი აქვს გამოარკვიოს, თუ რამდენად შესაძლებელი და სასარგებლოა ფერო მარგანეცის ქარხნის მოწყობა ქარხნის მოწყობა დაჯდება დაახლოვებით 20 მილიონი მანეთი.

კოოპერაცია

„წარმოკავშირი“-ს მუშაობა (1923 წელს და 1924 წ. 1 აპრილამდე)

„წარმოკავშირი“-ს მთელი მუშაობა სწარმოებს სამ მთავარ დარგში: ორგანიზაციულ დარგში, რომელშიაც მისი ამოცანა მდგომარეობს სხვადასხვა სახის სასოფლო მეურნეობათა გაერთიანებაში კოოპერატიულ საფუძველზე, კოოპერატიულ დარგში, სადაც მისი ამოცანაა სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა რეალიზაცია და ამ მიზნისათვის საგარეო და შინა ბაზრების მოპოვება, და აგრიკულტურულ დარგში, რომელშიაც „წარმოკავშირი“-ს მიზანია სასოფლო მეურნეობის ფორმების გაუმჯობესება და მაღალ ღირსებიან კულტურების გავრცელება. 1923 წ. 1 იანვრისთვის წარმოკავშირში ირიცხებოდა 6 ორგანიზაცია, რომლებიც აერთიანებენ 2990 მეურნეობას. 1924 წლის 1 აპრილისათვის კი მასში ირიცხებოდა 55 ორგ., რომლებიც აერთიანებენ 13691 მეურნეობას, ხოლო საქონლის ბრუნვა წინანდელ 450,000 მანეთის მაგიერ მიმდინარე წლის დასაწყისში შეადგენს 3 მილიონ მანეთს. თავის არსებობის პირველ ხანში „წარმოკავშირი“ შეიცავდა ორგანიზაციებს მხოლოდ შემდეგი დარგებისას: მევენახეობის, მეცხვარეობის, მებოსტნეობის, მესაქონლეობის და შერეულ ტიპის მეურნეობათა დარგის. 1924 წელში კი „წარმოკავშირი“-ს მოქმედების სფერო გაფართოვდა და ის ახლა შეიცავს შემდეგ დარგებს: მეთამბაქოებას, მებამბეობას, მეაბრეშუმეობას, რძის მეურნეობას და მეფუტკრეობას გარდა ხსენებულ ორგანიზაციებისა „წარმოკავშირი“ აერთიანებს 6 საკრედიტო და შემნახველ სალაროთა ამხანაგობას და 9 საწარმოო არტელს.

შედარებით მცირე ხნის განმავლობაში „წარმოკავშირმა“ გაასაღა რუსეთის ბაზრებზე 2 მილიონ მანეთათ ღირებული საქონელი, სახელდობრ: ნატურალური ღვინო—250000 ვედრა, გადამუშავებული ღვინო (ტკბილი) 8000 ვედ., ნედლი ხილი—8000 ფუთი, თუშური მატყლი 15,000 ფუთი, კვერცხი 9 ვაგონი, თხილი 1000 ფუთი. მიმდინარე წელს „წარმოკავშირი“ ამზადებს საექსპორტოთ 23 ფუთ მატყლს, 70 ვაგონ კვერცხს, 50000 ფუთ ხილს, 20000 ფუთ თამბაქოს და სხვ. გარდა აღნიშნულისა „წარმოკავშირმა“ 1923 წლის განმავლობაში და 1924 წ. 1 აპრილამდე მეურნეობებს დაურიგა დიდძალი შაბიამანი, გოგირდი, მარილი, სპირტი, რკინეულობა, ლურსმანი, მანუფაქტურა, სათესლე მასალა და სხვა. მზადდება დასარიგებლათ ვერმორელის აპარატები 10 000 მანეთისა, 9.000 ფუთი ბამბის თესლი და სხვ.

ს. მ. უ. ს თან ერთად „წარმოკავშირ“ ს აღებული აქვს საექსპლოატაციოთ ღვინის და სპირტის სარექტიფიკაციო ქარხანა, რომელმაც უკვე გამოიმუშავა 2 000 ვედ. სპირტი. მზადდება კიდევ 8.000 ვედ. სპირტი.

„წარმოკავშირი“ ს ზედნადები ხარჯები არ სცილდება 6—7 პროც.

აგრიკულტურულ მუშაობის დარგში აღსანიშნავია საფილოქსერო კომიტეტის დაარსება „წარმოკავშირი“—თან. კომიტეტის განკარგულებაშია 150 000 მან. ფონდი, რომლის საშუალებით „წარმოკავშირი“ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატისაგან ხელშეკრულებით აღებულ 120 დეს. მიწაზე იწყებს სანერგე და სადედე ვენახების მოშენებას. „წარმოკავშირი“ აწარმოებს აგრეთვე ინტენსიურ მუშაობას თამბაქოს მრეწველობისა და მებამბეობის ასაღორძინებლად, რუსეთის მთავარ საბამბო კომიტეტთან დადებულია ხელშეკრულება 8.000 დესეტინა ბამბის დათესვაზე. აწარმოებს თამბაქოს თესლის მომარაგებას. გორის მაზრაში მიღებულია მები მებაღეობა-მებოსტნეობის გაუმჯობესებლად. დასავლეთ საქართველოში დაიწყო მუშაობა პამიდორის პლანტაციების გასაშენებლად.

რუსეთის და საქართველოს სოფლ. სამეურნეო კოოპერა თანამშრომლობა.

რუსეთის მონათესავე სასოფ სამეურნეო კოოპერაციასთან საკ კავშირის გამაგრების მიზნით „წ მოკავშირი“ შევიდა წევრად რუს სასოფლო სამეურნეო კოოპ. კავშ ში. ხსენებულ ორ ორგანიზაც თანამშრომლობის საფუძვლათ სასოფლო-სამეურნეო კოოპ. კავ რის მიერ მიღებულია „წარმო შირი“-ს მიერ წამოყენებული პ ბები.

რუს. სასოფ.-სამ. კოოპ. კავშ საბჭოში „წარმოკავშირი“-ს წარმო გენლად გაგზავნილია ორი წ —ამხ. ამხ. დუმბაძე და წიგწიძე

პროვინციელ კორესპონდენტების რეგისტრაცია

რედაქცია აცხადებს თავის პროვინციელ კორესპო დენტების რეგისტრაციას.

ყველა ადგილობრივი პარტიული, პროფესიული და სხვა თანადრო ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავთ არჩეული კორესპ დენტები (თუ არა ჰყავთ, უნდა აირჩიონ), აგრეთვე ცალკე პირ რომელნიც გვიგზავნიდენ კორესპონდენციებს და აქვთ სურვ შემდეგშიც მოგვაწოდონ ასეთები,—**ვალდებული არიან** დაჩქარ გამოგვიგზავნონ შემდეგი ცნობები:

1. კორესპონდენტის ვინაობა (გვარი, სახელი, მამის სახე
2. „ სოციალური მდგომარეობა (გლეხი, შა, ინტელიგენტი და სხვ.)
3. „ პარტიულობა (წინანდელი, ეხლანდ პარტიული სტაჟი).
4. „ განათლება (შინაური, დაბალი, საშ ლო, მაღალი).
5. „ პროფესია, თანამდებობა და სამსახუ ადგილი.
6. „ წლოვანება.
7. „ მისამართი.

რეგისტრაცია გაგრძელდება **პირველ მაისამდე**

ადგილობრივ ორგანიზაციებს და ამხანაგებს მოუწოდებთ მ კიდონ ამ საქმეს საჭირო სიფრთხილით და სერიოზულობით.

მუდმივ პასუხისმგებელ კორესპონდენტებს მიეცემათ ჰონორარი.

საკურორტო სეზონისათვის

უხვად დაჯილდოებულია ჩვენი ქვეყანა საკურორტო ადგილებით. თითქმის ყოველი ფეხის გადადგმაზედ დაშლილი ასეთი ადგილი და რომ ეს ადგილები კეთილმოწყობილი იყოს და მათი გამოყენება ხელმისაწვდომი და გაადვილებული,—ყველას ეყოფოდა ეს ბუნებრივი სიმდიდრე, ყველა მოახერხებდა ამა თუ იმ კურორტში რამდენიმე ხნით დაყოფას და მოჭანცული ჯანმრთელობის აღდგენას, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მთელი ერის სოციალ ეკონომიური პირობების გაუმჯობესების საქმისთვისაც.

კოოპერატიული თანამშრომლობა და სოლიდარობა ამ საქმეშიც უნდა იქნეს გამოყენებული და სწორედ ამ მიზნითაა დაარსებული საქართველოს სააგარაკო კოოპერატივი „გზული“, რომელიც მოქმედებას იწყებს მიმდინარე წლიდან. კოოპერატივ „გზულის“ წესდება დამტკიცებულია კოოპერატიულ საქმეთა კოლეგიის მიერ და მოთავსებულია ჟურნალ „კოოპერაცია“-ში № 1 და 2—3.

წესდების და ყოველგვარი ცნობების მიღება შესაძლოა საორგანიზაციო კომიტეტში: უნივერსიტეტის ქუჩა № 4.

სააგარაკო კოოპერატივის „გზულის“ მიზანია: ჯანმრთელობის საკითხებით დაინტერესებულ პირთა და დაწესებულებათა კოოპერატიულ გაერთიანებისა და თანამშრომლობის საშუალებით ხელი შეუწყოს საქართველოს სააგარაკო ადგილების კეთილმოწყობას და ხალხში ავადმყოფობის გამაფრთხილებელ და ჯანმრთელობის უზრუნველმყოფელ ცოდნათა და საშუალებათა გავრცელებას.

კოოპერატივში შესვლა ყველასათვის ხელმისაწვდომია. საწევრო გადასახადი 1 მანეთია, საპაიო—ათი მანეთი,—პაის ფულის გადახდა შესაძლოა ნაწილ ნაწილათ.

მიმდინარე წელს კოოპერატივი მოქმედებას იწყებს წევრთათვის სააგარაკო ბინების შოვნაში, სათანადო დახმარებით სურსათ-სანოვაგის ადგილობრივ მიწოდების საქმის მოწესრიგებით.

კოოპერატივი მთავარ ყურადღებას მიაქცევს ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით მოაგარაკეთა განჯგუფებას ბინებში, მოახდენს ბინების დეზინფექციას და ეცდება კულტურულ საქმიანობას, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობის სათანადო უწყებასთან სოლიდარული თანამშრომლობის დაცვით

საქართველოს სააგარაკო კოოპერატივის „გზულის“ მიზანი, რომელიც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, მისი წესდების პირველი მუხლით განისაზღვრება. მეორე მუხლი ამბობს, რომ დასახული მიზნის განსახორციელებლათ მას, სხვათა შორის, შეუძლია გახსნას საქართველოს ტერიტორიაზე თავისი ფილიალები, განყოფილებანი (ნაწ. 8), ხოლო საქართველოს გარეშე—წარმომადგენლობანი (7); ხელი შეუწყოს წევრებს სააგარაკო ბინების შოვნაში, სააგარაკო ადგილების შექმნასა და ზედ საკუთარი სახლების აგებაში (§ 2, ნაწ. 22); შეაკავშიროს მოაგარაკენი და მიაწოდოს მათ კეთილხარისხოვანი სანოვაგე (17); მიიწვიოს ადგილობრივი და უცხო კაპიტალები და სპეციალისტები კოპარტნერშიპის პრინციპების დაც ე. ი. შრომისა და კაპიტალის ჯილდოებით, მოგებაში მათთვის ლისა და პროცენტების დან (§ 3, ნაწ. 13) და, საერთოდ, ი ნოს ხალხის ჯანმრთელობაზე. ძირითადი საკითხები, რომლე გარშემოც „გზული“ დაიწყებს მედებას.

სად უნდა გაიხსნას ფილიალე ყოფილება? განა მარტო სააგა ადგილებში?—არა, ყველგან: სოფ ში, დაბებსა და ქალაქებში ადგილობრივ უნდა შეკავშირდენ გარაკო-საკურორტო საკითხ დაინტერესებული პირები და მთავარი გამგეობის საშუალებ და საერთო ინსტრუქციის მიხედ მონაწილეობა უნდა მიიღონ ამა იმ საკურორტო თუ სააგარაკო ად ლის კეთილმოწყობაში.

ფილიალი შესაძლოა დაარს ყველგან, სადაც კი „გზულში“ რის 25 მსურველი მაინც აღმოჩნ ბა (§ 17, მე 3 შენიშვნა) ფ ლის წევრები ერთად ან ცალ-ც ჯგუფებათ დაყოფით სულ შეეძ ლათ აიგონ სასურველ სააგარ ადგილებზე სააგარაკო დასასვენ სახლებს,—ჯერ ერთს, მეორე რეს—ან იქვე ან სხვაგან,—და იმდენს, რამდენიც მათთვის საჭ იქნება. ბინების ასაგებათ ხე მასალის მოტანა შორიდან იქნება. საჭირო, ეს მასალა ძვი არ დაუჯდება წევრებს კოოპერა ვის საშუალებით. სახლების ა მიწას იჯარით აიღებს კოოპერატ მთავრობის სათანადო უწყებიდან ასე ამნაირათ, მოლით მოელება გარაკო ბინების კრიზისის და წევრ შეეძლებათ ყოველ წლივ მოახერ დასვენება და მოღონიერება, მრთელობის აღდგენა. ყველა ხელფურის წევრათ სააგარაკო პერატივში, ყველგან უნდა დაარ მისი ფილიალი*).

თავის დროზე სამაგალითო სა რეული სასადილოების გახსნა მოაგარაკეთათვის კარგი ხარის სანოვაგის მიწოდებას ხომ დიდი შნელობა ექნება და ამას კოოპ ტივი დიდ ყურადღებას მიაქცევს.

ადგილობრივი კოოპერატივის მძღვანელებმა საზოგადო, პროფ ნალურ და სახელმწიფო დაწესებუ ბათა მოსამსახურეების მოწინავე რეებმა უნდა იკისრონ სააგარაკო ოპერატივის ფილიალის დაარსება.

უმთავრესი ყურადღება უნდა მ ცეს კოოპერატივში სოფლისა და ლაქის მშრომელი მასების მონა ლეობას. უნდა ვეცადოთ ყველამ, ჩვენივე ძალების შეერთებით თვითმოქმედებით მტკიცე საძირ ლი ჩავუყაროთ, ჩვენივე გაჯანს ბის საქმეს. ამ საქმეში ჩვენ დაგვ მარება მთავრობა, ჯანმრთელო უწყება და ყოველი საზოგადო პრ ფესიონალური და სახელმწიფო წესებულება.

ი. გაზდელი

---

*) რწმუნებულთა კრების მოწვევამ ფილიალების შედგენა-შეკავშირებას მძღვანელობას უწევს „გზულის“ შემ ინიციატორთაგან შემდგარი საორგან ციო კომიტეტი. მალე კომიტეტის შე ნილობა შეივსება კოოპერატიული ცენტ სა, პროფკავშირებისა და სხვა დაწ ლება-ორგანიზაციების წარმომადგენ

ქუთაის-პეტროვსკის რკინის გზის პროექტი

20 აპრილს, საღამოს პროფკავშირთა საბჭოს დარბაზში ინჟინერ ფილდმა გააკეთა მოხსენება ქუთაის-პეტროვსკის რკინის გზის პროექტის შესახებ. ამ პროექტის თანახმათ, გზა გაყვანილი უნდა იქნეს ქუთაისიდან კოპიტნარით, შემდეგ რაჭის მაზრაში დაბა შოვით (გლოლას ახლო) და გროზნით ქალ. პეტროვსკამდე. ეს გზა უმოკლესი მანძილია პეტროვსკსა და ქუთაისს შორის. პროექტს გათვალისწინებული აქვს ამ გზის ეკონომიური მნიშვნელობა, რომელიც მომხსენებლის აზრით მდგომარეობს იმ კავშირში, რომელიც გაბმული იქნება გროზნის ნავთის წარმოებისა და შავი ზღვის ნავთსადგურებს შორის. რკინის გზა გამოიწვევს საერთო ეკონომიურ პროგრესს რაჭის მაზრაში, რომელშიაც მრავალი ბუნებრივი სიმდიდრე მოიპოვება.

რკინის გზის გაყვანასთან დაკავშირებულია მეორე პროექტი დაბა შოვში სანატორიუმის დაარსების შესახებ. დაბა შოვი სპეციალური კომისიის საერთო აზრით, ხასიათდება ორი ბუნებრივი თვისებით, რომელთა შეხამება ერთ და იმავე ადგილას იშვიათ მოვლენას წარმოადგენს; სახელდობრ, საუცხოვო ჰავით და ძვირფასი მინერალური წყლებით. მოხსენების საილიუსტრაციოთ ნაჩვენები იყო შოვის მიდამოებიდან გადაღებული კინო-სურათები. საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა მოხსენებით.

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში

20 ამა აპრილს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ბინაზე (ალექსანდრეს ბაღი) სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოტეხნიის ლექტორმა თამამშევმა წაიკითხა მოხსენება საქართველოს მსხვილფეხა საქონელზე.

თავის მოხსენებაში საქართველოს მსხვილფეხა საქონელი დაყო ორ უმთავრესს ჯგუფად: დიდ-კავკასიური ჯგუფი და მცირე-კავკასიური ჯგუფი. დიდ კავკასიურ ჯგუფს აკუთვნა მან ფშავ ხევსურული საქონელი, ოსური, იმერული და მეგრული. ეს ჯგუფი დაახასიათა მომხსენებელმა, როგორც მერძევე საქონელი. მისი გარეგნობა, ექსტერიერი, შეეფერება ამ მიმართულებას. ტანი აქვს პატარა, ფეხზე იწონის 8—12 ფუთამდე ძროხა, 10—16 მდე ხარი. ფერი აქვს შავი, ჭრელი (შავ-თეთრი), მოშავო, წაბლის ფერი. გავრცელებულია თიანეთის მაზრაში, დუშეთისა, გორის მაზრის მთიან ადგილებში, დასავლეთ საქართველოში. რძეს იძლევა დღეში 12—20 გირვანქამდე ადგილობრივ. მაგრამ ტფილისში,—სადაც ის ძალიან გავრცელებულია როგორც მეწველი საქონელი და კარგათ იკვებება, 30 გირვანქამდე იძლევა რძეს. რძე მისი მდიდარია ცხიმით, მისი რაოდენობა პროცენტობით უდრის 4—5. პროც. ფშავ-ხევსურები ძროხის რძიდან უმთავრესათ აკეთებენ ერბო-კარაქს, დასავლეთ საქართველოში—ყველს, სამეგრელოში სულგუნს. დიდ კავკასიურ საქონლის ჯგუფს მერძეობის თვისებასთან ერთი სახორცე და სამუშაო თვისებებიც აქვს, მაგრამ შედარებით პირველთან ნაკლებათ. მომხსენებლის სიტყვით ამ ჯგუფს შეგვიძლია ვუწოდოთ სარძევე სახორცე-სამუშაო ჯიში ანუ პირველ ადგილზე სდგას მისი სარძევე თვისება, მეორეზე სახორცე და მესამეზე სამუშაო.

მეორე ჯგუფი საქართველოს საქონლის, ეგრედ წოდებული მცირე კავკასიური, გარედან შემოსული ჯიშია, მისი სამშობლო ყაზახის და ბორჩალოს მაზრაა. მას უწოდებენ საქართველოში თარაქამულს საქონელს (სიტყვა თარაქამა სოფელია ბორჩალოს და ყაზახის მაზრების საზღვარზე), ეს ჯგუფი ხასიათდება სამუშაო და სახორცე თვისებებით, მეწველობით პირველ ჯგუფს ძალიან ჩამორჩება ეს ჯგუფი გავრცელებულია სიღნაღის, თელავის, ბორჩალოს, ახალციხე ახალქალაქის მაზრებში და აგრეთვე დუშეთის და გორის ბარ ადგილებში. უმთავრესი მისი ფერი წითელია, თავი პატარა და ლამაზი აქვს, ტანით აღემატება პირველ ჯგუფს, ფეხზე წონა მისი უდრის—ძროხისა 12—16 ფუთამდე და ხარისა—16—25 ფუთამდე.

მეწველობის უნარი მას ნაკლები აქვს, მაგიერ განვითარებული აქვს სახორცე და სამუშაო თვისებანი. ეს ჯგუფი განსაკუთრებით ცნობილია საქართველოში, როგორც კარგი მუშა საქონელი და თბილისის ბაზარზე—როგორც სახორცე.

მეგრული ჯიში სარძევე საქონლისა მომხსენებელმა დააყენა პირველ რიგში, როგორც კარგი მეწველი.

სვანეთის და აფხაზეთის საქონელზე მომხსენებელს არაფერი უთქვამს თავის მოხსენებაში, თუმცა საჭირო იყო, რადგან როგორც ვიცით, სვანეთის საძოვრებზე ჩინებული მეწველი საქონელი მოიპოვება და აგრეთვე აფხაზეთშიაც.

მომხსენებელი გაკვრით შეეხო ბორჩალოს მაზრის გერმანელ ახალშენების გაუმჯობესებულ ჯიშებს. ეს ჯიშები მისი სიტყვით წარმომდგარა გერმანულ წითელი ჯიშის საქონლის და შვეიცარიულ ჯიშების, შვიცის და სიმენტალის სისხლის შერევით ადგილობრივ საქონელთან. ეს შერეული ჯიშები მეწველობით სჯობნიან ადგილობრივ ჯიშებს.

მოხსენების ერთი ნაკლი წარმოადგენდა ის, რომ მომხსენებლის მიერ ნათლად ვერ იყო გაშუქებული ნამდვილი ჯიშები საქართველოს საქონლისა, ვერ იყო გამორკვეული ისტორიული წარმოშობა ადგილობრივ ძირითად ჯიშებისა. არ იყო აგრეთვე ნაჩვენები თუ რომელ მეზობელ ჯიშებს ჰქონდათ ზეგავლენა ძირითად ჯიშებზე და რა ხარისხ ჰქონდათ ზეგავლენა. მისი დაყოფა საქართველოს საქონლისა იყო უფრო გეოგრაფიული, ვიდრე ეთნოგრაფიული. ამაზე მიუთითა სხვათა შორის და საფუძვლიანათაც ზოოტეხნიის ლექტორმა იოსელიანმა.

გარდა ამისა, მომხსენებელი სრულებით არ შეეხო ჩვენებურ მესაქონლეობის მომავალ პერსპექტივებს, თუ რა გზით უნდა განვითარდეს ის, რომ ევროპიულ მესაქონლეობას გაუთანასწორდეს.

საერთოთ მოხსენება საინტერესო იყო, მიუხედავათ აღნიშნულ დეფექტებისა და ხალხიც საკმაოთ დაესწრო.

საქართველოს საქონლის ჯიშებზედვე მეორე მოხსენების გაკეთება დაევალა ლექტორს იოსელიანს, რადგან საზოგადო კრებამ ეს საკითხი ჩათვალა ჯერედ კიდევ გამოურკვეველად.

მი—ძე.

პროფკავშირებში

კავშირები და ხელფასი

(ამხ. ყურულაშვილის მოხსენება)

კავშირების პასუხისმგებელ მდივნების და სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებათა გამგეობის შეერთებულ თათბირზე ამხ. ყურულაშვილმა წაიკითხა მოხსენება პროფკავშირთა უახლოესს ამოცანებზე სატარიფო მუშაობის დარგში ფულის რეფორმასთან დაკავშირებით.

მომხსენებელი ვრცლად ეხება იმ მიზეზებს, რომლითაც აიძულეს პროფკავშირები დათანხმებულიყვნენ ხელფასის გამოანგარიშების სისტემაზე, სიძვირით გამოწვეული დამატების ზედდართვით ერთად ერთი მოსაზრება, რომლითაც შესაძლებელია ამ სისტემის შემოღების გამართლება, არის ფულის ნიშნების ფასის დაცემა ყოველდღიურად.

ეს სისტემა უვარგისია როგორც სამეურნეო ორგანოებისთვის, ისე მშრომელთათვის, რადგან პირველთ კალკულიაციის საშუალება ესპობოდათ, ხოლო მშრომელთ არ ჰქონდათ საშუალება გამოერკვიათ თავისი ხელფასის რაოდენობა.

კავშირების ძირითადი ამოცანაა დაეხმარონ სახელმწიფოს ფულის რეფორმის ჩატარებაში.

ყველასათვის, ცხადია, რომ არსებული ფულის ნიშნების ვაკხანალია დიდათ უწყობდა ხელს სპეკულიაციის განვითარებას.

დღეს მთავრობა ყოველი ღონისძიებით სცდილობს დასწიოს ფასები პირველი საჭიროების საგნებზე და ამ მოსაზრებით მთავრობა კერძო ბაზრის მოწესრიგების საქმეშიც ერევა.

კავშირების პირველი მოვალეობაა ხელი შეუწყონ მთავრობის ღონისძიებათა გატარებას.

15 აპრილიდან უკვე ხმარებაში შემოდის მტკიცე ვალიუტა, რადგან მოხდა ა/კ. ფულის ნიშნების სტაბილიზაცია განსაზღვრულ ვადაზე.

მტკიცე ვალიუტაზე გადასვლის დროს კავშირებმა უმთავრესად ყურადღება უნდა მიაქციონ ხელფასის რეალობის დაცვას. განაკვეთის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საკურსო განსხვავება, რომელსაც ადგილი ექნება ხელფასის გამოანგარიშების დღიდან გასტუმრების დღემდე.

ამავე დროს ანგარიში უნდა გაეწიოს სამეურნეო ორგანოების პერსპექტივებს.

მოხსენების დასასრულს მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კამათში მონაწილე ამხანაგები—მოითხოვდნენ ჩერვონეცზე გადასვლას, რომელიც აუცილებლად მიაჩნდათ ხელფასის ფონდის სწორი გამორკვევისათვის.

დასასრულ მიღებულ იყო შემდეგი

რეზოლუცია:

1) მოხდეს ჩერვონეცის ანგარიშზე საბოლოოდ გადასვლა ყოველგვარ დამატების გარეშე აპრილისათვის, ამავე დროს მუშა-მოსამსახურეებს, რომელთა ჯამაგირი 15 აპრილისათვის გადაყვანილი არ იქნება ჩერვონეცზე, ხელფასი უნდა მიეცეს ავანსად სამეურნეო ორგანოებთან შეთანხმებით.

2) განაკვეთის რაოდენობის გამოსარკვევად მტკიცე ვალიუტაში, საჭიროა დაემყარონ დეკემბერ-იანვარ თვეებში რეალურ ფონდს, ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამეურნეო ორგანოების უახლოესი დროის პერსპექტივები.

3) პროვინციის მსხვილ ცენტრებში გაიგზავნოს პროფსაბჭოს წარმომადგენელი, რომელიც ინსტრუქციებს მისცემს ადგილობრივ მუშაკებს სატარიფო ხაზის სწორი გატარებისთვის.

4) ყველა კოლექტ. ხელშეკრულება უნდა შეუთანხმდეს პროფსაბჭოს სატარიფო ეკონომიური განყოფილების ინსტრუქციებს.

5) აუცილებლათ იქნეს ცნობილი სამმართველო აპარატების მუშაკთა ხელფასის გასტუმრების ცალკე გამოყოფა, რისთვისაც ცალკე ხელშეკრულება უნდა იქნეს დადებული.

6) წინადადება მიეცეს კავშირებს სასტიკი ბრძოლა აწარმოონ ხელფასის ფარული მომატების წინააღმდეგ, როგორიცაა არის დატვირთვა კატეგორიების, გატარება და სხვა.

7) ეთხოვოს ს. მ. უ. ს.-ს ნუ დაავალებს ცალკე სამეურნეო ორგანოების მიერ დადებულ კოლლექტ. ხელშეკრულებათა განხილვას.

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე

საბარგო ვაგონების რაოდენობა. ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე საბარგო ვაგონების რიცხვიდან დახურული ვაგონები შეადგენენ 14,2 პროცენტს, ღია ვაგონები—18,6 პროც. ცისტერნების—77 პროც. იზოთერმიული—36,4 პროც., დანარჩენები—8,9 პროც., დაზიანებულ ვაგონების რაოდენობა უდრის 12,1 პროცენტს.

საბარგო ვაგონების შეკეთების პროგრამის შესრულების პროცენტი. საბარგო ვაგონების შეკეთების საწარმოო პროგრამის შესრულების პროცენტი მარტში უდრის შემდეგს: ფართო ლიანდაგის ვაგონების შეკეთება უდრის 91,2 პროცენტს, ვიწრო ლიანდაგის ვაგონების—118; პროგრამის შესრულების საერთო პროცენტი უდრის 93.

საკონტროლო სადგურები. ვაგონების მოხსნის შემთხვევათა შესამცირებლად ხაზზე მოწყობილია საკონტროლო კომისიები: ეიბათში, ქობულეთში, ნავთლუღში და კარაკლისში.

დარიგებები ამიერ-კავკასიის რკინის გზის მუშებისათვის. ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო დიდ ყურადღებას აქცევს იმას, რომ თავიდან იქნეს აცილებული უბედური შემთხვევები მუშაობის დროს. რკინის გზის შრომის მომწესრიგებელი ბიურო ადგენს მოკლე დარიგებებს ყველა წარმოებათა მუშებისათვის მუშაობის დროს სიფრთხილის დაცვის შესახებ.

სამგზავრებლო მატარებლების წონის გადიდება. მეურნეობის უკონომიურობასთან ბრძოლის კომისიამ წინადადება მისცა მიმოსვლის განყოფილებას გააფართოვოს მუშაობა სამგზავრო მატარებლების ხარჯების შესამცირებლად. ამას გარდა განზრახულია ეთხოვოს გზათა სახალხო კომისარიატს დააჩქაროს ამიერ-კავკასიისათვის გზებზე დიდძალიანი ორთქლმავალების (სერია „ე") გამოგზავნა, რომელთა მიღების შემდეგ დაუყონებლივ უნდა მოხდეს მთავარ ხაზზე მატარებლების რაოდენობის შემცირება მათი წონის გადიდების გზით.

უფასო ადგილების რაოდენობის შემცირება. დეფიციტიანობასთან ბრძოლის კომისიის დადგენილებით, უფასო ადგილების რაოდენობა შემცირებულ უნდა იქნეს ამ რიგად: სწრაფ მატარებლების ადგილების საერთო რაოდენობიდან—10 პროცენტით; საფოსტო და ადგილობრივ მატარებლებზე—20 პრ. საქალაქო და საბარგო-სამგზავრო მატარებლებზე—30 პროც. ეს განსაზღვრა უნდა გატარდეს პირველ მაისიდან გამოცემული ბრძანებით.

მოწაფეების და მუშათა მატარებლების რაოდენობის შემცირების შესახებ. დეფიციტიანობასთან ბრძოლის კომისიამ წინადადება მისცა მიმოსვლის განყოფილებას დაუყონებლივ შექმნას სათანადო კომისია და რკინისგზელთა კავშირთან ერთად გამოარკვიოს მოწაფეების გადაყვანის წესი იმ ადგილებში, სადაც არ არის შესაფერი მატარებლები და რამდენად მიზანშეწონილად ხდება მოწაფეების და მოსამსახურეების მატარებლების გამოყენება.

მოსამსახურეთა ვაგონების რაოდენობის შემცირება. დეფიციტიანობასთან ბრძოლის კომისიამ წინადადება მისცა ტეხნიკურ კომისიას მოახდინოს შემცირება მოსამსახურეთა ვაგონების რაოდენობისა გზათა სახალხო კომისარიატის ნორმამდე.

საბჭოთა სასამართლოში

ტერ-ზახაროვების საქმე

აღმ. საქ. ოლქის სასამართლომ გაარჩია ცოლ ქმრის ელენე და სარქის ტერ-ზახაროვების საქმე, რომლებსაც ბრალათ ედება გარყვნილების და სისტემატიურ მაჭანკლობის ბუდის მოწყობა თავის ბინაზე მუშათა სახლში, რაც გათვალისწინებულია სისხლ. სამ. კოდექსის 15 და 176 მუხლის პირველ ნაწილში.

1923 წლის მაისში სარქის ტერ-ზახაროვს,—ქარხანა „ტრუმზა"-ს მუშას და მის ცოლს ელენეს აძლიათ ბინა მუშათა სახლში № 8 ლენინის ქუჩაზე. რამოდენიმე ხნის შემდეგ ტერ-ზახაროვი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან შტატების შემცირების გამო, რის მიუხედავათ იგი განაგრძობდა ცხოვრებას მუშათა სახლში. თავისი დაბინავების პირველსავე დღეებიდან ტერ ზახაროვების ბინაზე იმართებოდა სისტემატიური ქეიფი, რომლებზედაც ერთმანეთს ხვდებოდენ ქალ ვაჟები. უკანასკნელთა შორის განსაკუთრებით ხშირი სტუმრები იყვნენ წითელარმიელები სოლომზაევი, პილატოვი, რაქკოვი, შუტკინი და დროზდოვი, ხოლო ქალთა შორის—პოლინა ფოკინისა და ვერა და ლიდა ნაზაროვებისანი. ქეიფი და გარყვნილება ჩვეულებრივათ გრძელდებოდა ღამით გათენებამდე.

ქმარმა იცოდა, რომ მისი ცოლი ფულის მიღების მიზნით ახვედრებდა ერთმანეთს ქალებსა და მამაკაცებს და ხელს უწყობდა ამ გარყვნილებას. ყოველივე ეს შეუმჩნევიათ იმავე სახლში მცხოვრებ მუშებს, რომლებმაც არაერთხელ გააფრთხილეს ტერ ზახაროვები, მაგრამ უკანასკნელნი თავისას განაგრძობდენ. ერთი ჩხუბის შემდეგ, რომელიც მოხდა ტერ-ზახაროვისა და წითელარმიელ სალობაევ-დრონოვს შორის ფულის ანგარიშის დროს, მილიციამ დააპატიმრა ბოროტმოქმედი ცოლ ქმარი და პასუხისგებაში მისცა.

სასამართლომ ბრალდება აღიარა დამტკიცებულათ და ორივე ბრალდებულს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით და ქონების კონფისკაციით.

წინასწარ პატიმრობის ჩათვლით სასჯელის ვადა შემცირდა 2 წელ. 9 თვე და 23 დღემდე.

მკვლელობა გაძარცვის მიზნით

აღმ. საქ. ოლქის სასამართლომ გაარჩია ბორჩალოს მაზრის მცხოვრებლის ხოიუნ ამირასლან ოღლის საქმე, რომელსაც ბრალათ ედებოდა იმავე მაზრის მცხოვრებლის ჰაჯი-მუხტარ-ოღლის მოკვლა გაძარცვის განზრახვით, რაც გათვალისწინებულია სისხლ. სამ. კოდექსის 146 და 191 მუხლის 1 ნაწილით.

1923 წ. ჰაჯი-მუხტარ-ოღლი მოგზაურობდა ბორჩალოს მაზრაში ტფილისიდან, სადაც შეუსყიდია სხვადასხვა საქონელი სავაჭროთ. სოფ. ალავერდთან მას შეხვდენ ბრალდებული და კიარამ-ნასიბ-ოღლი. მათ გააჩერეს მუხტარ-ოღლი, იყიდეს მისგან თამბაქოს ქაღალდი და, მოხერხებულ წუთს, თოფი ესროლეს. მოკლულის გვამი ბოროტმოქმედებმა იქვე არხში გადააგდეს. ორი თვის შემდეგ გვამი აღმოაჩინეს. ადგილობრივმა მილიციამ დააპატიმრა რამდენიმე საეჭვო პირი და მათ შორის ორივე ბრალდებული. უკანასკნელებმა აღიარეს თავისი დანაშაული. რამოდენიმე ხნის შემდეგ. რამდენიმე ხნის შემდეგ კიარამ-ნასიბ-ოღლი გარდაიცვალა გამასწორებელ სახლის საავადმყოფოში, ხოლო მეორე ბოროტმოქმედი ამ საქმით იქნა გასამართლებული. ბრალმდებლათ გამოვიდა პროკურორის თანაშემწე პეპინაძე, დამცველათ ვექილი მაღალაშვილი.

გამოიძია რა საქმე სასამართლომ ბოროტმოქმედების ფაქტი დამტკიცებულათ სცნო, რის გამო ბრალდებულს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით 8 წლის განმავლობაში (თანახმად ს. ს. კ—ის 146 მუხლისა) 1923 წლის 26 ოქტომბრის ამნისტიის შეფარდებით სასჯელი შემცირებული იქნა ერთი მესამედით, რის გამო სასჯელის ვადა შემცირდა 5 წელ. და 4 თვემდე. აღნიშნული ვადა ჩაითვლება დღიდან დაპატიმრებისა ე. ი. 1923 წ. 18 მარტიდან.

მეცნიერება და ტეხნიკა

კასპის პერიოდული ცვალებადობა. პროფესორმა ბიუკნერმა, რომელიც იკვლევდა კასპის ზღვის დონეს, გამოარკვია, რომ ეს დონე განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში იზრდება და კლებულობს: 17 წლის განმავლობაში წყალი კასპის ზღვაში მაღლა დგას, შემდეგი 17 წლის განმავლობაში კი—დაბლა.

ამ ცვალებადობამ აფიქრებინა მეცნიერებს, რომ ის დამოკიდებულია კლიმატიურ პირობებთან. და მართლაც შემდეგმა გამოკვლევებმა ბრწყინვალეთ დაამტკიცეს ეს აზრი.

გამოირკვა, რომ ბუნებაში ცხელსა და მშრალ პერიოდს სცვლის ასეთივე ხანგრძლივობის ცივი პერიოდი. სწორეთ ამ პერიოდების ცვალებადობა ახდენს გავლენას კასპიის ზღვის დონის შეცვლაზე.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოადგენს ჰავაზე დაკვირვებათა შედეგს 1806 წლიდან 1900 წლამდი.

აქ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ სცვლის ცივ პერიოდებს ცხელი პერიოდები:

1806 დან 1825 წლამდი—19 წ. ცივი.
1826 „ 1840 „ 14 წ. ცხელი.
1841 „ 1855 „ 14 წ. ცივი.
1856 „ 1870 „ 15 წ. ცხელი.
1871 „ 1885 „ 14 წ. ცივი.
1886 „ 1900 „ 14 წ. ცხელი.

ძნელი არ იქნება ამ ცხრილის გაგრძელება და მაშინ ჩვენ მივიღებთ.

1900 წლიდან 1914 წლამდი—14 წ. ცივი.
1915 წლიდან 1929 წლამდი—14 წ. ცხელი.

რადიის გამოყენება ოჯახში. რადი ყველაზე ძვირფასი საგანია მთელ დედამიწის ზურგზე. ერთი უნცი (30 გრამი) ღირს 7.000.000 ოქროს მანეთი. მისი ასეთი სიძვირე თითქმის შეუძლებელად ხდის მის გამოყენებას ჩვეულებრივი საჭიროებისათვის.

მაგრამ ამერიკაში ნახეს საშუალება გამოეყენებიათ რადიის ერთი თვისება ისე, რომ ეს დიდ ხარჯებს არ მოითხოვს.

საქმე იმაშია, რომ რადი ისეთ გავლენას ახდენს სხვა სხეულებზე, რომ ისინი ღამით ანათებენ და ამ შეძენილ თვისებას ინახავენ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

ამერიკაში გამოიყენეს რადიის ეს თვისება: რადის საშუალებით გავლენას ახდენენ საათის ისარზე, ელექტრონის ზარის ფილაკზე, კარის პეპრუტანებზე, რომლებიც ამის შემდეგ ანათებენ. ეს გამოყენება ერთ დოლარზე ნაკლები ღირს.

ცენტრალურ პარტიულ კლუბში

ოთხშაბათს, 23 აპრილს—საღამოს. ვ. ი. ლენინის ხსოვნის პატივსაცემლად მოხსენებით გამოვლენ: ამხ. ორახელაშვილი და მიასნიკოვი.

მოხსენების შემდეგ შესრულებული იქნება ლენინისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ მუსიკალური ნომრები. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შესვლა—პარტიული ბილეთებით, ახალ მიღებულ კანდიდატებისათვის პარტიულ ცნობებით.

ხუთშაბათს, 24 აპრილს.—ლიტერატურულ ჯგუფის „НА ПОСТУ"-ს სანიმუშო საღამო.

ჯგუფ „НА ПОСТУ"-ს დეკლარაცია.

მოხსენება და ლიტერატურული განყოფილება.

მოხსენების შემდეგ დისკუსია.

დასაწყისი საღამოს სრულ 9 საათზე დიდ დარბაზში.

შაბათს, 26 აპრილს.—კლუბის წევრთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. გამგეობის ანგარიში.
2. გამგეობის ხელახალი არჩევნები.

შესვლა კლუბის საწევრო ბილეთებით.

კვირას, 27 აპრილს.—ლიტერატურული ჯგუფის „ПОПУТЧИКИ"ს პირველი სანიმუშო საღამო.

მოხსენება და ლიტერატურული განყოფილება. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ორშაბათს, 28 აპრილს.—ლიტერატურულ — ვოკალურ მუსიკალური საღამო კლუბის წრის შესრულებით. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შესვლა თავისუფალია კომუნისტების ოჯახების წევრთათვის.

ქრონიკა

■ **შრომის სკოლების საყურადღებოდ.** ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: ამ უკანასკნელ დროს გახშირდა თბილისის შრომის სკოლების მიერ სტატ. სამმართველოდან ცნობებით სარგებლობა, მეტადრე მოსახლეობის შესახებ. ყველა ამ მომართვებზე პასუხის გაცემა ძალიან დიდ დროსართმევს სამმართველოს. სამმართველო აცხადებს, რომ სტატისტიკური ცნობები, საერთოდ, და, კერძოთ, მოსახლეობის შესახებ დაბეჭდილია ცალკე გამოცემებში, რომელთა ფასები ყველასათვის მისაწვდომია.

■ **კოოპერატიულ დაზღვევის საქმე.** „წარმოკავშირთან" არსებულმა კოოპერატიულ-დამზღვევი კავშირის სააგენტომ თავისი არსებობის ერთი წლის განმავლობაში დააზღვევა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქონება 2 088 000 მანეთში. ვინაიდან კოოპერატიულ ქონების დაზღვევას დიდი მნიშვნელობა ეძლევა სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის, დაზღვევის ტარიფი წარმოკავშირის შუამდგომლობით შემცირებულია თითქმის 50 პროც. მდე. მიმდინარე წელს „წარმოკავშირი" ემზადება სტიქიისაგან დაზღვევის ფართე კამპანიის მოწყობისათვის.

■ **დახმარება.** ქ. აღმასკომმა თავის შეფობის ქვეშ მყოფ ჯარის მეთაურთა ქართულ სკოლას მისცა 600 მან. სკოლის დაარსებიდან 3 წლის შესრულების აღსანიშნავად.

■ **სკოლის ასაგებათ.** ქ. აღმასკომმა გორის სამაზრო აღმასკომს სოფ. მეჯვრისხევში სკოლის ასაგებათ გადასცა 1000 მან.

■ **სამხედრო მომხმარებელ საზოგადოებათა ყრილობა.** 28 აპრილს თბილისში გაიხსნება ქართული დივიზიის მთლიანი მომხმარებელ საზოგადოებათა მესამე ყრილობა.

■ **კანალიზაციის გაყვანა გარეუბნებში.** ქ. აღმასკომის კომუნალური განყოფილება ამ ჟამად აწარმოებს კანალიზაციის გაყვანას თბილისის გარე უბნებში. ამ ჟამად მუშაობა სწარმოებს კანალიზაციის გასაყვანათ ხუდადოვის რაიონში.

■ **ქვა-ფენილების შეკეთება.** ქ. აღმასკომი შეუდგა ქალაქის ქუჩებში ქვაფენილების შეკეთებას.

■ **გადასახადი წყალზე.** ვინაიდან 1 ლ აპრილიდან შემოღებულია წყალზე ახალი ფასი, წყალსადენის მმართველობამ გადასწყვიტა გამოარკვიოს წყლის მომხმარებელთა რიცხვის რაოდენობა, მათი ხარისხებათ დასაყოფად.

■ **„ლენინის ცხოვრება".** პოლიტ-განათლების მთავარ მმართველობამ მოსკოვიდან მიიღო დიაპოზიტივები: —„ლენინის ცხოვრება" და „გერმანია ოქტომბრის წინ" დიაპოზიტივებით სარგებლობა შეუძლიათ ყველა კულტდაწესებულებებს.

■ **სკოლის გარეშე განათლების მუზეუმი.** სკოლის გარეშე განათლების მუზეუმმა შეიძინა დიაგრამები და საყურადღებო პლაკატები—ნიმუშები, რომლებიც იძლევა გარკვეულ სურათს საქართველოს პოლიტგანათლების მუშაობის შედეგებისას.

ჯანმრთელობის კომისარიატში.

■ **ცენტრალური სამალარიო კომიტეტის.** საგანგებო სხდომა დანიშნულია 24 აპრილს საღამოს 8 საათზე ჯან. სახ. კომისარიატში. სხდომაზე დაესწრება საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენელი.

■ **აფთიაქების ნიხრის გაიაფება.** მტკიცე ვალიუტაზე გადასვლის გამო აფთიაქების ნიხრი შემცირებულია 10 პროცენტით.

■ **ლენინის დაბადების დღის აღსანიშნავად** ჯან. კომ. კომუჯრედი სანიტარულ განათლების თეატრში დღეს, 23 აპრილს მართავს საღამოს.

■ **კამის საავადმყოფოს დიდი შეკეთება.** საავადმყოფოს მიშენდა ორ სართულიანი დიდი შენობა, რომელიც შეიცავს: ლაბორატორიას, საოპერაციო ოთახს და საავადმყოფოსათვის საჭირო სხვა სადგომებს.

■ **ქარ. ექიმთა და ბუნებ. საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 24 აპრილს, საღამოს 6 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგიურ აუდიტორიაში შესდგება ქართულ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოების საბუნების მეტყველო სექციის მორიგი სხდომა, რომელზედაც დოც. ნიკოლოზ იოსელიანი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ საკითხზე: „ქრომოზომები, როგორც მემკვიდრეობითი თვისებების მატარებელნი". დასწრება ყველას შეუძლია.

■ **უპარტიო გლეხთა ყრილობა.** 20 აპრილს, კოჯორის რაიონში შესდგა უპარტიო გლეხთა ყრილობა. ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომლითაც კოჯორის მცხოვრებთ მოუწოდებს მიიღონ მონაწილეობა სათემო კომიტეტების მუშაობაში.

■ **აეროდრომები საქართველოში.** ა/კ. საავიაციო საზოგადოებამ გადასწყვიტა საქართველოში სხვადასხვა ადგილას მოაწყოს 11 აეროდრომი.

■ **აეროპლანების სწორ მიმოსვლელად.** ა/კ. საავიაციო საზოგადოებამ განიზრახა აეროპლანების სწორ მიმოსვლელად თბილის ბაქოს-სურამ და სოხუმს შორის მოაწყოს სატელეგრაფო კავშირი.

■ **ექიმთა საექსპერტო ბიურო.** ჯანმრთელობის კომისარიატმა დაამტკიცა დებულება ექიმთა საექსპერტო ბიუროს მუშაობის შესახებ. ბიურო ავადმყოფთა შემოწმებას მოახდენს მხოლოდ დაწესებულებების ოფიციალურ წინადადებებით.

■ **სიღნაღის მაზრის ხარჯთ-აღრიცხვა.** საუწყებათაშორისო კომისიამ დაამტკიცა სიღნაღის მაზრის ხარჯთ-აღრიცხვა 177,000 მ. რაოდენობით. აქედან ჯანმრთელობის საჭიროებისათვის გადაიდება 35 პროცენტი, ხოლო სახალხო განათლებისათვის 30 პროცენტი.

■ **შრომის ბირჟა.** 21 აპრილს შრ. ბირჟაში გამოცხადდა 198 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა—61, მოთხოვნილება იყო—82, სამუშაოზე გაიგზავნა—96.

■ **ისტორიული შრომა შამილზე.** ა. აბესაძემ დაამთავრა ისტორიული შრომა შამილზე. შრომა წაკითხული იქნება ამ დღეებში საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.

შემთხვევები.

—**ქურდი სტუმრები.** 17 აპრილს, დღის 4 საათზე, ახალ ბებუთოვის ქ. № 11., მოქ. მირზა უსეინ ხანს სტუმრათ მისულებმა მოქ. გაჯი ხუდო ოღლი აგაევმა და აბას მამედ მირზა ოღლმა მოპარეს რამდენიმე ჩერვონეცის ნივთები. ქურდი სტუმრები შეიპყრეს.

—**შეპყრობა.** 17 აპრილს შეიპყრეს მეეზოვე ქალი ანნა ინცინიანცისა, რომელსაც ბრალდება არსენალის ქ. № 16 მოქ. ნიკოლოზ მიხაილოვის ბინის გაქურდვა.

—**ქურდი მოსამსახურე.** 18 აპრილს, ღამით რუსთაველის პრ. № 41 გაქურდული იქნა მოქ. ისაკ შიხმანის ბინა მისივე მოსამსახურე ქალის ნადია ივანიჩენკოს მიერ წაღებულია: ფულად 14 ჩერვონეცი, 50 დოლარი, 75 ლირა, და სხვადასხვა ოქროს ნივთები.

—**ქურდობა.** 18 აპრილს, დღის 11 საათზე, ფრეილინის ქ. № 9 მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდული იქნა მოქ. დავით ჩიჩავას ბინა, წაღებულია 22 ჩერ. ნივთები.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

„აბესალომ და ეთერი"

სახელმწიფო ოპერის მთავარმა დირიჟორმა ევნო ფალიაშვილმა თავისი 35 წლის იუბილეს აღსანიშნავათ დასდგა ოპერა „აბესალომ და ეთერი". თეატრალური წრეები დიდხანია ემზადებოდენ ამ იუბილესთვის და სიმართლე უნდა ითქვას, რომ ბევრი საშუალებები, ენერგია, ცოდნა და გემოვნება დახარჯული პირველი ქართული ეროვნული ოპერის დასადგმელათ ახალი მიზანსცენებით.

ოპერა დასდგა მარჯანიშვილმა მხატვარ შევარდნაძის ესკიზების მიხედვით. სცენაზე სჭარბობს სილამაზე. მაგრამ იბადება საკითხი, თუ რამდენათ სტილიურათ არის დადგმული ოპერა. მხატვარ შევარდნაძეს ურჩევია სტილიზაციური დადგმა და ეს, ჩვენის აზრით, არ შეიძლება მისაღებათ ჩაითვალოს.

ოპერა აბესალომ და ეთერის შინაარსი ხომ ლეგენდარულია, და ამიტომ ჩვენ აქ უფრო მისაღებათ მიგვაჩნია რეალური დადგმა, ვიდრე სტილიზაციური. ავიღოთ, მაგალითად, პროლოგი: სად იზრდება ისეთი ხეები და ისეთი ყვავილები, როგორც ეს დახატულია დეკორაციებზე? სად არის ასეთი მთები? ამას გარდა შემსრულებელთა ასეთი სტილიური კოსტიუმები და გრიმები არ შეიძლება მისაღებათ ჩაითვალოს რადგან ზოგიერთი პირების აზრით, ეს კოსტიუმები უფრო სპარსულ კოსტიუმებს მოგვაგონებენ, ვიდრე ქართულს. აგრეთვე მიუღებელია სტილიზაცია მეორე სურათში.

საუცხოვოთ არის დადგმული მეორე მოქმედება (ქორწილი); ყველა დეტალები დაცულია ზედმიწევნით. სცენაზე ხალხი ცოცხლობს, დუღავს, ხარობს და სწუხს. მშვენივრათ არის დადგმული ცეკვა როგორც ქალების, ისე ვაჟების. მეტათ ლამაზია სინათლის ეფექტები (განთიადი); ერთი სიტყვით, მეორე მოქმედების დადგმა ფეერიულია.

სტილიურათ არის დადგმული მესამე მოქმედება; დადგმაში და დეკორაციებში დაცულია ქართული სტილი. აბესალომის და ეთერის გამოთხოვების მოკლე სცენა ლამაზია თავისი გულწრფელობით და გრძნობით.

ქარცივაძე პირველათ მღეროდა მურმანის პარტიას. ლამაზია თუმანიშვილი თამადას როლში. მხატვრულათ ჩაატარეს თავისი პარტიები სარაჯიშვილმა და ბოკოვამ.

წარმოდგენის გათავების შემდეგ გამართული იყო საიუბილეო ზეიმი. იუბილიარს სცენაზე შეხვდა სამხედრო ორკესტრი ფანფარებით. იუბილიარს მიულოცა სახალხო კომისართა საბჭოს სახელით—სახელმწიფო აკადემიურ თეატრების დირექტორმა ლ. სვიმონიშვილმა, რომელმაც აცნობა იუბილიარს, რომ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, მას მიეკუთვნა სახალხო არტისტის წოდება; იყო მილოცვები აგრეთვე სხვა დაწესებულებების და პირებისგან. ამას გარდა იუბილიარმა მთავრობისაგან მიიღო საჩუქარი ფულით.

ჰ. ბებუთოვი.

■ **უმაღლეს სასწავლებლებში პარტიულ გეზის შეტანის საკითხისათვის.** ცენტრალური პარტიული კლუბი მართავს დისკუსიას უმაღლეს სასწავლებლებში პარტიულ გეზის შეტანის შესახებ.

ამხანაგებს, რომლებსაც სურთ მიიღონ მონაწილეობა დისკუსიაში, წინადადება ეძლევა მომზადდენ დისკუსიისათვის.

დისკუსია გაიმართება დაახლოვებით მაისის პირველ რიცხვებში.

ამ საკითხის გარშემო არსებულ პარტიულ ლიტერატურის სია გამოქვეყნებული იქნება პრესაში. თვით ლიტერატურა არის ცენტროპარტკლუბის სამკითხველოში.

■ **„ნიგვზიანის ღვთისმშობელი".** დაიბეჭდა და გამოვიდა (გასასყიდათ) ივ. გომართელის მოთხრობა: „ნიგვზიანის ღვთისმშობელი". წიგნი შეიცავს 48 გვ. და ღირს 20 კაპ.

■ **სამხატვრო აკადემია.** საქართველოს სამხატვრო აკადემიას დაეთმო ახალი ბინა (ქობულაშვილისეული), სადაც მოეწყობა სხვათა შორის დიდი სახელოსნო მოქანდაკეთათვის.

■ **ახ. კომკავშირის კლუბი.** ახ. კომკავშირის კლუბთან დაარსდა სალიტერატურო წრე და ქართული ენის კურსები.

■ **მოხსენება თეატრზე.** ახლო ხანში კონსტანტინე გამსახურდია წაიკითხავს მოხსენებას: „ქართული თეატრი".

■ **„აბესალომ და ეთერი"—მომღერალ ქალის, ტერ-დანელიანის მონაწილეობით.** დღეს, ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „აბესალომ და ეთერი". ეთერის პარტიას შეასრულებს მომღერალი ქალი ტერ-დანელიანი.

■ **წითელი თეატრის გახსნა.** 1 მაისს სახალხო სახლში გაიხსნება წითელი თეატრი. წარმოდგენილი იქნება დ. კობახიძის რეჟისორობით ვერხარნის „რიჟრაჟი" (ზორი).

დღეს თეატრებში

■ ოპერა—„აბესალომ და ეთერი".

■ რუსთაველის თეატრი—სომხური წარმოდგენა.

■ სახ. სახლი—რუსული წარმოდგენა.

სპორტი

პირველი მაისისათვის

წითელმა სასპორტო ინტერნაციონალმა, რომლის ლოზუნგია: „მუშათა კლასის ყველა ეკონომიური და პოლიტიკური გამოსვლების დროს, მუშათა სასპორტო ორგანიზაციები მათთან უნდა იყვნენ პირველ რიგებში", საჭიროდ აღიარა პირველი მაისისათვის, მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის დღისათვის მზადების დროს, ამ გრძნობის უფრო რეალურად და ცოცხლად გამოხატვა მუშათა სასპორტო ორგანიზაციების მხრივ.

წითელმა სასპორტო ინტერნაციონალმა განსაკუთრებით სასურველად აღიარა სხვადასხვა ქვეყნების მუშათა სასპორტო ორგანიზაციების შეხვედრა ამ დღეს. ყველა ქვეყნებში, სადაც წითელი სასპორტო ინტერნაციონალის სექციები არსებობენ, გაიმართება მუშათა სასპორტო ორგანიზაციების გამოსვლები. თითეულ ქვეყნის სასპორტო ორგანიზაციას სტუმრად ეყოლება სხვა ქვეყნის მუშათა სასპორტო ორგანიზაცია.

საბჭოთა კავშირში ჩამოვა გერმანიის მუშათა სასპორტო ორგანიზაციის რაზმი, ნორვეგიაში გაემგზავრება საბჭოთა კავშირის სასპორტო რაზმი.

პროვინციაში

კოოპერაციის მდგომარეობა ახალციხის მაზრაში

აქამდე ახალციხის მაზრაში არსებული კოოპერატიული სავაჭროები ძლივს ლაფავდენ სულს. ისინი თუ გაყინული არ იყვნენ ერთ წერტილზე, ყოველ შემთხვევაში მათი განვითარება წინ მიდიოდა ძალიან ნელა.

ამის მიზეზი იყო უმთავრესად მაღალი ფასები კოოპერატივებში კერძო სავაჭროებთან შედარებით და ამას გარდა უნდობლობა გლეხობის მხრივ, რომელიც სამართლიანად ჰქონდა დამსახურებული ჩვენ კოოპერატიულ დუქნებს.

დღეს, შეიძლება ითქვას, ეს მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია. ფასების დაწევამ გლეხობის პირველ მოთხოვნილების საქონელზე გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენი კოოპერატივების ფეხზე წამოყენების და მათი პირდაპირი დანიშნულების განხორციელების საქმეში. ჩვენი კოოპერატივი უკვე უახლოვდება თავის მიზანს—იყოს შუამავალი ქალაქისა და სოფელს შორის და გაუწიოს კონკურენცია კერძო ვაჭრობას.

თუ აქამდე ახალციხის გლეხობას ჯოხითაც ვერ შედენიდით კოოპერატივში და ეს უკანასკნელი ძალიან ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა მათ შორის, დღეს, ფასების დაწევის შემდეგ, სრული გარდატეხა მოხდა მშრომელი ფართო მასების შეგნებაში კოოპერატივის სასარგებლოთ, დღეს კოოპერატივს არა თუ გაურბის გლეხობა, როგორც ამას ჰქონდა ადგილი აქამდი, განსაკუთრებით ჩვენ მაზრაში, არამედ მან უკვე ორგანიული კავშირი გააბა კოოპერატივთან. დღეს ჩვენი კოოპერატიული დუქნები ყოველთვის სავსეა მყიდველი გლეხებით, მაშინ როდესაც კერძო დუქნებში ვაჭრობა ძალიან შემცირდა. ის რაც ვერ შესძლო სამი წლის აგიტაციამ გლეხობაში კოოპერატივის სასარგებლოთ, მოკლე ხანში გაკეთდა საბჭოთა ხელისუფლების უკანასკნელი გაბედული ზომებით. ჩვენი კოოპერატიული დუქნები გამოცოცხლდა, ვაჭრობამ მოიმატა ერთი სამად და საერთოდ მოკლე ხანში მან საგრძნობლად მოიმაგრა წელი. სამი ოთხი თვის წინად მაზრაში ითვლებოდა სამი დუქანი, დღეს კი მარტო ქალაქში გახსნილია ოთხი განყოფილება და რაიონებში სამი, ამ მოკლე ხანში დაიწყებს მუშაობას აგრეთვე ორი დუქანი აბასთუმანში,

ამნაირად, ჩვენი კოოპერატივის ზრდა მაზრაში წინ მიდის და ის დღითი-დღე მტკიცდება ეკონომიურად. მაგრამ არა ნაკლები ღირსშესანიშნავია ის ფაქტი, რომ აქამდი სახელგატეხილი კოოპერატივი თანდათან უახლოვდება, უკავშირდება თავის მომხმარებელ გლეხობას, ამტკიცებს ნდობას და ხელს უწყობს თავისი ავტორიტეტის ზრდას მათ შორის.

ეს უთუოდ დიდი მორიგი გამარჯვებაა საბჭოთა ხელისუფლების, ვინაიდან ეს ერთი მთავარი მომენტია სოფლის და ქალაქის კავშირის გამტკიცების საქმეში.

ა—ნა.

გორის რაიონის უპარტიო გლეხთა კონფერენცია

ა. წ. 18 აპრილს ქ. გორის სახალხო სახლში შესდგა გორის რაიონის უპარტიო გლეხთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 55 სოფლიდან 366 დელეგატი, მათში 74 ქალი. კონფერენცია გახსნა ამხ. ა. ცაბაძემ, რომელმაც მოუწოდა კონფერენციას ფეხზე ადგომით პატივი ეცან გარდაცვალებულ დიდ ბელადს ამხ. ლენინს. სიმებიანი ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო ჰიმნს.

არჩეულ იქნენ პრეზიდიუმში შემდეგი ამხანაგები: 1. ვ. ქურდაძე, 2. ა. გიორგაძე, 3 ეპ. სიამაშვილი, 4. ა. ცაბაძე, 5. გ. გოგიაშვილი, 6. ვ. შაყულაშვილი, 7. მ. თათარაშვილი, 8 ე. ჯანიზაშვილი, 9. ნ. წერეთელი, 10. ნ კვიცაშვილი, 11. რ. კალხიტაშვილი, 12 ს ფუხაშვილი, 13. გ. ბიბილაშვილი, 14 ვ. გოლოშვილი, 15. ს. მოციქულაშვილი და 16. გ. ელიკაშვილი.

სამდივნოში: მ მესხროფოვი, ვ. კველიშვილი და მ. თათარაშვილი.

საპატიო თავმჯდომარეებათ: სტალინი, რიკოვი, ტროცკი, ცხაკაია, ორჯონიკიძე, მახარაძე, ორახელაშვილი, ელიავა და მიასნიკოვი.

გაეგზავნა ორი მისალმებითი დეპეშები: 1. კ. პ. ცეკას და 2. ს. ც აღმ. კონფერენციას ხელმძღვანელობს ამხ. სიამაშვილი ეპ. პირველად მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ვ. ქურდაძემ.

შემდეგ მიიღეს დღის წესრიგი- 1, საბჭოების ყრილობების შედეგები, ლენინი და გლეხობა,—მომხსენებელი ამხ. ვ ქურდაძე; 2. რაიაღმასკომის ანგარიში, მომხსენებელი ამხ. ა. ცაბაძე, 3. თესვის კამპანია საგრონომო პუნქტის მუშაობა, მომხსენებელი ამხ. კეჩხუაშვილი; 4. ადგილობრივ კოოპერაციის მუშაობა, მომხსენებელი ამხ. ს. მეჰაგარიანი და 5. მიმდინარე საკითხები.

ყველა საკითხებს მომხსენებელნი აშუქებენ საკმარისად. კონფერენციას გამოაქვს შესაფერისი რეზოლიუციები.

გაიმართა შეკითხვები, კამათი, წარმოითქვა ზოგიერთი დელეგატების მიერ სიტყვები. შეკითხვებზე გაცემულ იქნა მომხსენებელთა მიერ დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტება. ღირსშესანიშნავი განცხადებანი რომელნიც ეხებოდნენ სკოლების გახსნას, გზების და არხების გაყვანას, წყაროების მილით გაყვანას, ხიდების გაკეთებას და სხვა, რომელთა გასაკეთებლად თვით გლეხები გამოიჩინენ უნარიანობას, იქნენ შეტანილნი ოქმში, და დაჰპირდენ მათ შესრულებას შეძლებისდაგვარად.

კონფერენცია დაიხურა საღამოს 6 საათზე. დელეგატები იქნენ მიწვეულნი დასათვალიერებლად სამეურნეო იარაღებისა, რომელიც იყო გამოფენილი იქვე ქუჩაზედ. გლეხობა დარჩა ფრიად კმაყოფილი და ბინდისას დაიშალა.

იოს. ჟანჩაველი.

მუშათა ცხოვრება

შრომის ნაყოფი

(უძღვნის ზემო ავჭალის ჰიდროსადგურის მუშებს)

ბუნების ძალით ზედ-იღბალი ერგო ავჭალას,
ყრუ მხარე ამეტყველდა და ამუშავდა,
აზრთა სიკეთე შეებრძოლა ბოროტ ავ ძალას
და წარსულ ყოფნას ურცხვი პირი მთლად გაუშავდა!

თითქო უეცრად დავაჟკაცდნენ ქორფა ბალღები,
დიდ სიხალისით დაანგრია ტინი-ციცაბი,
შეატრიალა უხსოვარი მძლავრი ტალღები
და გაუკვალა წყალს ახალი გზა და გვირაბი!

დღის ბრწყინვალება ვერ დაჩრდილა ღამის მარაგრა,
ძველი ქვეყანა ახმაურდა ცეცხლის ამბებით,
ცელქი ლიახვი ამღერა გიჟმა არაგვმა
და მტკვარმა დინჯი ბანი მისცა უცხო ჰანგებით!

სახნის-საკვეთი მიწიდან ჰყრის ჯაგიან ეკლებს,
შეჯიბრებია ცელი ნამგალს, კევრი ჩაქუჩებს,
გრდემლს ურო ჰკოცნის, აქეთ იქით ფანტავს ნაპერწკლებს
და ვით ყრმა ხშირად ეწაფება სატრფოს ნაზ ტუჩებს!

ქშინავს მანქანა, ქშუის ქურა, გმინავს დინამო,
შიგნით თითები არაკრაკებს საზომ რემინგტონს,
გარედ მარჯვენას დამორჩილდა ვრცელი მიდამო
და თბილისს უდგამს უზარმაზარ ჰიდრო ელექტრონს!

მზე მშრომელთა შუბლზე უხვად აფრქვევს მხურვალე სხივებს,
და ამ სხივებში სისხლის ფერი დროშა ფრიალებს,
აღფრთოვანებით მიჰყვებიან მწკრივები მწკრივებს,
მტრებს უბრმავებენ შურით სავსე ეშმაკურ თვალებს!

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

კომუნისტური ნათლობა 1-ლ გამასწორებელ სახლში

ამა წლის 10 აპრილს № 1-ლ გამსახლის ადგილკომმა მოაწყო ხსენებულ გამსახლის მუშა-მოსამსახურეთა შვილების კომუნისტური ნათლობა.

№ 1-ლ გამსახლის თეატრის დარბაზში საღამოს 8 საათზე უკვე თავი მოიყარეს სხვადასხვა საბჭოთა დაწესებულებების წარმომადგენლებმა და მუშებმა. ყველას სახე უბრწყინავს, თეატრის დარბაზი ხალხით არის სავსე; რაღაცას ელიან, მხიარულობა ეტყობა ყველას, აინტერესებთ ნათლობა.

სრულ 9 საათზე საღამოთი კომუნისტურ ნათლობის კრების გახსნის წინ, ადგილკომმა მოუწოდა დამსწრეთ პატივი ეცათ ფეხზე ადგომით პროლეტარულ რევოლიუციის ბელადის ამხ. ლენინის ხსოვნისათვის.

შემდეგ ამისა თავმჯდომარემ კრება გახსნილად გამოაცხადა და № 1 გამსახლის ახალგ. კომკავშირის უჯრედის წევრებმა ორკესტრთან ერთად შეასრულეს ინტერნაციონალი.

კომუნისტურ ნათლობის შესახებ ქართულ და რუსულ ენაზედ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სერგო მონიავამ.

მოხსენების შემდეგ იქნა შესრულებული კიდევ ინტერნაციონალი.

გაიმართა კომუნისტური ნათლობა. სულ ოთხი ბავშვი მოინათლეს, თითოეულ ბავშვის სახელის დარქმევაზე ორკესტრი უკრავდა „ტუშს“ და დამსწრე საზოგადოება ეგებებოდა ტაშის ცემით ნათლიას. ადგილკომმა თვითეულ ბავშვის პატრონს დაურიგა საჩუქრად ოთხ-ოთხი არშინი კარგი ხარისხის ტილო და თითო პირსაბანი საპონი.

ნათლობის შემდეგ გამსახლის მუშა-მოსამსახურეების ქართულ დრამატიულ წრის მიერ იქნა წარმოდგენილი ხუთმოქმედებიანი პიესა „დამარცხებულნი“. აღნიშნული ნათლობა და წარმოდგენა ჩინებულად ჩატარდა.

მუშკორი ა. დ. მათხოჯელი.

რა არის მუშების მოვალეობა

დაზგასთან მომუშავე ყოველი მუშა უნდა ასრულებდეს თავის მოვალეობას პირნათლად

ყოველი მუშა უნდა იყვეს გამსჭვალული კლასიური შეგნებით და უნდა იცოდეს, სად ან ვისთან მუშაობს იგი, უნდა ესმოდეს რომელ წესწყობილებას ემსახურება მისი გული და სული. იმან უნდა გაიწიოს ძალი მძიმე და პატიოსანი თავის მუშური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. მუშამ არ უნდა იფიქროს მარტო იმაზე, „რომ ის ჯამაგირს იღებს, და ვინც გინდა ის იყვეს მისი ხაზეინი“.

არა, ამხანაგებო! ეს ასე არ არის! ჩვენ გვინახავს ყოველნაირი ხანა: მეფისაც და „სოციალისტებისაც“. ისიც კარგად გვახსოვს, რომ ვმუშაობდით 10—11 საათს და მის შემდეგ, ჩვენი ნაოფლარი და ნაშრომი ფული ამაოდ რჩებოდა მიკიტნის დუქნებში. ჩვენ თუ სულით და გულით გვინდოდა სადმე წასვლა, ან გაკეთება ჩვენი ცხოვრების საქმის გასაუმჯობესებლად, იმის ნებასაც არავინ გვაძლევდა.

დღეს კი სულ სხვაა. ჩვენ გვყავს სათავეში მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელიც სულით და გულით ჩვენთან არის და იცავს მხოლოდ მუშათა ინტერესებს. მთელი წარმოებები: ფაბრიკები, ქარხნები, სტამბები და სხვა ბევრი რამ ეხლა ჩვენვე გვეკუთვნის და ჩვენიც არის ჩვენს ნამუშევარს ჩვენვე ვუყურებთ. გვესმის კიდეც თუ ვინა გვყავს სათავეში და ვინ განაგებს ჩვენს ბედიღბალს. ესენი არიან მუშები და გლეხები.

მაშ, როდესაც ვიცით ყველა ეს, რატომ არ უნდა გვიყვარდეს ჩვენი მოვალეობა?!

უნდა გვიყვარდეს მოვალეობაც და უნდა გვრწამდეს საბჭოთა წესწყობილება უნდა დავანებოთ თავი ურთიერთ შორის უნდობლობას და ჭორიკანობას. შევუდგეთ საბჭოთა აღმშენებლობის საქმეს, ენერგიული მტკიცე დისციპლინით გაათკეცებული შრომით.

მუშაობაში დაგვიანება, სამუშაო დღეების გამოტოვება, მუშაობაში გულგრილობა და სხვა.

ასეთები ყოვლად დაუშვებელია.

მუშკორი ილდა.

„წითელი სასადილოს“ საზეიმო გახსნა

12 აპრილს დღის 1 საათზე (ორთაჭალაში) საზეიმოთ გაიხსნა „წითელი სასადილო“ № 1. გახსნის დროს სასადილოს ეზოში თავი მოიყარეს ორთაჭალის ქარხნის მუშებმა.

მუშკოოპის სახელით ამხ. მელჩარსკიმ მიულოცა მუშებს სასადილოს გახსნა. № 1 ტყავ-ტრესტის ადგილობრივმა სამხედრო მუსიკამ შეასრულა „მრავალ ჟამიერ“. ამის შემდეგ შესამე რაიკომის სახელით ამხ. ვართაპეტიანმა წარმოსთქვა სომხურ ენაზედ რამდენიმე სიტყვა წითელ სასადილოს მნიშვნელობაზე. მომხსენებელი დაჯილდოვებულ იქნა ტაშით. რამოდენიმე ამხანაგების ლაპარაკის შემდეგ № 1 ტყავტრესტის ქარხკომის მდივანმა ამხ. ს. ტერდინტიანმა გამოუცხადა დამსწრე მუშებს, რომ ვისაც ფული არ აქვთ, შეუძლიანთ ნისიად ისადილონ.

ჩვენმა მუშებმა დაიკავეს სასადილოს მაგიდები. სადილი მშვენიერი იყო და მასთანვე საუკეთესო ღვინოც, კაცზე თითო ბოთლი. გაიარა რამოდენიმე წუთმა და სასადილოს დამაარსებელი შემოიყვანეს. მუშებმა ჰაერში აიყვანეს ამხ. ქანოვი და ყოველ მხრიდან მოისმა „ვაშა“-ს ძახილი. ჩვენი მუშები დიდი ოვაციებით მიეგებენ ქანოვს, რომელმაც დაარსა ორთაჭალაში მუშებისათვის „წითელი სასადილო“. ამის შემდეგ მეორე რაიონის კინო-თეატრების მუშა-მოსამსახურების სახელით მუშამ ამხ. გ. მჭედლიშვილმა სიტყვა წარმოსთქვა და სთხოვა ამხ. ქანოვს რომ მეორე რაიონშიც დაეარსებინა მუშკოოპის სახელით წითელი სასადილო და მიულოცა ორთაჭალის მუშებს საზეიმო დღესასწაული. მომხსენებელი დაჯილდოვებულ იქნა მქუხარე ტაშით.

იმედია, რომ ყოველივე პატიოსანი მუშა ხელს შეუწყობს თავისივე მუშათა „წითელ სასადილოებს“, მათი მტრების ასალაგმავად.

მუშკორი გ. მ—შვილი.

უფასო საღამო ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბში

19 აპრილს მე-2 უბნის რკინის გზის დამცველ რაზმის კულტ კომისიის ინიციატივით გამართულ იქნა საღამო წარმოდგენა საკუთარ ძალებით თავის წევრების და მათი ოჯახებისათვის. საღამო გაიხსნა.

შემდეგ წარმოდგენილ იქნა პიესები „სიმართლე“, „ადამი და ევა“. კარგად ასრულებდა სიმონიკას როლს ამხ. მუმლაძე და თამარიკას—ამხ. ბაბადიში, რომელმაც შონდომებულად გადასცა მაყურებლებს თავისი როლი. კარგი იყო აგრეთვე ამხ. ვაშაკიძე.

ბოლოს გაიმართა დივერტისმენტი; ადგილობრივი გუნდის მიერ შესრულებულ იქნა ხალხური სიმღერების რამოდენიმე ნომრები.

საღამო დამთავრდა აზრიური ცეკვით. პიესას ხელმძღვანელობდა ამხ. მუმლაძე.

საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დაიშალა ღამის 1-ლ საათზე.

მუშკორი კანო.

ოზურგეთის რაიონის უპარტიო გლეხთა კონფერენცია

1924 წელს 6 აპრილს გაიხსნა ოზურგეთის რაიონის უპარტიო გლეხთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 220 დელეგატი.

მოსმენილ იქნა ფართე მოხსენება ნაციონალურ საკითხზე. მომხსენებელმა დაახასიათა, თუ როგორ მუდმივ ომებს აწარმოებდა მენშევიკური მთავრობა, თუ როგორ დევნიდა ის ეროვნულ უმცირესობას. ეხლა კი, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ერებს შორის მტრობის და შუღლის მაგიერ დამყარებულია ძმობა და შეთანხმებული თანამშრომლობა ეკონომიური და კულტურულ აღორძინების ნიადაგზე. შემდეგ ნათლად გაშუქებულ იქნა თუ რა გააკეთა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ სწავლა განათლების, მიწის, სოციალურ უზრუნველყოფის და სამშენებლო დარგებში. კონფერენცია ამ მუშაობას აღფრთოვანებით შეხვდა და აღნიშნა, რომ მთელი მშრომელი ხალხი მუდამ მთავრობის გვერდში იქნება და მასთან ერთად კიდევ უფრო გააფართოებს იმ კულტურულ და ეკონომიურ მუშაობას, რომელიც დღეს სწარმოებს.

კონფერენციის დღის წესრიგში დასმული იყო მრავალი საჭირბოროტო საკითხები, როგორიცაა რაიონის აღმასკომის მუშაობის ანგარიში, ადგილობრივი კოოპერაციის მუშაობა, თესვის კამპანია, გლეხებისადმი აგრონომიული დახმარება, მიწის და ტყის კოდექსის გარკვევა და სხვა მრავალი, რომლებზედაც კონფერენციას ჰქონდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და კამათი. თითეული საკითხის გარჩევაში დელეგატები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ.

გულდასმით იქნა მოსმენილი აგრონომიული დახმარების საკითხი. კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც ის ხაზგასმით სთხოვს სამაზრო ხელისუფლებას მეტი ყურადღება მიაქციოს აგრონომიული დახმარების საქმეს, საცდელი მინდვრების და სხვადასხვა კულტურულ მეურნეობის განვითარება გაფართოებას.

ადმინისტრატიულ დარგში კონფერენციამ აღიარა განსაკუთრებით ნატანების რაიონში შეფერხება ადმინისტრატიულ და საბჭოთა მუშაობის და აღძრა შუამდგომლობა, რათა სამაზრო ხელისუფლებამ მიიღოს ზომები ნატანების მახლობელ თემებში დაარსოს რაიაღმასკომი.

თესვის კამპანიის დარგში კონფერენციამ დაავალა თვითეულ დელეგატს თავიანთ თემებში დაბრუნებისას მიიღონ ყოველგვარი ზომები ყველა სახნავ ადგილების დასათესავად და დახმარება გაუწიონ უსახსრო მცხოვრებთ, რომლებსაც არ აქვთ დასათესი საშუალება, რათა ამით არ შეფერხდეს სასოფლო მეურნეობა და არც ერთი ნაჭერი მიწა არ დარჩეს დაუთესავი.

დიდი ყურადღება მიაპყრო აგრეთვე ტყის დაცვის საქმეს და სხვა.

კონფერენციამ ამოსწურა ყველა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც დღის წესრიგში იყო დასმული. მისი წევრები დაბრუნდნენ თავიანთ კუთხეში იმ რწმენით, რომ მშრომელი გლეხობის ბედი საიმედო ხელშია, საბჭოთა ხელისუფლების ხელში, რომელიც მუდამ სცდილობს მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას, მის ეკონომიურად და კულტურულად აღორძინებას.

მ. კალაძე

იანეთი და დიდი ჯიხაიში (ქუთაისის მაზრა)

დიდი ხანია, რაც ეს ორი თემი სცდილობდა ბაქანი იანეთი გადაკეთებულიყო სადგურად. მშრომელთა ხელისუფლებამ ამ თემების გლეხთა სურვილები სწრაფად მოიყვანა სისრულეში და იანეთის სადგურად გადაკეთების მუშაობა აგერ ექვსი თვეა სწარმოებს. ადგილობრივი მუშა-გლეხებმა დიდი შრომა გასწიეს ამ სადგურის ასაგებათ: ლიანდაგის დასაგები მოედანი თვით გლეხების მიერ არის მოზვინული თითქმის ნახევარი, მაგრამ ზამთრის უამინდობამ ძალიან შეუშალა ხელი მოზვინის დამთავრებას.

გარდა ამისა ამ ორ თემში სხვა მრავალი კულტურული აღმშენებლობაც დაიწყო. მაგალითად, დიდი ჯიხაიშში შარშან დაიწყო 9 წლიანი შრომის სკოლის აგურის შენობის აგება, რაიც შეიცავს გეგმის მიხედვით დაახლოვებით 25 ოთახს. შენობის ჯერ ერთი მესამედიც არ არის დამთავრებული. დაწყებულია შენება საბჭოს სახლის და ჩაეყარა საძირკველი სახალხო სახლის შენობას. ამავე დროს იანეთის თემშიც შეუდგნენ საბჭოს სახლის, სახალხო სახლის, კოოპერატივის საწყობის და შრომის სკოლის აგებას, რისთვისაც იქნა გახსნილი მარსელის კრამიტის და აგურის ქარხანა, საიდანაც გროვდება საჭირო მასალა.

ცხადია, რომ ასეთი გრანდიოზული აღმშენებლობითი მუშაობა მოითხოვს დიდ მასალას და აუარებელ ხარჯებს, რის გაღებას გლეხობა სავსებით ვერ შესძლებს. ამისათვის საჭიროა ახლო მდებარე თემებიც გამოეხმაურონ თანამშრომლობის სახით ამ თემების, უმთავრესად ის თემები, რომელთაც ასე თუ ისე ერთგვარი კულტურული და ეკონომიური დამოკიდებულება აქვთ ამ თემებთან. გარდა ამისა ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, ეხლაც დიდ დახმარებას აღმოუჩენს ჩვენს მუშა გლეხებს ამ კულტურულ აღმშენებლობის ბრწყინვალე დამთავრებაში.

თანაც ასეთი დახმარების მიზნით ა. წ. 15 აპრილს შესდგა თბილისში მომუშავე იანეთლების და დიდჯიხაიშელების საერთო კრება, სადაც ამხ. ვ. ვაშაკიძემ და გ. ჯვარშეიშვილმა, განმარტეს რომ საჭიროა გლეხებთან კავშირი, და ამ კავშირის განსამტკიცებლად კი საჭიროა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთ გლეხებს ამ თემებში, როგორც სამეურნეო იარაღების გაუმჯობესებით, აგრეთვე კულტურულ-აღმშენებლობაში; ყველამ უნდა დავეხმაროთ საბჭოთა ხელისუფლებას, რათა მან ჩქარა დაამთავროს გლეხთა მიერ დაწყებული მუშაობა.

კრებამ აირჩია ბიურო ხუთი კაცისაგან შემდგარი: 1. ვ. ვაშაკიძე, 2. გ. ჯვარშეიშვილი, 3 დათიკო ვაშაკიძე, 4 კოლია ლეკვეიშვილი 5. ალექსანდრე ვაშაკიძე, რომელთაც დაევალა მოიწვიონ უფრო ფართო და სრული კრება თბილისში მომუშავე იანეთლების და დიდი ჯიხაიშელების, რომელნიც გამოიმუშავებენ მთელ რიგ საშუალებებს ამ ორ თემში ყოველივე კულტურულ აღმშენებლობისათვის ხელის შესაწყობად.

გ. ჯვარშეიშვილი.

P. S. ბიუროს დავალებით ვთხოვთ თბილისში მომუშავე და მოსამსახურე იანეთლებს და ჯიხაიშლებს მობრძანდენ საერთო კრებაზე 6 მაისს 4 საათზე,—რკინის გზის „უჩპროფსოჟის“ შენობაში, ელისაბედის ქუჩა № 200

გ. ჯ.

მარნის თემი (სენაკის მაზრა)

(პასუხად ამხ. „ვინჩინს“).

მარნის თემის მცხოვრებთა რიცხვი დაახლოვებით აღწევს 1300 კომლამდის. ამ თემში არსებობს ორი მთლიანი შრომის სკოლა და დაწყებითი სასწავლებლები. აგრეთვე აქ არის კარგად მოწყობილი ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ამ ქარხანაში მუშაობს დაახლოვებით 200 მუშა-მოსამსახურე.

თემში არის სამკითხველო, მოდის ჟურნალ-გაზეთები. მხოლოდ ერთად ერთი საზრუნავ საგანს შეადგენდა სახალხო სახლის აგების საქმე დღეს, როდესაც ყველა ეკლესიები იქნა დაკეტილი, ამ საოცნებო საგანს ეყრება საძირკველი. უკვე არჩეულია სახალხო სახლის სამშენებლო კომისია, რომელიც აწარმოებს მუშაობას. გაზ. „კომუნისტის“ № 81 ში მოთავსებულია წერილი „ვინჩინის“ ფსევდონიმით, სადაც ის ლაპარაკობს შემდეგს: „კომისიას არჩეული აქვს ისეთი ადგილი, რომელიც ყოველმხრივ მიუღებელია“. რატომ ამხ. „ვინჩინო“? თუ ქარხნის ეზოში გააშენებენ, მაშინ მისაღებია და თუ არა—მაშინ მიუღებელია! მე მგონია, ამ სახლს აშენებენ მარნის თემის მცხოვრებლები და თუ თქვენ სახეში გყავთ ქარხნის მუშები, ისინიც ხომ ამ თემის გლეხ-კაცის შვილებია, რომელნიც ცხოვრობენ ამ თემის სხვადასხვა სოფლებში. და თუ ეს სახალხო სახლი შენდება ამ თემის სახელზე, ის აუცილებლად უნდა გაშენდეს ცენტრში, რომელიც არის სამმართველოს მოედანი. ეს აუცილებელი და მისაღებია,—რომ არ ჩამოვარდეს კუთხური ინტერესები. თუ ქარხნის ეზოში გაშენდა, ის იქნება ქარხნის სახლობის და არა მარნის თემის, ვინაიდან მცხოვრებთა უმრავლესობა მით ვერ ისარგებლებს. ერთ ადგილას სწერთ: „თუ მარნის თემში წამოიჭრება სხვა სახალხო სახლის აშენების აზრი, ის განუხორციელებელი დარჩება“? ამხ. „ვინჩინო“, თქვენ პესიმისტობა აქ არ შეგშვენით, განუხორციელებელი დარჩებოდა, რომ ყოფილიყო მენშევიკური ხელისუფლება, მაგრამ იცოდეთ აქ არის საბჭოთა მთავრობა. მართალია მცხოვრებლებს არა აქვთ იმდენი საშუალება, მაგრამ ჩვენმა ხალხმა უკვე დიდი ხანია ზურგი შეაქცია „წმინდა მამების“ ქადაგებას და ეკლესიებს ხალხი მოახმარს ამ დიდ საქმეს.

თუ ქარხნის ეზოში გაშენდა სახალხო სახლი, მაშინ თემის მცხოვრებთა 60 პროც. ვერ დასწვდება მას, ვინაიდან ისინი იქნებიან დაშორებული 4 ნახ—5 ნახ ვერსით მაგ. ს. ქვიშანჭალა, გაუწყინარი, თხმელარი და სხვა.

თქვენი წერილი შუღლს სთესავს მცხოვრებთა შორის, თქვენი მითითება კომისიას არ სჭირდება. ისინი დაადგვირგვინებენ ამ დიდ საქმეს წარმატებით.

დღეს საბჭოთა ხელისუფლების შემწეობით საშუალება ეძლევა მარ. თემის მცხოვრებლებს მოაწყონ თავისი საქმე ისე, როგორათაც ეს სასარგებლო იქნება ამ თემის მცხოვრებთა უმრავლესობისათვის.

შალვა გაუწყინარელი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ 23 აპრილს საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია დელეგატების კრება ქალთა შორის მუშაობის ორგანიზატორებთან ერთად.

დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგ. მდივანი—გ. სტურუა.
ქალთა განყ. გამგე—მეზურნოვა.

— ხუთშაბათს, 24 აპრილს საღამოს 6 საათზე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ამხ. გეგეჭკორის კაბინეთში შესდგება რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საზოგადოების სრ. საქართველოს განყოფილების პრეზიდიუმის სხდომა. მოწვეულნი არიან ამხ. ამხ. ა. გეგეჭკორი, დ. კანდელაკი, ს. ქურიძე, ა. კვირიკაძე და არჩ. რუხაძე.

„რევმებახ“-ის სრ. საქ. განყოფილება.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნიფო, შვილები: პეტრე, სიმონ, ალექსანდრე (კიკო) და ქეთო აუწყებენ თავის ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებას თავის ძვირფასის და საყვარელის (პირველის მეუღლის და მეორის მამის)

ალექსანდრე პეტრეს ძე დოლიძის,

რომლის დაკრძალვა მოხდება 24 აპრილს, დღით ხუთშაბათს, 2 საათზე, სოფელ ამაღლებაში. გამოსვენება დ. ჩოხატაურიდან.

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 23 აპრილს

აბესალომ და ეთერი

24 აპრილს—ოპერა „ჰოფმანის ზღაპრები“ გენერალური რეპეტიციის გამო წარმოდგენა არ იქნება.
25 აპრილს—„ჰოფმანის ზღაპრები“
26 აპრილს—წარმოდგენა პროფკავშირთა წევრთათვის
1057—4—1

ამიერ-კავკასიის საბაჟო სამმართველოს განცხადება.

1924 წლის 21 აპრილი, № 3091

თანახმად ა. / კ. ს. ფ. ს. რ-ის სახ. კომ. საბჭოს 19 აპრილის დადგენილებისა და დამატებით ბრძანებებისა ა. / კ. საბაჟო სამმართველოსთვის 1923 წლის 31 დეკემბრისა № 370 და 1924 წლის 8 მარტისა № 39, ამით ცხადდება, რომ:

1. ყველა ის საქონელი, რომელიც დატოვებული იყო ამიერ-კავკასიის საბაჟოებში მათი შემოტანისას საგარეო ვაჭრობისათვის დადებულ წესების დარღვევის გამო და აგრეთვე ის საქონელი, რომლის მიმართ საქონლის შენახვის წესდებაში გათვალისწინებული ვადა დაილია და რომლის პატრონებს არ აღუძრავთ ა. / კ. საბაჟო სამმართველოს წინაშე შუამდგომლობა აღნიშნულ სამმართველოს 1923 წლის 31 დეკემბრის № 370-ის ბრძანებაში ნაჩვენებ წესით და სათანადო დროის განმავლობაში, გაყიდული იქნება საჯარო ვაჭრობის წესით.

საჯარო ვაჭრობის პირველ დღედ დანიშნულია: ბათომის საბაჟოში დარჩენილ საქონლისათვის ა / წ. 14 მაისი. ვაჭრობა გაიმართება ხსენებულ საბაჟოსთან; თბილისის საბაჟოში დარჩენილი საქონელი გაიყიდება ამავე საბაჟოსთან ა / წ. 5 მაისს; ბაქოს საბაჟოში დარჩენილი საქონელი გაიყიდება ამავე საბაჟოსთან ა / წ. 11 მაისს და სოხუმის საბაჟოში დარჩენილი საქონელი გაიყიდება ამავე საბაჟოსთან ა / წ. 19 მაისს.

შენიშვნა: აღნიშნულ საჯარო ვაჭრობის დროს გაყიდული იქნება აგრეთვე ის საქონელი, რომლის განთავისუფლების შესახებ პატრონებმა აღძრეს შუამდგომლობა, მაგრამ უკანასკნელი დაუკმაყოფილებელი დარჩა საგარეო ვაჭრ. სახ. კომ. რწმუნებულის მიერ. ცნობები შუამდგომლობის შედეგებზე საქონლის პატრონებს შეუძლიათ მიიღონ საგარეო ვაჭრ. სახ. კომ. რწმუნებულის სამმართველოს სალიცენზიო განყოფილებაში და, აგრეთვე, იმ საბაჟოებში, სადაც ინახება შუამდგომლობაში აღნიშნული საქონელი.

2. გასაყიდ საქონლის დაწვრილებითი სია გამოქვეყნებული იქნება სათანადო საბაჟოების მიერ ადგილობრივ გაზეთებში—ერთში რუსულ და მეორეში ეროვნულ ენებზე.

ა / კ. საბაჟო სამმართველოს უფროსი ა. თავბერიძე.
1—1 ნ 1060.

ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 24 აპრილს, დღის 11 საათზე (თავისუფლების მოედანი) ყოფილ თამამშევის ქარვასლაში, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

რესტორანი „პალასი“-ს სხვადასხვა ინვენტარის და ავეჯეულობის გასაყიდათ სულ 2.600 მან. ღირებულებისა ვალების დასაკმაყოფილებლად.
2—1 ნ. 1062

სახელმწიფო უნივერსიტეტის
კბილის სნეულებათა კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126).
ავადმყოფების მიღება სწარმოებს დილის 9—1 საათ. და საღამოთი 4—6 მდე.
748 20—15

მბეჭდავითი სიტყვის ექსპედიციისაგან.

განცხადება

ს. ს. ს. რ. მბეჭდავითი სიტყვის ექსპედიცია ამით აცხადებს მოსკოვის ჟურნალ გაზეთებზე ხელისმომწერთა საყურადღებოდ, რომ ფულის მტკიცე კურსის დაწესების და მოსკოვის საკონტრაგენტოსთან ახალი ხელშეკრულების დადების გამო, ექსპედიციამ განაახლა ხელისმომწერის მიღება ზემოხსენებულ ჟურნალ გაზეთებზედ მაისის თვისათვის (და შემდეგი ვადითაც)

მოსკოვის მიერ დაწესებულ ფასებში.

კოლექტიური ხელისმომწერთათვის ხელის მოწერა მიიღება 10 პროც. დაკლებით იმ პირობით, რომ კოლექტიური ხელისმომწერლებმა უნდა წარმოადგინონ სიები ხელისმომწერთა, შემოწმებული ადგილკომის მიერ.

ამასთანავე ცხადდება ფასები:

		ერთ თვის		კოლექტ. თვის.	
		მან	კაპ	მან	კაპ
1	იზვესტია	1	—	—	90
2	პრავდა	1	—	—	90
3	ბედნოტა	—	80	—	72
4	ეკონომიური ცხოვრება	1	30	1	20
5	რაბოჩაია მოსკვა	1	—	—	90
6	ტრუდ	1	—	—	90
7	პროჟექტორ	—	80	—	72
8	კრასნაია ნივა	—	90	—	80
9	ოგონიოკი და სხვა	—	80	—	72

რომ არ იქნეს დაბრკოლება და გამოწერის დაგვიანება, ამიტომ ექსპედიცია სთხოვს ყველა ხელისმომწერთ, რომ ხელი მოაწერონ არა უგვიანეს 29 აპრილისა ამა წლისა.

ექსპედიცია თავის თავზედ იღებს სრულ პასუხისმგებლობას, რომ ხელისმომწერნი თავის დროზედ და წესიერათ სახლში მიიღებენ გამოწერილ გაზეთებს.

ნის 1063 3—1 ექსპედიციის გამგე ა. ჩერქეზიშვილი.

ექიმი
კ. გ. ვართანოვი
სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—10 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე. რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 746—25—15.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენის დარბაზით
მიხეილ ბედევანიშვილის სახელობისა
ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მკურნალობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—17

ქ. თბილისის მე-8 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს კარაპეტ გიორგისძე ავაკოვს მოპასუხედ აკოპ ნიკიტასძე აივაზოვის ძიების გამო ერთი თვის განმავლობაში, რის შემდეგ საქმე იქნება განხილული მისი დაუსწრებლად

860 1—1 მე-8 უბ. სახ. მოსამართლე რცხილაძე.

თანახმად № 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართველოს რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 20 აპრილის ქ. თბილისის აღმასკომის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი

მაგიდა აცხადებს

რომ ანასტასია იაკობის ასული შევჩენკომ შემოიტანა განცხადება მისი გვარის ანასტასია იაკობის ასული გახელჩენკოთ შეცვლის შესახებ.

მაგიდის გამგე: ი. ი. კარაევი.
856—1—1 საქმის მწარმოებელი: ეკ. მახარაძე.

დაიკარგა იაგორ ნესტორის ძე ჯინჭარაძის სახელზე გაცემული შემდეგი საბუთები: კავშირის წიგნაკი მასწავლებლათ ნამსახურობის შესახებ, პარტბილეთის საწევრო გადასახადი კვიტანციები და ამასთან ერთად სხვა მრავალი საბუთები. ყოველივე ეს ჩაითვალოს გაუქმებულათ. 851 1—1

დაიკარგა სააღრიცხვო ბარათი მოცემული გრიგოლ ერმილეს ძე გოგოტიშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. ნის. 1—1

დაიკარგა სააღრიცხვო წიგნაკი № 435 და რკინის გზის მოწმობა სილევან აპოლონის ძე დუნდუას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1 858

დაიკარგა ქუთაისის სამხედრო კომისარიატის მიერ მოცემული ვადის გადადების მოწმობა № 113. ჩაითვალოს გაუქმებულად. ქიათურის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის თანამშრომელი ვარლამ თომას ძე კაპანაძე. 1—1 № 857

დაიკარგა იარაღის ტარების ნებართვა მოცემული სართიჭალის საინფორმაციო პუნქტიდან მანავის სახალხო მილიციის თანამშრომელზე ივანე ლუკინის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 859

სრულიად რუსეთის
კოოპერატიული ბანკი
თბილისის განყოფილება [illegible] სააგენტო
15 აპრილიდან შეცვლამდის იხდის:
უბრალო მიმდინარე ანგარიშით 8 პროც.
პირობით 1 თვიდან 3 თვემდე 9 „
„ სამი თვეზე მეტი ვადით 10 „
ოპერაციების წარმოებს ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10-დან შუადღის 2 საათამდე.
სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის [illegible] განყოფილება.
ნ. 1061 2—1

საქ. ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო
ბანკი
(ყოფილი სახალხო ბანკი) დაარსებულია 1924 წლის მარტის 24-ს
გამგეობა იმყოფება ქალ. თბილისში (ლორის-მელიქოვის ქ. № 7).
განყოფილებანი—ბათომში, სოხუმში, ქუთაისში, სიღნაღში, ზესტაფონში და ფოთში. ამის გარდა ოტომანის ბანკი ქალ. კონსტანტინოპოლში არის მისი კორესპონდენტი საზღვარ-გარეთ
საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი იღებს ანაბარებს სახელდახელო ანგარიშებზე, რისთვისაც აძლევს წლიურად 6%—8%
ბანკის გამგეობის შემადგენლობა შემდეგია: ბანკის მმართველი—ბ. ბიბინეიშვილი, მმართველის ამხ.—ი. ზ. ანდრონიკაშვილი, გამგეობის წევრნი:—ი. ხ. მენაბდე და გ. ა. დუმბაძე.
ბ. 1063—1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკა“ [illegible]